საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№22 (209)
19 - 25 ივნისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«მოვითხოვთ, ფანჯიკიძემ 19 ბოდიში მოუხადოს ვეტერანებს!»

2



ვიაჩესლავ კოვალენკო: მჯერა, გამოსავალს ვიპოვით

„ტრაგიკულად უაზრო სიტუაციაა, როდესაც უმდიდრესი საერთო ისტორიის მქონე ორი მართლმადიდებელი ერი — ქართველები და რუსები ერთმანეთს ვემტერებით.“



სააკაშვილი შეიძლება გადადგეს, ანუ ბოლო საკონსტიტუციო ნაღმი 3

«გვჭირდება 11 ლიდერი, რომელიც საზოგადოებას ერის განვითარების საკუთარ კონცეფციას შესთავაზებს»

12 მე ვარ ქართველი, მაშასადამე, არ ვარ ევრო-პ(იდარ)ელი!!!



რა შეუთვალა 8 მოდულის შენობიდან საგარეჯოს გამგებელმა თინა ხიდაშელს?



თემურ შაშიაშვილი: „დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა ვადამდელი არჩევნები და, თუ გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება, მერწმუნეთ, ბევრად უკეთესი ურთიერთობა გვექნება ყველა სახელმწიფოსთან, ამერიკასთანაც, ევროპასთანაც და რუსეთთანაც“

პრეზიდენტად 9 უნდა ავირჩიოთ ვინმე კოალიციის წრის გარეთ

ელჯიბიტების 13 ჯიჰადი მართლ-მადიდებლების წინააღმდეგ

რა ბრალდებებს 14 უყენებენ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს?

ამერიკის ხელისუფლების 15 საფასური

«რა ცოდნა უნდა მოგვცეს უნივერსიტეტმა, რომელშიც თეა თუთბერიძეა პროფესორი?» 7

«მთელმა 6 საქართველომ, დიდ-პატარამ იარაღი რომ აისხას და ავღანეთში წავიდეს, ნატოში არავინ მიგვიღებს»

4 ამერიკელი კონგრესმენები ქართული სამართლიანობის წინააღმდეგ

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვიმედოვნებ, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსში პოზიტიური ცვლილებების შეტანა, მისი გამართვა დაეხმარება საქართველოს კრიზისიდან გამოსვლაში, შექმნის პირობებს ორ მართლმადიდებელ სახელმწიფოს — საქართველოსა და რუსეთს შორის ბუნებრივი ურთიერთობების აღსადგენად."



## გადადგება თუ არა სააკაშვილი 1 აგვისტომდე?

**თუ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგა, კონსტიტუციის საშემოდგომო მოდელი არასოდეს ამოქმედდება,** — ამის შესახებ იურისტმა ლევან ალაფიშვილმა „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, საკონსტიტუციო ცვლილებებში, რომელიც ძალაში შემოდგომაზე უნდა შევიდეს და რომლის მიხედვითაც, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები იზრდება, მითითებულია, რომ აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების დღიდან.

**იურისტის განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგება, აღნიშნული ნორმა დარჩება ქაღალდზე და არ ამოქმედდება. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა 1 აგვისტომდე უნდა გამოაცხადოს მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი, თუმცა 1 აგვისტომდე მას შეუძლია, რომ გადადგეს.**

ალაფიშვილის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში, საზოგადოება მომდევნო პრეზიდენტს აირჩევს იმავე უფლებამოსილების მქონეს, როგორიც პრეზიდენტის ინსტიტუტი დღეს არის. ამასთან, მისივე თქმით, სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში, კოალიციის შიგნით, შესაძლოა, ახალ საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა დაიწყოს, რადგან საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს გაუჭირდება, იყოს წარმატებული.

ალაფიშვილის განცხადებით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ მოქალაქეობის საკითხის დარეგულირების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრმა და კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს.

ამასთან, ლევან ალაფიშვილი ვარაუდობს, რომ მიხეილ სააკაშვილს გადადგომა ოპტიმალურ პირობებში ჩააყენებს, რადგან, მისი ასაკიდან გამომდინარე, სამომავლოდ მას რჩება შანსი, პოლიტიკაში დარჩეს.

### ვიაჩესლავ კოვალენკო:

# მჯერა, გამოსავალს ვიპოვით

**„საქართველო და მსოფლიო" გთავაზობთ ინტერვიუს რუსეთის ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში — ვიაჩესლავ კოვალენკოსთან.**



**— ბატონო ვიაჩესლავ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებისას თქვენ რუსეთის ელჩი იყავით საქართველოში. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. თქვენი აზრით, შეიცვალა ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი? საქართველოს დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, როგორ გესახებათ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა და ბუნებრივ კალაპოტში დაბრუნების პერსპექტივები?**

— იმას, რაც 2008 წლის 8 აგვისტოს მოხდა, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყო, გამართლება არ აქვს. ჩემი აზრით, ნელ-ნელა ხდება გამოფხიზლება ქართული საზოგადოების იმ ნაწილშიც კი, რომელიც იმხანად სააკაშვილს უჭერდა მხარს. ამასთანავე, ხდება გააზრება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორ მართლმადიდებელ ერს — რუსებსა და ქართველებს შორის მჭიდრო, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა.

**ხშირად ვფიქრობ, რატომ მოხდა ჩვენს ურთიერთობაში ასეთი ტრაგიკული მოვლენა. ხომ იყო მაშინ მრავალი საუბარი საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, გაფრთხილებები სამხედრო ძალის გამოყენების დაუშვებლობაზე? რა გახდა ამ უბედურების მიზეზი, საიდან მოვიდა ეს მტრობამდე მისული გაბრაზება?** რა თქმა უნდა, იყო სიღრმისეული მიზეზები საბჭოთა კავშირის დაშლასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს წარმოშობასთან დაკავშირებით. პარალელურად აგორდა მცირე ერების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ტალღა. ამ მოძრაობებმა, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების ფონზე, ააფეთქა სამხრეთ კავკასიის რეგიონი. მეორე მხრივ, გახდა რა სუვერენული სახელმწიფო და დაკარგა საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებობის ჩვეული საშუალება, საქართველოს დასჭირდა საგარეო დახმარება და მხარდაჭერა. გამოჩნდნენ ათასი ჯურის „კეთილისმსურველები", არამკითხე მრჩევლები, ხოლო იმხანად და შემდგომ ხელისუფლებაში მყოფ პირებს, როგორც ჩანს, დაავიწყდათ მთავარი წარსულის მდიდარი მემკვიდრეობიდან. რუსეთი უცებ აღქმულ იქნა, როგორც ერთგვარი მტრული ძალა, რომელიც თითქოს ისწრაფვის, აღადგინოს თავისი იმპერია და ხელს უშლის პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობის განვითარებას. ამ ფონზე გაჩნდა ცნობილი ანტირუსული ლოზუნგებიც. ამ ხაზმა პრიორიტეტული განვითარება შევარდნაძის მმართველობისას მიიღო, ხოლო სააკაშვილის მიერ უსაზღვრო ცინიზმამდე იქნა აყვანილი, შედეგად ქვეყანა უფსკრულის პირას აღმოჩნდა.

**არ მსურს და არ შემიძლია ის კურსი მთელ ქართველ ხალხთან გავაიგივო, რადგან ვიცი, რომ ეს ასე არ არის. მახსენდება 2008 წლის გაზაფხულზე ქუთაისის შორიახლოს, გზისპირას გლეხთან საუბარი, მან თვალი თვალში გამიყარა და მითხრა: „რუსებო, ნუ წახვალთ საქართველოდან". ეს იყო უბრალო, გულწრფელი, მაგრამ ღრმა შინაარსის, მოსალოდნელი ტრაგედიის ერთგვარი წინასწარმეტყველების შემცველი სიტყვები, ტრაგედიისა, რომლის თავიდან აცილება მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მათში იგრძნობოდა ხალხის შფოთვა საქართველოს ბედზე, ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, ქვეყნის მომავალზე.**

დაინახა რა, რომ ქვეყანა მიდის დამღუპველი კურსით, ხალხი დაირაზმა და სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორეს პატრიოტული მოწოდებით შთაგონებულმა მხარი დაუჭირა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს — ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მოითხოვა და მოახერხა კიდეც დისკრედიტებული ხელისუფლების შეცვლა. **ვიმედოვნებ, რომ ქვეყნის პოლიტიკურ**

**«ტრაგიკულად უაზრო სიტუაციაა, როდესაც უმდიდრესი საერთო ისტორიის მქონე ორი მართლმადიდებელი ერი — ქართველები და რუსები ერთმანეთს ვემტერებით. ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა, ეს ფურცელი რაც შეიძლება მალე უნდა გადავფურცლოთ»**

**კურსში პოზიტიური ცვლილებების შეტანა, მისი გამართვა დაეხმარება საქართველოს კრიზისიდან გამოსვლაში, შექმნის პირობებს ორ მართლმადიდებელ სახელმწიფოს — საქართველოსა და რუსეთს შორის ბუნებრივი ურთიერთობების აღდგენისთვის.**

**— თქვენი აზრით, როგორ წარიმართება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა აღდგენა?**

— არა მგონია, რომ ეს მყისიერად მოხდეს. ვეთანხმები მათ, ვინც თვლიან, რომ მოცემულ ეტაპზე ძირითადი ყურადღება სავაჭრო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კავშირებზე უნდა გამახვილდეს. საჭიროა, აღვადგინოთ ნდობა ორ ქვეყანას შორის და ამ პროცესში, დარწმუნებული ვარ, დიდი როლი უნდა ითამაშონ რუსულმა და ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა. მათ ბრძენი ადამიანები მართავენ, რომლებმაც იციან სიცოცხლისა და სიკვდილის, მშვიდობისა და ომის ფასი, ისინი ორ მართლმადიდებელ ერს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ჭეშმარიტი ქომაგები არიან. **მართებულია, რომ აფხაზეთისა და ოსეთის თემა პოლიტიკური ჩარჩოდან გატანილია, ეს ძალიან მგრძნობიარე პრობლემებია. სისხლი დაიღვარა. ემოციები და ვნებები ამ საკითხებში დღემდე დიდ როლს თამაშობს. უნდა მოვიცადოთ. დრო უსათუოდ გვიკარნახებს პრობლემის ურთიერთმისაღებ გადაწყვეტას, მჯერა, გამოსავალს ვიპოვით.**

რაც შეეხება ურთიერთობებს რუსეთთან, ველოდები სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დალაგებას, სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას, კულტურული გაცვლა-გამოცვლის აღდგენას. უფრო მეტი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან, ღია, გულწრფელი საუბრები უნდა გავმართოთ. გვეუბნებიან, რომ შერიგების გზა არ არის ადვილიო. ასე იყოს, მერე რა, სამაგიეროდ, ეს არის გზა შერიგებისკენ, რომელზეც ერთი წლის, წლინახევრის წინ არც კი საუბრობდა არავინ. **ტრაგიკულად უაზრო სიტუაციაა, როდესაც უმდიდრესი საერთო ისტორიის მქონე ორი მართლმადიდებელი ერი — ქართველები და რუსები ერთმანეთს ვემტერებით. ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა, ეს ფურცელი რაც შეიძლება მალე უნდა გადავფურცლოთ.**

**— აპირებთ თუ არა თბილისში ჩამოსვლას?**

— ვაპირებ, როგორც კერძო პირი. ვიმედოვნებ, ახლო მომავალში მოვინახულო მრავალრიცხოვანი ქართველი მეგობრები. ამ რთული წლების მანძილზე მუდმივად გვქონდა კონტაქტი, ვულოცავდით ერთმანეთს დღესასწაულებს, შვილების, შვილიშვილების დაბადებას, ერთი სიტყვით, შევინარჩუნეთ ჩვეულებრივი, თბილი ადამიანური ურთიერთობები. **გულახდილად გეტყვით, — მენატრება საქართველო, ჩემი მეგობრები, ნაცნობები. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გადავცე მათ მოკითხვა და იმედი ვიქონიო, რომ მალე შევხვდებით.**

ესაუბრა
**გიორგი მაისურაძე**

## სააკაშვილის მოსალოდნელი მავნებლობა

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა მოსალოდნელ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.**

როგორც მინისტრმა და „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატმა 18 ივნისს ჟურნალისტებთან განაცხადა, ეს ინფორმაცია არის თეორიული განხილვის საგანი. მისი თქმით, თუკი პრეზიდენტი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს, ეს იქნება კიდევ ერთი მავნებლობა ქართული სახელმწიფოს მიმართ. **„მინდა, ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ეს იქნება კიდევ ერთი მავნებლობა ქართული სახელმწიფოს მიმართ, თუ ასეთი ქმედება განახორციელა საქართველოს პრეზიდენტმა და აქეთკენ უბიძგა პოლიტიკურ პროცესს. ჩვენ მაინც დავასტაბილურებთ პოლიტიკურ პროცესს, თუმცა მინდა ხაზი გავუსვა, თუ ასეთი მცდელობა იქნება, ეს იქნება ქმედება მიმართული ქართული სახელმწიფოს მდგრადობის წინააღმდეგ".** ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე, რომელიც განათლების შესახებ კანონპროექტს უკავშირდება.

**„კიდევ ერთხელ გამოვთქვამ გულისტკივილს, რომ პრეზიდენტს სხვა აქტივობის ფორმა უკვე აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ ჩემს კანონპროექტებსა და ჩემს ინიციატივებს ვეტო დაადოს",** — განაცხადა განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა.

**თუ სააკაშვილი (მაგალითად) დღეს საღამოს გადადგება, საქართველოში ჩატარდება არა „ოქტომბრის მორიგი“, არამედ „აგვისტოს რიგგარეშე“ საპრეზიდენტო არჩევნები, საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში ვერასოდეს შევა და ყველაფერი ძველებურად დარჩება იმ მომენტამდე, ვიდრე პარლამენტი კონსტიტუციაში ახალ ცვლილებებს შეიტანს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილი შეიძლება გადადგეს, ანუ ბოლო საკონსტიტუციო ნაღმი

**საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილს აღარ დარჩა არანაირი ბერკეტი იმისთვის, რომ პოლიტიკურ სიტუაციაზე სერიოზული გავლენა მოახდინოს და, მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანაში სიტუაცია არიოს. თუმცა არის ერთი, კონსტიტუციაში ჩადებული ნაღმი, რომლის აფეთქება მას ჯერ კიდევ შეუძლია.**



**იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ვადის დასრულებამდე გადადგება და დაინიშნება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, ტექნიკური ხასიათის იურიდიული მიზეზების გამო, მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში ვერ შევა და მომდევნო 5 წლის განმავლობაში ცხოვრება ისევ სუპერსაპრეზიდენტო მოდელის პირობებში მოგვიწევს. ცხადია, სააკაშვილი არ გააკეთებს ამას მხოლოდ იმისთვის, რომ „რაღაც გააფუჭოს“, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვარიანტი მის ჯგუფს პოზიციების გაძლიერების შესაძლებლობას მისცემს, გამორიცხული არაა, ეს გადაწყვეტილება მიიღოს.**

14 ივნისს ტელეკომპანია „იმედმა“ განხილულ თემას საინტერესო სიუჟეტი მიუძღვნა; მასში გაშიფრულია ის ალგორითმი, რომლის გამოყენება სააკაშვილმა შეიძლება სცადოს.

საქმე ისაა, რომ მთელ რიგ მუხლებს, რომელიც ოქტომბერში ძალაში უნდა შევიდეს, რის შედეგადაც გაიზრდება პრემიერის და შემცირდება პრეზიდენტის უფლებები, შემდეგი მინაწერი აქვს: **„ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან“.** შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ოქტომბერში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები არ გაიმართება, ეს ცვლილებები ძალაში ვერ შევა. ოქტომბერში არჩევნების არგამართვის ერთადერთი შესაძლებლობა სააკაშვილის ვადამდელი გადადგომაა, რადგან ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, **„პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის ვადაში და მათ ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი“.** თუ სააკაშვილი (მაგალითად) დღეს საღამოს გადადგება, საქართველოში ჩატარდება არა „ოქტომბრის მორიგი“, არამედ „აგვისტოს რიგგარეშე“ საპრეზიდენტო არჩევნები, საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში ვერასოდეს შევა და ყველაფერი ძველებურად დარჩება იმ მომენტამდე, ვიდრე პარლამენტი კონსტიტუციაში ახალ ცვლილებებს შეიტანს.

**ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ამ ტექნიკური ხარვეზის გამოყენებას აზრი არ აქვს, რადგან ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს უმრავლესობას პარლამენტში და, შესაბამისად, სიტუაციის უპრობლემო გამოსწორება შეუძლია, ხოლო „ნაციონალების“ კანდიდატს არანაირი შანსი არ აქვს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ ფავორიტი დაამარცხოს** (მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მარგველაშვილი არც ისე ძლიერი კანდიდატია). **რეიტინგებიდან და, ზოგადად, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, „ნაციონალების“ გამარჯვებაზე საუბარი მართლაც არასერიოზულია, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ ისინი სიტუაციას სხვაგვარად აფასებენ. ამასთანავე, მათ შეუძლიათ შესთავაზონ ფარული ალიანსი სხვა კანდიდატს, რომელიც ფორმალურად მათგან დამოუკიდებელი იქნება და ეს გაცილებით დიდი საფრთხის შემცველი ვარიანტია.**

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ **ეს არ არის აბსტრაქტული მსჯელობა საკანონმდებლო ხარვეზის შესაძლო გამოყენებაზე და ერთგვარი რებუსი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, არამედ კონკრეტული სცენარია, რომელზეც, დაუზუსტებელი ინფორმაციით** (პრინციპში, თავისუფლად შეგვეძლო ეს ფორმულირება არ გამოგვეყენებინა, თუმცა ასე უფრო კორექტულია), **აქტიურად მსჯელობენ ერთ-ერთ სახელისუფლო სტრუქტურაში, რომელიც ახალი მთავრობის კონტროლს ჯერჯერობით არ ექვემდებარება.**

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი რგოლი არასოდეს ჰგავდა შლიფენის დროინდელ გენერალურ შტაბს, სადაც სამოქმედო გეგმებს ცივ ლოგიკასა და ზუსტ ციფრებზე დაყრდნობით ადგენდნენ. მათ თავისუფლად შეიძლება მიიღონ არაადეკვატური გადაწყვეტილება, მითუმეტეს დღეს, როდესაც ეშინიათ, რომ მერაბიშვილის ბედს გაიზიარებენ. მათ ნამდვილად შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ეს მათი ბოლო შანსია.

**თუ კიდევ ერთ „გერმანულ მეტაფორას“ გამოვიყენებთ, შეგვიძლია გავიხსენოთ 1945 წლის აპრილის სიტუაცია, როდესაც მესამე რაიხის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სრული სერიოზულობით სთავაზობდა დასავლელ მოკავშირებს სეპარატულ ზავს და ალიანსს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** ანგლო-ამერიკელებმა მათ წინადადებას, მარტივად რომ ვთქვათ, ყურადღება არ მიაქციეს, რადგან ის აბსოლუტურად უადგილო იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაცისტები არ უყურებდნენ მას, როგორც რაღაც რეალისტურს და ხელჩასაჭიდს; მემუარებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი ამ ვარიანტზე საათობით მსჯელობდნენ. **ასე რომ, ყოველთვის, როდესაც ამა თუ იმ სცენარზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რა პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან მისი ავტორები, რადგან ისინი სიტუაციას შეიძლება „პარალელური რეალობიდან“ აფასებდნენ.**

რომელ კანდიდატს განიხილავენ „ნაციონალები“ პოტენციურ მოკავშირედ? ცხადია, ნინო ბურჯანაძე ან სალომე ზურაბიშვილი მათთვის სასურველ პარტნიორებად ვერ ჩაითვლებიან. ამ ორი პოლიტიკოსისთვის ალიანსი „ნაციონალებთან“, პრინციპში, იგივეა, რაც ალიანსი ეშმაკთან, ისინი გაცილებით სკეპტიკურად უყურებენ კოაბიტაციას, ვიდრე იგივე ივანიშვილი და რომელიმე მათგანის გაპრეზიდენტება სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, კარგს არაფერს მოუტანს. ამასთანავე, ამ ორი კანდიდატის გამარჯვების შანსი შედარებით მცირეა (ამას მეორე ტურში გასვლა და მთელი რიგი გარემოებების თანხვედრა სჭირდება).

**პრინციპში, ერთადერთი, მეტ-ნაკლებად რეალისტური ვარიანტი, რომლის ფარგლებში შეიძლება გაიმარჯვოს არა მარგველაშვილმა, არამედ სხვა კანდიდატმა, გულისხმობს დაპირისპირებას მმართველ კოალიციაში და ივანიშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლის მიერ საკუთარი კანდიდატურის დაყენებას. ერთადერთი ლიდერი კოალიციაში, რომელიც ღიად ემხრობა საპრეზიდენტო მოდელს და რომლის** (საჯაროდ გამოხატული) **ამბიცია პრეზიდენტობასთან დაკავშირებით დაუკმაყოფილებელი დარჩა, *ირაკლი ალასანიაა.***

**უღირს თუ არა მას ავანტიურაში ჩაბმა? ერთი შეხედვით, არანაირად არ უღირს, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა ის საკუთარი ამბიციების მოთოკვას და რას ურჩევენ მას ამერიკელი მეგობრები, რომელთაც ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს.**

შესაძლოა, გეგმის ავტორებს კიდევ ორი ფაქტორის იმედი აქვთ და მიიჩნევენ, რომ გადამწყვეტ მომენტში ივანიშვილს პარლამენტში რესპუბლიკელები აუჯანყდებიან, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ივანიშვილი შეიძლება დაეყრდნოს პროცესების გამწვავების შემთხვევაში, რეფორმირების ტრანზიტულ მდგომარეობაში იქნება (გაყოფა ორ ნაწილად; იხ. შესაბამისი კანონპროექტი), რომლის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის კონტროლქვეშ მხოლოდ პატრული, კრიმპოლი და რამდენიმე სხვა, ამ კონტექსტში უმნიშვნელო, დეპარტამენტი დარჩება, ხოლო ის დანაყოფები, რომლებიც გაცილებით ეფექტურია პოლიტიკური გავლენის პროეცირებისთვის, სხვა მინისტრს დაექვემდებარება, რომელიც ივანიშვილისგან გაცილებით დისტანცირებული იქნება (ამ შემთხვევაში დაკონკრეტებისგან თავი შევიკავოთ; მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე აქტიური საუბრები მიდის, მისი განხილვა კონკრეტული ფაქტების გარეშე ჭორაობას დაემსგავსება).

**აღსანიშნავია, რომ განხილული ჰიპოთეტური გეგმის ჩავარდნა „ნაციონალებისთვის“ არანაირ განსაკუთრებულ უსიამოვნებას არ უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს იქნება არჩევნების შედეგების გადათამაშების, ბიძინა ივანიშვილისთვის ხელისუფლების ჩამორთმევის და, ფაქტობრივად, გადატრიალების მცდელობა, ფორმალურად ყველაფერი ლეგალურია და სააკაშვილს ვადამდელი გადადგომისთვის და ამ მექანიზმის ამოქმედებისთვის ვერავინ დასჯის.** აგრეთვე, „ნაციონალებს“ არ ემუქრებათ არანაირი სანქციები ფარული ალიანსისთვის პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატთან და მის სასარგებლოდ თავისი პოლიტიკური, ფინანსური და მედიარესურსების გამოყენებისთვის; ისინი განსაკუთრებულს არაფერს დაკარგავენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ფავორიტი დამარცხდება. ასე რომ, **ნუ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ უახლოეს მომავალში სააკაშვილი გამოვა და იტყვის** (მიზეზს იოლად მოძებნის): **„ამის ატანა შეუძლებელია. მე თანამდებობას ვტოვებ“** და მისი ჯგუფი შეეცდება, ბოლო შანსი გამოიყენოს.

მაგრამ ირაკლი ალასანიას ამ სცენარის ფარგლებში ვაბანკზე წასვლას ბიძინა ივანიშვილი და „ოცნების“ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არასოდეს აპატიებს. გასაგებია, რომ გაპრეზიდენტების პერსპექტივამ (ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებებით, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში არ შევა) ადამიანი შეიძლება ჭკუიდან გადაიყვანოს, თუმცა **ნაკლებად სავარაუდოა, ალასანიამ ეს ნაბიჯი გადადგას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთ მოქალაქეს მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ ნამდვილად არ არის კლინიკური იდიოტი, რომელიც დაუფიქრებლად ჩაებმევა პოლიტიკურ ავანტურაში ამოუცნობი შედეგით და გადამწყვეტ მომენტში კეთილგონიერ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.**

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, შეეცდებიან თუ არა „ნაციონალები“ განხილული გეგმის განხორციელებას და აჰყვებიან თუ არა მათ სხვა პოლიტიკოსები ამ, პრინციპში, უიმედო წამოწყებაში, მაგრამ საუბარი ამ თემაზე, ნებისმიერ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე: **კონსტიტუცია გაცილებით დახვეწილი უნდა იყოს და დანაღმულ ველს არ უნდა ჰგავდეს. საკონსტიტუციო რეფორმას, რაოდენ პათეტიკურადაც უნდა გაიჟღეროს, სჭირდება მეტი გამჭვირვალობა და მეტი საჯაროობა. ის არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთი კომისიის ან მხოლოდ პოლიტიკოსების საქმე; ჩვენ უკვე ვნახეთ, რა შეიძლება დამართონ პოლიტიკოსებმა ძირითად კანონს, თუ მათ საზოგადოება მუდმივად არ გააკონტროლებს.** მივბაძოთ ისლანდიას — იქაური კონსტიტუცია, გადაჭარბების გარეშე, მთელმა ერმა ონლაინ-რეჟიმში დაწერა და იყო შემთხვევები, როდესაც უბრალო მეთევზეებმა განსწავლულ იურისტებზე გაცილებით კარგი ფორმულირებები შეიმუშავეს.

კაცმა რომ თქვას, ყველა ის უსიამოვნება, რომელიც იანვრიდან მოყოლებული საქართველოში მოხდა, მნიშვნელოვანწილად საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის უგულებელყოფის შედეგს წარმოადგენს, რომლის პირველ პუნქტში ცალსახად ნათქვამია: „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა... 5 წლის ვადით“. გარკვეული გარემოებების, უპირველესად კი, უცხოელი პარტნიორების პოზიციის გამო, „ქართული ოცნება“ სააკაშვილის თანამდებობაზე ყოფნის ვადის ხელოვნურ და არსებითად ანტიკონსტიტუციურ გახანგრძლივებას დათანხმდა. **განვლილი 6 თვე კი წარმოადგენდა ერთგვარ ილუსტრაციას იმისა, რომ კონსტიტუციის დარღვევა უკვალოდ ნებისმიერ შემთხვევაში ვერ ჩაივლის და ნეგატიური შედეგი მას აუცილებლად მოჰყვება. იმედია, ეს პერიოდი ფატალური რყევებითა და ძირითადი კანონის მორიგი გაუპატიურებით არ დაგვირგვინდება. იქნებ ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ იმაზე, რომ არაც ერთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორს კონსტიტუციაზე მაღლა არასოდეს დავაყენებთ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქ, სადაც თუნდაც ერთი დანაშული დაუსჯელი რჩება, ხოლო ამა თუ იმ პირის სტატუსი წარსულში ან აწმყოში მას თუნდაც ერთი მილიმეტრით, კანონზე მაღლა აყენებს, იქ არც ევროპაა და არც დემოკრატია. ხოლო თუ ვინმეს ვაშინგტონში ჰგონია, რომ საქართველო ,,ცივი ომის" დროინდელი" ჰონდურასია, ნიკარაგუა ან სალვადორი, ეს, უპირველეს ყოვლისა, მათი პრობლემაა და არა ჩვენი.**

## UNESCO-მ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ბაგრატის ტაძარი ამოიღო

**UNESCO-მ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ბაგრატის ტაძრის ამოღების გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება UNESCO-მ 37-ე სესიაზე მიიღო. ამავე სესიის გადაწყვეტილებით, გელათის მონასტერი და მცხეთის ისტორიული ძეგლები საფრთხეში მყოფ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში რჩება.**

„მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტმა, განიხილა რა დოკუმენტი (WHC-13/37.COM/7A, მცხეთის ისტორიული ძეგლები (საქართველო)) მიიღო გადაწყვეტილება მცხეთის ისტორიული ძეგლების (საქართველო) საფრთხეში მყოფ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დატოვების შესახებ. იუნესკოს კომიტეტის 37-ე სესიამ, შარშან მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტის 36-ე სესიისთვის შემუშავებული ბაგრატსა და გელათთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია ბაგრატის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღებისა და გელათის რენომინაციის მომზადების შესახებ, განხილვის გარეშე დაამტკიცა. კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას აძლევს შანსს და სთხოვს, რომ მოხდეს ძეგლის საზღვრების შეცვლა და სამომავლოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მხოლოდ გელათი წარადგინოს. იუნესკო გამოხატავს კეთილ ნებას გელათის საკითხთან დაკავშირებით, ქართულ მხარეს სთხოვს გელათის მსოფლიო მნიშვნელობის ძლიერ დასაბუთებას და მის ხელახალ წარდგენას, თუმცა კომიტეტი გარანტიას არ იძლევა, რომ გელათიც არ ამოვარდება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან", — ნათქვამია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

ამავე უწყების ცნობით, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესიას წელს კამბოჯა მასპინძლობს, სესია 17 ივნისს გაიხსნა. ამ დროისთვის კომიტეტის სესიაზე, დამკვირვებლის სტატუსით, იმყოფება ქართული დელეგაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის — მარინე მიზანდარის ხელმძღვანელობით; დელეგაციის შემადგენლობაში არიან „ICOMOS საქართველოს" ორგანიზაციის გენერალური მდივანი ნატო ცინცაბაძე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი რუსუდან მირზიკაშვილი.

# ამერიკელი კონგრესმენები ქართული სამართლიანობის წინააღმდეგ



**ამდენი მძიმე მარცხის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" ტაქტიკურ წარმატებას მიაღწია. კონგრესის ვებ-საიტზე გამოქვეყნებულმა ტექსტმა, რომელიც სააკაშვილის ჯგუფისთვის სასურველ ფორმულირებებს შეიცავდა, მძიმე დეპრესიაში ჩავრდნილ „ნაციონალებს", თუნდაც მცირე დროით, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა და კიდევ ერთხელ დააფიქრა მარადიულ თემაზე „იქნებ ყველაფერი დაკარგული არაა?". რა შედეგს მიაღწია ამ ეპიზოდში ყოფილმა მმართველმა პარტიამ? რა უნდათ ჩვენგან ამერიკელ კონგრესმენებს?**

### კონგრესი, პროგრესი და რეგრესი

უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა, ალბათ, განხილული დოკუმენტის სტატუსზე უნდა ვთქვათ. ის არ ასახავს კონგრესის და მითუმეტეს თეთრი სახლის ოფიციალურ პოზიციას; ჩვენ ვსაუბრობთ ჩანაწერზე, რომელიც კანონპროექტში წარმომადგენელთა პალატამ შეიტანა. **კანონის ტექსტში ეს სკანდალური პასაჟი მხოლოდ შეთანხმება-დამტკიცების რამდენიმეთვიანი პროცედურის შემდეგ მოხვდება** (ან არ მოხვდება). **ჯერჯერობით კი ეს მხოლოდ სიგნალია, რომელიც ორ გარემოებაზე მიუთითებს: ა) საგარეო საქმეთა სამინისტრო და ის ცალკეული პირები, რომელთაც ბიძინა ივანიშვილმა დაავალა, აუხსნან და განუმარტონ ამერიკულ ისტებლიშმენტს, თუ რა ხდება საქართველოში და იმუშაონ ლობისტებთან, მათზე დაკისრებულ მოვალეობას ძალიან ცუდად ასრულებენ; ბ) ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილი მზადაა, საქართველოსთან ურთიერთობაში ორმაგი სტანდარტები გამოიყენოს. პრინციპში, არც ერთი, არც მეორე საიდუმლოს ამ ეპიზოდამდეც არ წარმოადგენდა.**

იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც ამ ჩანაწერს საქართველოში მიენიჭა, ალბათ, აჯობებს, ის სრულად მოვიყვანოთ:

1. საქართველო უაღრესად ღირებული მოკავშირეა აშშ-ისთვის; საქართველომ არაერთხელ დაამტკიცა ორ ქვეყანას შორის საერთო ინტერესებისადმი ერთგულება, მათ შორის ავღანეთში, აისაფისა და ერაყში მულტინაციონალური ძალების მისიაში ქართული სამხედროების მონაწილეობით;

2. 2012 წლის ოქტომბერში, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარება საქართველოს მთავარი მიღწევაა თავისუფალი საზოგადოებისა და სრული დემოკრატიისკენ სვლის კუთხით;

3. თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არჩეული საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ამჟამინდელი ოპოზიციის წევრების მიმართ გატარებული ზომები, როგორც ჩანს, პოლიტიკურად მოტივირებული იყო;

4. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების 100-მდე წევრი გასამართლდა დანაშაულებრივი ქმედებებისთვის;

5. მსგავსი ბრალდება წაუყენეს ოპოზიციის წევრებსაც, მათ შორის ვანო მერაბიშვილს — „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივანს;

6. ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან ამან, შესაძლოა, გავლენა იქონიოს თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანზე 2013 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე;

7. საქართველოს მთავრობამ არასაკმარისი ნაბიჯები გადადგა „ნაციონალური მოძრაობის" წევრების წინააღმდეგ გამოვლენილი ძალადობის აღსაკვეთად და დამნაშავეთა დასასჯელად;

8. ეს ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის წინასვლას თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შექმნის კუთხით, სადაც ძირითადი თავისუფლება, მათ შორის პოლიტიკური ოპოზიციის თავისუფლება, გარანტირებული უნდა იყოს.

ბ) 1. აშშ ერთგული რჩება, დაეხმაროს ქართველ ხალხს თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში;

2. საქართველოს მთავრობის მიერ ყოფილი მაღალჩინოსნებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გატარებულმა ზომებმა, რომლებიც ნაწილობრივ პოლიტიკურად მოტივირებულია, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ნეგატიური დარტყმა მიაყენოს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობას, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხებში მყარი ურთიერთობის დამყარების მცდელობაში, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ინტეგრაციის წინსვლას;

3. აშშ-ის პოზიცია ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, როდესაც მის საკვანძო მოკავშირე ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაბარების შემდეგ დემოკრატია რეგრესს განიცდის;

4. ამერიკელი ხალხი და კონგრესის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ავღანეთში 2013 წლის 6 ივნისს დაღუპული შვიდი სამხედროს გამო, ასევე 2013 წლის 13 მაისს დაღუპული სამი ქართველი სამხედროს გამო **(ციტატის დასასრული).**

**ამ ტექსტის კრიტიკა საქართველოში, როგორც წესი, შეიცავდა შემდეგ თეზისებს** (და მოწოდებას კონგრესმენების მიმართ — ცივი წყალი დალიონ):

— **სად იყვნენ ამერიკელი კანონმდებლები მაშინ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს ხოცავდა და აწამებდა?**

— **საქართველოს კანონმდებლობა, ისევე, როგორც კანონის უზენაესობის პრინციპი, არ ითვალისწინებს რაიმე შეღავათებს ან იმუნიტეტს ყოფილი ჩინოვნიკებისთვის ან „ნაცმოძრაობის" წევრებისთვის;**

— **ბრალდებებს ოპოზიციის დევნის შესახებ ფასი მხოლოდ დაკონკრეტების შემთხვევაში აქვს** (სად, როდის, რა ფორმით, კანონის რა ნორმასთან მიმართებაში დაირღვა მათი უფლებები).

საინტერესო ნიუანსი: ▶

მოკლედ

## ხვლიკი ნორლანდსაც მიუსრიალდა

**ტიტანურ ბრძოლაში, რომელიც იმართება „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის, ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სხვა პარტიებიც არსებობენ,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ გიორგი თარგამაძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. მისივე განმარტებით, მულტიპარტიული სისტემა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და სასიკეთოა. **„ჩემთვის სასიამოვნო იყო გიორგი თარგამაძესთან შეხვედრა. მიმოვიხილეთ პარტიაში მიმდინარე მოვლენები. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" იყო ერთ-ერთი პირველი პარტია, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლის პერიოდში ვესტუმრე. მას შემდეგ ვინარჩუნებ მასთან ურთიერთობას და ვცდილობ, კონტაქტი მქონდეს. ტიტანურ ბრძოლაში, რომელიც იმართება „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის, ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობენ სხვა პარტიებიც. მულტიპარტიული სისტემა კი დემოკრატიული საზოგადოებისთვის ძალზედ სასიკეთო და მნიშვნელოვანია",** — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა. მას „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან ხმად მიაჩნია. **„ბატონმა თარგამაძემ კვლავ დაადასტურა მხარდაჭერა ევროპული ღირებულებებისადმი. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს მთავრობასა და მთავარ ოპოზიციურ პარტიასთან კონტაქტთან ერთად შევეცდებით ურთიერთობა შევინარჩუნოთ ამ პარტიასთან და ყველა სხვა ძალასთან, რომელიც წარმოდგენილია ქართულ მულტიპარტიულ პოლიტიკურ სივრცეში",** — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა.

**არც ისე იოლია, დააზარალო ქვეყანა, რომელსაც დასაკარგი, პრაქტიკულად, არაფერი აქვს და რომელიც, ამასთანავე, პრობლემურ გეოპოლიტიკურ ზონაში მდებარეობს. ეს არ არის კარიბის ზღვის რეგიონი და ამერიკელებმა აქ მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით შედარებით ფრთხილად უნდა იმოქმედონ.**

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თუ ახალი მთავრობა თავს დაანებებს სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულის გამოძიებას, უკმაყოფილება საზოგადოებაში ნამდვილი აფეთქებით დაგვირგვინდება

**თუ „ვაშინგტონ პოსტის“ 1 ივნისის სარედაქციო საბჭოს წერილში, რომელსაც საქართველოში ასევე დიდი რეზონანსი მოჰყვა, ნაწილობრივ მაინც დადასტურებული იყო ძველი რეჟიმის წარმომადგენელთა შესაძლო ბრალეულობა და იქვე ფიქსირდებოდა მოწოდება, რომ არჩევნებში მარცხის აღიარებისთვის მათ ის ეპატიოთ, განხილული ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მერაბიშვილს და სხვა ყოფილ ჩინოვნიკებს მხოლოდ იმისთვის იჭერენ, რომ ისინი ოპოზიციაში არიან.**

## ძველი ამერიკული თამაში

ყოველივე ამაში ახალი არაფერია; **XX საუკუნის მეორე ნახევარში ლათინური ამერიკის (და აფრიკის) ქვეყნებში არაერთგზის გამოიყენეს შემდეგი მიდგომა: ძველი რეჟიმის წარმომადგენელთა პატიება ქვეყანაში სტაბილურობის და ეროვნული ერთიანობის შენარჩუნების სანაცვლოდ, „სამართლიანობის აღდგენისა და შერიგების კომისიების“ შექმნით და „წარსულის წარსულში დატოვების“ პროპაგანდით.** ეს პრაგმატული მიდგომაა, რომელმაც არაერთი ქვეყანა სერიოზული რყევებისგან დაიცვა, მაგრამ ის პრინციპულად არაევროპული და, საბოლოო ჯამში, ანტიდემოკრატიულია. **იქ, სადაც თუნდაც ერთი დანაშაული დაუსჯელი რჩება, ხოლო ამა თუ იმ პირის სტატუსი წარსულში ან აწმყოში მას, თუნდაც ერთი მილიმეტრით, კანონზე მაღლა აყენებს, იქ არც ევროპაა და არც დემოკრატია. ხოლო თუ ვინმეს ვაშინგტონში ჰგონია, რომ საქართველო „ცივი ომის“ დროინდელი“ ჰონდურასია, ნიკარაგუა ან სალვადორი, ეს, უპირველეს ყოვლისა, მათი პრობლემაა და არა ჩვენი.**

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დემოკრატიას და სამართლიანობას წამით გვერდზე გადავდებთ (რაც არ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ მაინც), ვნახავთ, რომ მსგავსი, ერთი შეხედვით, „პრაგმატული გადაწყვეტილება“ ხელს სტაბილურობას კი არა, ტოტალურ დესტაბილიზაციას შეუწყობს. **თუ ახალი მთავრობა თავს დაანებებს სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულის გამოძიებას, უკმაყოფილება საზოგადოებაში ნამდვილი აფეთქებით დაგვირგვინდება.**

სიტუაციის არსის გამოკვეთაში შეიძლება ერთი უცნაური მაგალითი დაგვეხმაროს. არის ამერიკაში ასეთი თამაში: ორი მთვრალი ახალგაზრდა ჯდება სხვადასხვა მანქანაში და დიდი სიჩქარით ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრაობას იწყებს. ის, ვინც შეჯახებას შეუშინდება და გადაუხვევს, წაგებულია. კაცმა რომ თქვას, ამ მოდელის გათვალისწინების გარეშე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გაშიფრვა შეუძლებელია. ეს ფსიქოლოგიური თამაშია; ისინი აკეთებენ ყველაფერს, რათა მოწინააღმდეგე დაარწმუნონ, რომ არ გადაუხვევენ (ფრიად ოსტატურად; ბადალი ნამდვილად არ ჰყავთ). მაგრამ, თუ იგრძნობენ, რომ ოპონენტს არ ეშინია და სავარაუდო შეჯახების წერტილისკენ სუპერმენის შემართებით მიექანება, თმობენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი სატრანსპორტო საშუალება ტანკი „აბრამსია“, ხოლო მოწინააღმდეგის — ძველი „ფოლქსვაგენ-ხოჭო“. **ქართველი პოლიტიკოსები ორ ნაწილად იყოფიან: უდიდეს ნაწილს ეშინია და ფიქრობს, რომ ამერიკელები არ დათმობენ და „აბრამსი“ „ხოჭოს“ გადაუვლის. მცირე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ შეჯახება, 99%-იანი ალბათობით, არ მოხდება და ძია სემი, ნებისმიერ შემთხვევაში, სავსებით პრაგმატულად, გადაუხვევს, რადგან პრიზი** (სააკაშვილის ჯგუფის ხელშეუხებლობა, ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის გადამტერების ხარჯზე) **მეტად საეჭვოა და არასაკმარისია იმისთვის, რომ ის არსებითად არარაციონალურ შეჯახებაზე წავიდეს, იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის მთავრობა სიმტკიცეს და კანონის უზენაესობის ერთგულებას გამოავლენს.**

რას იზამენ? დაბლოკავენ საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, რომელიც ისედაც დაბლოკილია ევროპელი მოკავშირეებისა და კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი სიტუაციის მიერ? არ მოგვყიდიან (უსასყიდლო გადმოცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია) თუნდაც ვიეტნამის ომის დროინდელ საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს, რის გაკეთებას ისედაც არ აპირებენ, რათა რუსეთთან ურთიერთობა არ გაიფუჭონ? შეწყვეტენ იმ ქართული ნაწილების წვრთნასა და აღჭურვას, რომლებიც ავღანეთში სჭირდებათ? თუ 82-ე დივიზიას გადმოსხამენ და სააკაშვილის რეჟიმს აღადგენენ, რადგან შიდაქართული რესურსებით ამის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია? **არც ისე იოლია, დააზარალო ქვეყანა, რომელსაც დასაკარგი, პრაქტიკულად, არაფერი აქვს და რომელიც, ამასთანავე, პრობლემურ გეოპოლიტიკურ ზონაში მდებარეობს. ეს არ არის კარიბის ზღვის რეგიონი და ამერიკელებმა აქ მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით შედარებით ფრთხილად უნდა იმოქმედონ.**

ამერიკელ (და ევროპელ) პარტნიორებს ნამდვილად შეუძლიათ სასარგებლო როლის შესრულება — მაღალჩინოსანი პატიმრების მდგომარეობის მონიტორინგი და ხმაურის ატეხვა, იმ შემთხვევაში, თუ მათი უფლებები რაიმე ფორმით დაირღვევა. მაგრამ **უცხო ქვეყნების რაიმე სხვა ტიპის მოქმედება შექმნილ სიტუაციაში აპრიორი უნდა განიხილებოდეს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის უგულებელყოფის მცდელობა და უხეში ჩარევა მის საქმეებში.**

## ჩამოვყალიბდეთ, ძია სემ!

**სააკაშვილის მმართველობის წლებში საზოგადოების ნაწილი, სამწუხაროდ, შეეგუა იმ აზრს, რომ საქართველოს ბედი ვაშინგტონში წყდება და ნებისმიერი სტატია ამერიკულ მედიაში, ლობისტების მიერ დამუშავებული კონგრესმენის კომენტარი ან თუნდაც ტექსტი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს მთელი კანონმდებლობა და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები. ეს „ჩვენი ძაღლიშვილების“ ეპოქისთვის დამახასიათებელი მიდგომა დამკვიდრდა როგორც მოსახლეობაში, ისე პოლიტიკურ ელიტაში და მისი ამოძირკვის გარეშე, ოცნება თუნდაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე ამაოა.**

ყოველივე მომხდარი, კრემლისთვის, ალბათ, სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტმა საქართველოში ანტიამერიკული ემოციების მორიგი ამოფრქვევა გამოიწვია, ამასთანავე, წარმომადგენელთა პალატის კანონპროექტში დაფიქსირდა კავშირი სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა დასჯაარდასჯასა და ნატოში ინტეგრაციას შორის („ბ“ ნაწილის მეორე პუნქტში, „საერთაშორისო ორგანიზაციებს“ შორის აშკარად ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც იგულისხმება). ამ თემის შემდგომი ექსპლუატაცია სააკაშვილის ჯგუფის და მისი ლობისტების მიერ და მისი ასახვა უფრო სერიოზულ დოკუმენტებში ცალსახად გააღვივებს ნატოს საწინააღმდეგო განწყობებებს საქართველოში და შექმნის დამატებით მიზეზს იმისთვის, რომ ალიანსმა საქართველოს ყბადაღებული „კარი“ არ გაუღოს (ცხადია, რეალურად დაბრკოლებას სხვა ფაქტორები განაპირობებს, რომელთაც ზემოთ შევეხეთ, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა თითოეულ ნიუანსს აქვს). **მოსკოვი ამ კამპანიის წარმოებაში, რომელიც მისთვის სასურველ კალაპოტში მიედინება, არც ერთ რუბლს არ ხარჯავს, რადგან მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებს. ის არ არის ლიდერი, რომელიც იტყვის: „ოღონდაც ნატოში მიგვიღეთ და ციხეში ჩემი ფეხით მივალ“. მის შიშს ძალიან დიდი თვალები აქვს და ის, სავარაუდოდ, გააკეთებს ყველაფერს, რათა მას არათუ გასამართლების, არამედ დაკითხვის საფრთხეც კი არ დაემუქროს. თუ ვინმე დაარწმუნებს მას, რომ ამისთვის საჭიროა ნატოს საწინააღმდეგო აგიტაცია აწარმოოს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ორიოდე საათში ამერიკის საელჩოსთან შესაბამისი დროშების დაწვას არ დაიწყებს.**

როგორც უკვე ვთქვით, განხილული ტექსტი ობამას ადმინისტრაციის ოფიციალურ პოზიციას არ ასახავს. შექმნილ სიტუაციაში, ალბათ, მის საბოლოო ჩამოყალიბებას უნდა დაველოდოთ და დასკვნები აშშ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებზე მხოლოდ მასზე დაყრდნობით გავაკეთოთ. ასე რომ, გისმენთ, ძია სემ, შენ პირდაპირ ეთერში ხარ...

**დიმიტრი მონიავა**

# რუსეთის პროკურატურა მიკაელ კადიევის ექსტრადირებას მოითხოვს

**რუსეთის გენერალური პროკურატურა საქართველოს ხელისუფლებას მიკაელ კადიევის ექსტრადირების მოთხოვნას გაუგზავნის. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება.**

**„მაგრამ, სავარაუდოდ სამშობლოში კადიევი მას შემდეგ მოხვდება, რაც თბილისში მოიხდის სასჯელს. ამ ეტაპზე მას ბრალი ედება იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვაში, თუმცა ტერაქტის მოწყობისთვის დააკავეს“,** — წერს რუსული „კომერსანტი“.

მიკაელ კადიევს რუსეთში დაღესტანში, ხასავიურტის რაიონის თავმჯდომარის მკვლელობისთვის წაუყენეს ბრალი.

მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი ტერაქტის მცდელობისთვის თბილისში 13 ივნისს დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მათი საცხოვრებლიდან დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება და ელექტროდეტონატორი, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია ამოიღეს. გამოძიების ცნობით, ინტერპოლის მიერ ძებნილი კადიევი საქართველოს 2011 წლიდან აფარებდა თავს.



# სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიკაელ კადიევის რუსეთში ექსტრადირება არ უნდა მოხდეს

**ნანუაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:**

„მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თობაზე, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურა საქართველოს ხელისუფლებას მიკაელ კადიევის ექსტრადირების მოთხოვნით მიმართავს. მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი ტერაქტის მცდელობისთვის თბილისში 13 ივნისს დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მათი საცხოვრებლიდან დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია ამოიღეს. მიკაელ კადიევი საქართველოს 2011 წლიდან აფარებდა თავს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება ექსტრადირების საქმეებზე, მათ შორის გამოტანილი საქართველოს წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკა (საქმე „შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (საჩივარი № 36378/02)).



საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ მიკაელ კადიევის ექსტრადირება არ უნდა მოახდინოს, რადგან არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას და ის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდეს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

**„გავრცელებული ინფორმაციით, კადიევზე ძებნა ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელის მკვლელობისთვის 2011 წლიდან არის გამოცხადებული“,** — წერს „კომერსანტი“.

შეგახსენებთ იმასაც, იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით მიკაელ კადიევსა და რიზვან ომაროვს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 50-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

# ვენეციის კომისია რეკომენდაციებს აქვეყნებს

**ვენეციის კომისიამ 95-ე პლენარულ სესიაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შესახებ მომზადებული კონონპროექტი განიხილა.**

როგორც კომისიის დასკვნაშია აღნიშნული, საქართველოში ამნისტიის კანონი არ განხორციელდა „კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპების, კერძოდ, კანონიერების (მათ შორის, გამჭვირვალობის), თვითნებობის აკრძალვის, არადისკრიმინაციისა და კანონის წინაშე თანასწორობის შესაბამისად.

**„უნდა იყოს შემუშავებული სასამართლოსთან დაკავშირებული მექანიზმი, რომელიც დროებით კომისიას საქმეების გადაწყვეტაში დაეხმარება. კრიტერიუმები, რომლებიც ამ მექნიზმებისთვის გამოიყენება, უნდა იყოს საჯარო, მათ შორის წარსულში გამოყენებული კრიტერიუმებიც. „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის კანონპროექტი“ ამ მექანიზმის უზრუნველსაყოფადაა“,** — ნათქვამია დასკვნაში.

კომისიის დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ არასამართლებრივი ორგანოს მიერ შესაძლო მასობრივი სამართლებრივი დარღვევების გამოძიება კითხვებს აჩენს ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა უფლებამოსილების განცალკევება და საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სასამართლო დამოუკიდებლობა, ასევე შესაძლოა გამოძიება საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოვიდეს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ელემენტარულად ჩვენ არ გაგვაჩნია საზღვრები, ფაქტობრივად, არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან — არც დემარკირებული და არც დელიმიტირებული. ერთადერთი საზღვარი, რომელიც დადგენილია, არის თურქეთთან და ისიც შთამომავლობითაა გადმოსული საბჭოთა კავშირიდან. ასე რომ, ძალიანაც რომ უნდოდეს, ალიანსი ვერ მიგიღებს, ამით პრაქტიკულად მისი საზღვრები დაირღვევა...“**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: მთელმა საქართველომ, დიდ-პატარამ იარაღი რომ აისხას და ავღანეთში წავიდეს, ნატოში არავინ მიგვიღებს

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**



**— ბატონო ჰამლეტ, 7 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელსაც 7 ქართველი სამხედრო ემსხვერპლა, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში ვერანაირი პოზიტიური შედეგი ჩვენი სახელმწიფოსთვის ვერ მოაქვს. თქვენი აზრით, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, რეალურად რამდენად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობაში ანტინატოური და ზოგადად, ანტიდასავლური განწყობა იზრდება?**

— კითხვის ბოლო ნაწილიდან დავიწყებ, ცხადია, ანტინატოური განწყობა იზრდება და ეს, უწინარესად, გამოწვეულია იმით, რომ ამ ორგანიზაციის მესვეურები, პირველ რიგში, ამერიკის მთავრობა, აქტიურ მხარდაჭერას უწევდა წინა ხელისუფლებას. საერთოდ, საქართველოს მოსახლეობა, შეიძლება არა ასე მკაფიოდ, მაგრამ ყოველთვის გამოთქვამდა უკმაყოფილებას ჩვენი სამხედროების ყოფნის გამო სხვადასხვა საერთაშორისო მისიაში. ახლა რაც შეეხება ზოგადად იმ ვითარებას, რომელიც გვქონდა ბოლო ერთი თვის განმავლობაში, **როდესაც ასეთ მცირე დროში, დაახლოებით სამკვირიანი ინტერვალით, ხდება ორი თავდასხმა სამხედრო ბაზაზე, თანაც არასაომარ ვითარებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ავღანეთში მყოფი ძალები მყავს მხედველობაში, არ არის ელემენტარული დისციპლინა.** მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, მაგრამ ამას დიდი ექსპერტობა არ სჭირდება, აქ სახეზეა უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა...

**— კი მაგრამ, მათ ხომ ნატოს ხელმძღვანელობა აკონტროლებს? გამოდის, რომ აისაფის მისიაში მონაწილე სამხედრო კონტიგენტები თავიანთ ნებაზე არიან მიშვებულნი?**

— არამარტო აისაფის მისიაში მყოფ შენაერთებს, არამედ, როგორც ჩანს, დისციპლინა არ აქვს ჩვენს თავდაცვის სამინისტროსაც. ეს გამოვლინდა კიდეც ახლა, როცა სამხედროები მოიწამლნენ საკვებით; ეტყობა, იქაც გარკვეულ კანონდარღვევებს აქვს ადგილი.

**— კერძოდ?**

— კერძოდ, ფულის კეთების ტრადიცია არ წყდება საქართველოში. ეს ტრადიცია ზენიტში აიყვანა წინა ხელისუფლებამ, რომელიც, მართალია, წლების მანძილზე გვარწმუნებდა, რომ კორუფცია აღმოფხვრა, მაგრამ რაც ხდებოდა სინამდვილეში, ყველამ კარგად ვიცით. ახლა ალასანია ძალიან მკაცრად აცხადებს თავების დაგორების შესახებ, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, მეორე მხრივ, რა ხდება — იმავე ალასანიას მეგობარ გია ყარყარაშვილის მძღოლი ინიშნება სამხედროთა კვების რაღაც განყოფილების უფროსად. ზუსტად ამაზეა ნათქვამი: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ეს ყველაფერი ჯამში იმას ნიშნავს, რომ **დღესაც ზუსტად იგივე ვითარებაა, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო თავდაცვის სამინისტროში.**

**— თქვენი აზრით, ამ პრობლემის მოგვარების ნება არ არსებობს თუ რაიმე რესურსებია საჭირო და ახალ ხელისუფლებას ეს, უბრალოდ, არ აქვს?**

— არანაირი რესურსი ამას არ სჭირდება, ამას სჭირდება ერთი რამ: ადამიანი უნდა იყოს პატიოსანი და, რაც მთავარია, უნდა იყოს ქვეყნის პატრიოტი არა სიტყვით, არამედ საქმით. ეს არ ჩანს, არც აქ და არც ავღანეთში. ახლა ვიყვიროთ, რამდენიც გვინდა: ჩვენი გმირები, ვაჟკაცები და ა. შ. არაფერი ამით არ იცვლება. არც ის კომპენსაცია ნიშნავს არაფერს, დაღუპულთა ოჯახებს რომ მისცეს. ამით ვითარება ვერ გამოსწორდება, რადგან რეალურად საკითხებისადმი მიდგომა რჩება იგივე.

**— სამაგიეროდ, თურმე ნატოს წევრობას ვუახლოვდებით.**

— ხო, ახლა ამის გამალებული პროპაგანდა მიდის. მე მგონი, „ნაციონალების“ რეკორდიც კი მოხსნეს ამათმა; არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **სრულიად საქართველოს მოსახლეობამ, უკლებლივ ყველა მოქალაქემ, დიდ-პატარამ რომ იარაღი აისხას და წავიდეს ავღანეთში, ჩვენ მაინც არავინ მიგვიღებს ნატოში. მათ სულ სხვა პარამეტრები აქვთ, ამიტომ მარტო უსაფრთხოების მისიებში მონაწილეობა არაა საკმარისი.** როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს დემაგოგია, არ ვიცი. დაწყებული პრემიერიდან, დამთავრებული რიგითი „მეოცნებეთი“ — ყველა გვარწმუნებს, რომ ჩვენთვის ალიანსის კარი ღიაა...

**— თვითონ ნატოს ხელმძღვანელობაც რომ იმავეს გვეუბნება?**

— ის რას გვეუბნება, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია, შენი ხელისუფლება რას გპირდება. უსუფაშვილმა სულ მთლად მხატვრულად დაგვიხატა ყველაფერი, — თუკი საქართველო გადაუხვევს კურსს და არ დადგება დასავლეთის გვერდით, მაშინ იმ საზღვარმა, რომელმაც ამასწინათ რამდენიმე მეტრით გადმოიწია დიცში, შეიძლება, კიდევ უფრო გადმოიწიოსო. არ არის, ხალხო, ეს ასე, ამიტომ მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ შეწყვიტონ ასეთი დემაგოგიური ლაპარაკი.

**— სხვათა შორის, ამასწინათ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ აისაფის მისიაში საქართველოს მონაწილეობის კრიტიკა და ავღანეთიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის მოთხოვნა ახლა ღალატის ტოლფასია.**

— სახელმწიფოს ღალატი ისაა, რომ ალასანიაა თავდაცვის მინისტრი, როდესაც ეს ადამიანი, დემოკრატიული საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებლად აცხადებს, ვიღაცის თავები დაგორდებაო. სად ლაპარაკობენ ასეთი ენით?! რას ჰქვია, დაგორდება? თავს აჭრი?! საქართველოში აღარ არის სიკვდილით დასჯის კანონი და ეს უბედური სიტყვებსაც არ უკვირდება, სისულელეებს ბარდღალებს. ასეთ ქვეყანას ვინ მიიღებს ნატოში?! ამასაც რომ თავი დავანებოთ, არის პარამეტრები, რომლებსაც საქართველო ვერასოდეს დააკმაყოფილებს...

**— მაგალითად?**

— ნატო არასოდეს აიკიდებს ზურგზე იმ პრობლემებს, რომლებიც საქართველოს აქვს. **ელემენტარულად ჩვენ არ გაგვაჩნია საზღვრები, ფაქტობრივად, არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან — არც დემარკირებული და არც დელიმიტირებული. ერთადერთი საზღვარი, რომელიც დადგენილია, არის თურქეთთან და ისიც შთამომავლობითაა გადმოსული საბჭოთა კავშირიდან. ასე რომ, ძალიანაც რომ უნდოდეს, ალიანსი ვერ მიგიღებს, ამით პრაქტიკულად მისი საზღვრები დაირღვევა...**

**— დასაწყისში თქვით, რომ რა მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს ჩვენი სამხედრო კონტიგენტი ავღანეთში, ნატოში მიღება-არმიღების საკითხი ამაზე არაა დამოკიდებული. მაშინ, თქვენი აზრით, რაში სჭირდებოდა და სჭირდება დღესაც ხელისუფლებას აისაფის მისიაში ასეთი აქტიური მონაწილეობა?**

— ამით სარგებელს იღებს არა ეს უბადრუკი ქვეყანა, არამედ ყველა ის, ვინც ხელისუფლებაშია. კონკრეტულად საუბარია მათი თანამდებობრივი სავარძლების სიმტკიცეზე, თავზე ხელის გადასმაზე ამერიკელი მაღალჩინოსნების მხრიდან და ა. შ. მერე მოსახლეობას ეუბნებიან, აი, ხომ ხედავთ, ჩვენ როგორ გვიჭერენ მხარს დასავლეთშიო. **დღესაც კი ყველაზე კორუმპირებულ და ყველა პარამეტრით ისეთ დაცემულ პიროვნებას, როგორიც სააკაშვილია, ისინი მხარში უდგანან, მეტიც, კბილებით იცავენ. ახლა ცხადია, ასეთივე მხარდაჭერა სჭირდება ახალ ხელისუფლებასაც. ასე რომ, აქ სულ სხვა ინტერესებია.** აი, ამ ინტერესების გამო ხდება მთელი ეს დაპირისპირება, თორემ სამხედრო მომზადებას რაც შეეხება, რამდენადაც უნდა გაზარდოს საქართველომ შეიარაღება და რა ცხელ წერტილებშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა, ჩვენ ვერც ერთ ჩვენს მეზობელს ვერ გავუმკლავდებით — ვერც სომხეთს და ვერც აზერბაიჯანს, თურქეთსა და რუსეთზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

**— რუსეთი რადგან ახსენეთ, ვლადიმერ პუტინის განცხადებაზეც გკითხავთ, რომელიც მან წინა კვირას გააკეთა. კრემლის მესვეურმა განაცხადა, რომ ოფიციალური მოსკოვი მზადაა საქართველოსთან თანამშრომლობისთვის. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ **რუსეთის ხელისუფლება მზად არის საქართველოსთან დიალოგისთვის. მოსკოვმა ეს თქვა პრეზიდენტის, ანუ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის პირით.** ახლა რას ამბობს საქართველო? — საქართველო ამას ამბობს ფანჯიკიძის პირით, აბაშიძის, ზაქარეიშვილის და ა.შ. რაც შეეხება თვითონ ივანიშვილს, მან ერთ-ერთ გამოსვლაში პაირდაპირ განაცხადა, რომ საქართველო ვერ დაიწყებს ვერანაირ მოლაპარაკებას კრემლთან, ვიდრე მას ეყოლება საელჩოები სოხუმსა და ცხინვალში, ვიდრე რუსეთის შეიარაღებული ძალები იქნება ამ რეგიონებშიო. აქედან თუ ამოვალთ, გამოდის, რომ **ის, რაც თქვა ვლადიმერ პუტინმა, სულაც არ ანაღვლებს საქართველოს ხელისუფლებას. ის არის გაბუტული და ჯიუტად თავისას გაიძახის, ანუ წინაპირობას აყენებს: გაიყვან ჯარს, გაიყვან დიპლომატებს, დაგელაპარაკები, არ გაიყვან, მაშინ არანაირი დიალოგი არ მინდა.**

**— ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობების დარეგულირების პროცესი ჩიხშია?**

— ეს ნიშნავს, რომ საქართველო მზად არ არის დიალოგისთვის. ჯერ ერთი, არ არის იმიტომ, რომ, როდესაც დაიწყება მოლაპარაკებები, უპირველეს ყოვლისა, იქ დაისმება ასეთი კითხვა რუსეთის მხრიდან: როგორ აფასებს საქართველოს ახალი ხელისუფლება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს? ამ დროს რა უნდა უპასუხოს ქართულმა დელეგაციამ, ხომ არ ეტყვის, აგრესია თქვენ განახორციელეთო?! მეორეც, იქ აუცილებლად შეეხებიან საკითხს, ვინ იდგა ამ ავანტიურის უკან. ის, რომ ამერიკელები იდგნენ, ისრაელი და ა.შ. ხომ უკვე ყველამ იცის?! სხვათა შორის მთელი ეს პერიპეტიები ძალიან კარგად აღწერა ლევ გუნინმა თავის წიგნში, რომლის ნაწილიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა...

**— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ კითხვებზე პასუხების გაცემა გაუჭირდება?**

— ყოველ შემთხვევაში ის პოზიცია, რომელიც საჯაროდ ფიქსირდება, არანაირად თანხვედრი არ არის რუსული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან. გარდა ამისა, ჩვენ არ ვიცით, აპირებს თუ არა ხელისუფლება 2008 წლის მოვლენების ხელახალ გამოძიებას და შემდგომ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ესენი დამნაშავეები არიან, ამიტომ პასუხი უნდა აგონ, ისე კი არაა საქმე, თავზე ხელს რომ უსვამენ და თარგამაძეს უფლებას აძლევენ, ენაგადმოგდებულმა, რაც პირზე მოადგება, ყველაფერი ილაპარაკოს. ის არის დამნაშავე, ისევე, როგორც სააკაშვილი.

**— ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირების წინაპირობა სპეცსამსახურების თანამშრომლობაა. მას არ გაუკეთებია მინიშნება 2008 წლის მოვლენების გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯაზე.**

— არის საკითხები, რომლებზეც საჯაროდ კეთდება განცხადებები და არის საკითხები, რომელთა განხილვაც დახურულ კარს მიღმა ხდება. ის, რაც პუტინმა ყველას გასაგონად განაცხადა, ერთ-ერთი გასაღებია, მაგრამ აშკარაა, რომ უფრო მნიშვნელოვანი და რთული თემებიცაა. არ ვიცი, ამის გადაჭრის რა გზები არსებობს ან რა პერსპექტივები შეიძლება მომავალში გააჩნდეს. ერთი რამ კი **ნამდვილად საკითხავია, საქართველოს დღევანდელი დიპლომატია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი მინისტრიდან დაწყებული, რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, თავისი დონით, არის კი იმისთვის მზად, რომ სერიოზული მოლაპარაკება აწარმოოს?! ნათლად ჩანს, რომ არ არის.** ერთადერთი, რისი გამოცდილებაც ჩვენს დიპლომატიას გააჩნია, სააკაშვილის უაზრო ხეტიალია უცხო სახელმწიფოებში, არავინ რომ არ იცის, რისთვის და რატომ. ანალოგიურია დღეს ფანჯიკიძის მოქმედებებიც. ისიც ასე უაზროდ დადის ხან იაპონიაში და ხან ბრაზილიაში. არც ერთ ამ სახელმწიფოებში საქართველოს ინტერესი არ გადის. ასე რომ, ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს, რომ ამგვარი პოლიტიკით საქმე არ კეთდება, ეს ვერანაირ შედეგს სახელმწიფოს ვერ მოუტანს...

## «ქვეყნის ღალატი ისაა, რომ ალასანიაა თავდაცვის მინისტრი»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გამოჰყავთ კიდევ გრიგალაშვილი, ვერც პიჯაკში რომ ვერ ეტევა და ვერც კანში, და აცხადებს, — უნივერსიტეტი სტამბოლის ბაზარი იყოო. სტამბოლის ბაზარი მაგან და თავისმა ძმამ ბორჯომში გახსნეს, საიდან იყიდა ავეჯიანად ვაკეში ის სასახლე, მოვიდეს და მაგაზე მელაპარაკოს...

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ელიზბარ ჯაველიძე:

# რა ცოდნა უნდა მოგცეს უნივერსიტეტმა, რომელშიც თეა თუთბერიძეა პროფესორი?

**უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, კოალიციის შიგნით კი ღია დაპირისპირება დაიწყო.
ვინ და რატომ გაილაშქრა აღნიშნული კანონის წინააღმდეგ, ვისი ინიცირებული იყო იგი, რა ბედი ელის ქვეყანაში უმაღლეს სასწავლებლებს — ამ საკითხებზე სასაუბროდ აკადემიკოსს, „სახალხო კრების" წარმომადგენელს — ელიზბარ ჯაველიძეს ვეწვიეთ.**



**— ბატონო ელიზბარ, მოგწონთ თუ არა ის, რა ცვლილების შეტანაც იგეგმება?**

— მარგველაშვილმა, როგორც განათლების მინისტრმა, რვა თვის განმავლობაში ვერაფერი გააკეთა, თუ არ ჩავთვლით უფასო წიგნების საკითხს, რომელიც, როგორც მითხრეს, სხვისი კარნახით გაკეთდა; მეორე, რამაც დღეს ხმაური გამოიწვია, ვანო კიღურაძის მოფიქრებულია. ის გახლავთ ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი, ძალიან განათლებული ადამიანი. მარგველაშვილი კი პლასტელინია, რომელიც ყველაფერს კომფორტულად ერგება, იღებს იმ ფორმას, რომელიც იმ წუთში სიტუაციას სჭირდება.

განათლებაზე საუბარი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ, რადგან განათლების სისტემის ნგრევა დღეს არ დაწყებულა, ეს პროცესი დიდი ხანია მიზანმიმართულად მიმდინარეობს.

მინდა გაგახსენოთ პერკინსის წიგნი, რომელშიც ნათლად არის გადმოცემული, რომ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი და საერთოდ ორგანიზაციები, რომლებიდანაც ინვესტიციები შემოდის, სისხლის სამართლის დამნაშავეებად არიან გამოცხადებულნი. აღნიშნული ორგანიზაციები ჩვენნაირ განვითარებად ქვეყნებში ფულს ერთადერთი მიზნით დებენ, რომ თანხები სისულელეში დავხარჯოთ და არა განვითარებისთვის. სწორედ ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილი უამრავ ფულს ხარჯავდა სულელური ძეგლების, შადრევნების გაკეთებაში, ბათუმში ანბანის არაფრისმთქმელი ძეგლის აღმართვაში და ასე შემდეგ. სააკაშვილი სულელია, მაგრამ მას დავალებაც ასეთი ჰქონდა.

**— ალექსანდრე ჭაჭია „საქართველო და მსოფლიოსთან" ინტერვიუში ამბობს, რომ თავის დროზე შევარდნაძემ აირჩია საგარეო დიქტატისადმი მორჩილება და შემდეგ უკვე სააკაშვილმა გააგრძელა შევარდნაძის სისხლიანი კურსი...**

— მართალს ამბობს ჭაჭია, სააკაშვილი ათჯერ და მეტჯერ უარესი გამოდგა შევარდნაძეზე, სწორედ მან გააგრძელა და კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა საქართველო, ის კარგი შემსრულებელი აღმოჩნდა. ამიტომაც ამერიკა აცხადებდა და დღესაც აცხადებს, რომ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო არის ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა და სააკაშვილი კი დემოკრატიის შუქურაო. მე ამერიკის აღარ მწამს. მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი პირველი ვიყავი, „ლიტერატურულ საქართველოში" „ამერიკის ხმის" ბეჭდვა რომ დავიწყე, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მივხვდი, **ამერიკაზე დიდი დამპყრობელი ერი არ არსებობს. ამერიკა მოდის დემოკრატიული ლოზუნგებით, მაგრამ ის „ცხვრის ტყავში გახვეული მგელია". უპირველეს ყოვლისა, მათ გააკეთეს ის, რომ ჩვენ სულიერი საზრდო წაგვართვეს. ვიღაც შემომედავება, აბა, რა წაგვართვესო?! გეტყვით, სულიერებას რა კვებავს? — კულტურა. აზროვნებას რა კვებავს? — ცნობიერება, ცნობიერება კი განათლებაზეა დაფუძნებული. პირველი დარტყმა მართლმადიდებლობაზე მოიტანეს, დაიწყეს შეტევა განათლების სისტემაზე და შემდეგ გადავიდნენ ოჯახზე.** მსოფლიოში შექმნილია ასეთი პროგრამა — გეგმიური ოჯახი, ამ პროგრამას საქართველოში წარმატებით ახორციელებდა „მიშას ქაბატო" — სანდრა რულოვსი. ის სოფელ-სოფელ, კარდაკარ დადიოდა და ადგილობრივ მცხოვრებლებს უნერგავდა, რომ ბევრი შვილი არ გაეჩინათ, ასწავლიდა მეთოდებს, როგორ აერიდებინათ ორსულობა. ალბათ, ფიქრობთ, განათლებასთან ეს ყველაფერი რა შუაშიაო, მაგრამ სწორედ ამან მიგვიყვანა იმ განათლების სისტემამდე, რომელსაც ახლა რეფორმირებულ, ამაღლებულ განათლებას უწოდებენ. სააკაშვილისთვის განათლების მწვერვალი იყო ბათუმში იაპონელი მზარეულის კურსები.

**საქართველოს სკოლებში არსებობდა პრუსიული სისტემა, რომელსაც დღეს რუსულს უწოდებენ. ეს იყო უნიკალური სისტემა, ჩვენი სკოლადამთავრებული ბავშვი გაცილებით მაღალი დონის იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნისა. სწავლება, რომელიც დღეს საქართველოშია, ამერიკული დაუნების სკოლების პროგრამის შესატყვისია.**

> **«ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ელისო ჩაფიძე, გედევან ფოფხაძე, დავით ონოფრიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ვიქტორ დოლიძე, ნინო გოგუაძე, თამარ კორძაია, ანი მიროტაძე — ჩათვალეთ, რომ ეს თერთმეტი ადამიანი ივანიშვილს უკვე დაუპირისპირდა»**

ამერიკელები ბედავენ, გვასწავლონ და მიგვითითონ ყველაფერზე, ტოლერანტობას გვთხოვენ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არც იმსახურებენ და არც საჭიროებენ ამას. ტოლერანტობაც ბიოლოგიური ტერმინია და ნიშნავს უარყოფითი ბაცილების შეჭრას ორგანიზმში, თუ ორგანიზმი არ შეეგუა, მაშინ კიბო ჩნდება.

ვის მიმართ უნდა გამოიჩინო ტოლერანტობა ან როგორ შეიძლება ილაპარაკო განათლებაზე? ან რა ცოდნა უნდა მოგცეს უნივერსიტეტმა, რომელშიც თეა თუთბერიძეა პროფესორი? ამასწინათ ტელევიზიით გამოვიდა ვიღაც ქალი, ტრაბახობდა, ჩვენი სტუდენტები სამაგალითოები არიანო. მომიყვანონ ერთი რომელიმე სტუდენტი, რომელსაც ცოდნა აქვს და რომელმაც რამე ფასეული შექმნა. უნივერსიტეტიდან მე ადრე გამიშვეს, მაგრამ „ნაცების" ხელისუფლებამ 250 პროფესორი გამოაგდო. გამოდის დღეს ეს ვიღაც სერგი რატიანი, გაუკეთებია ჰალსტუხი და გვმოძღვრავს, ვინ იყო თვითონ, ახლა რომ კაცობს?! გიგი თევზაცის „ზავხოზი" იყო, ვფიქრობ, მისი საქმეები შესასწავლია. გამოჰყავთ კიდევ გრიგალაშვილი, ვერც პიჯაკში რომ ვერ ეტევა და ვერც კანში, და აცხადებს, — უნივერსიტეტი სტამბოლის ბაზარი იყოო. სტამბოლის ბაზარი მაგან და თავისმა ძმამ ბორჯომში გახსნეს, საიდან იყიდა ავეჯიანად ვაკეში ის სასახლე, მოვიდეს და მაგაზე მელაპარაკოს... რეალობა ასეთია: **ქვეყანაში არიან ბევშვები, რომლებიც თურქულად კარგად ლაპარაკობენ, მე თურქოლოგი ვარ და ვამბობ, რომ მართლა იციან თურქული, ისინი ახერხებენ თურქეთში წასვლას და სალაპარაკო ენასაც სწავლობენ, ყველა თურქი მეწაღეც თურქულად მშვენივრად საუბრობს, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნეობა სულ სხვა რამეა...** უმაღლეს სასწავლებლებში საერთოდ არაფერს ასწავლიან, რადგან თვითონ უცოდინარები არიან. უნივერსიტეტში, ალბათ, ათამდე პროფესორია დარჩენილი, დანარჩენი გამოყარეს. ეს იყო სოროსის გეგმა, ის თვლიდა, რომ ლაბორატირიებშიც კი მათი ხალხი უნდა მჯდარიყო.

**— რამდენადაც ვიცი, როინ მეტრეველი, რომელსაც თქვენ მხარს უჭერდით, კარგი რექტორი იყო. ახლა მიშა ამბობს, რომ როინ მეტრეველის დროინდელი კორუფციის აღდგენა სურთო...**

— მიშა თვითონ არის კორუმპირებული, როინ მეტრეველმა ცამეტი წელიწადი კისრით ზიდა უნივერსიტეტი. იმ პერიოდში მე ვიყავი კომისიის წევრი და, თუ ერთი ადამიანი მაინც იტყვის, რომ თუნდაც ერთი კილოგრამი მსხალი მოეტანოს ჩვენთვის, მაშინ ხმას აღარ ამოვიღებ. რას ბოდიალობს! როგორც თვითონ არის გაფუჭებული, ყველა ისეთი ჰგონია. სააკაშვილი არის გახრწნილი მექრთამე, ამავე დროს წუწკი, წუწკი იმიტომ, რომ თავისი ფულით კი არ ყიდულობდა საჩუქრებს საყვარლებისთვის, არამედ ხალხის ფულით.

**— გამოდის, რომ თქვენ მხარს უჭერთ აღნიშნულ ცვლილებებს.**

— მე მხარს ვუჭერ იმას, რომ ყველამ არ შეიძლება ლექცია წაიკითხოს. აკადემიური განათლების არმქონეს უფლება არ აქვს ლექციის წაკითხვის. არ მომწონს ის, რომ ისევ იმ აკადემიურმა საბჭომ უნდა აირჩიოს რექტორი, რომელიც არსებობს. ვინ არიან საბჭოს წევრები? ილიას უნივერსიტეტში ხუთი წევრია საბჭოში, აქედან ერთი კოტე კუბლაშვილია, რომელსაც უდიდესი ხელფასი აქვს სასამართლოში და უნივერსიტეტშიც ხელფასს იღებს. ჯერ ერთი, მას არ აქვს უფლება, ორი სამსახური ჰქონდეს და მეორეც, რა ავტორიტეტი ეგ არის!

**ჩემი უკმაყოფილება გამოწვეულია იმით, რომ ახალ ხელისუფლებას დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიყავს და დემოკრატიას ეთამაშება, ანუ კოაბიტაციას. არ მესმის, კოაბიტაციობანა შესაძლებელია ამ სისხლისმსმელებთან, დამნაშავეებთან, რეგვენებთან, უწიგნურებთან, კაცისმკვლელებთან?! არავინ მეძახის, როდესაც მსჯელობაა. მინდა, რომ გაზეთში ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ „მაესტრო" ყველაზე საშიშ ტელევიზიად იქცა, არ ვიცი, ვინ იყიდა და რის ფასად, მაგრამ ეს არხი საშინელებაა, „რუსთავი 2"-ზე უარესი გახდა.**

თუკი ოდესმე რამე დამიწერია, ყველაფერი გამართლებულა, ივანიშვილს თავისი უახლოესი გარემოცვა — რესპუბლიკელები უღალატებენ. ყველაზე საკვანძო საკითხებში, ტერიტორიის მთლიანობა იქნება თუ განათლება, რომელიც გაჩანაგდა, „ნაციონალებსა" და რესპუბლიკელებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არის. ნახეთ რა მოხდა? კოალიციიდან თერთმეტმა ადამიანმა განათლების სისტემის ცვლილებას ხმა არ მისცა, ცვლილებას, რომელიც, ვფიქრობ, ისე თუ წარიმართა, როგორც ჩაფიქრებულია, ჭაობიდან ამოგვიყვანს, მაგრამ, თუ კოაბიტაციაზე ისაუბრებენ, დამნაშავეებს არ დასჯიან და დაინდობენ ბენდუქიძეებს, თევზაძეებს, მაშინ არაფერი არ გამოვა. თუ ახალი ხელისუფლება სისტემის შემქმნელებზე იტყვის, რომ სისტემის მსხვერპლნი არიანო, მაშინ სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი ზედმეტია. ხალხის უკმაყოფილებაც აქედანაა გამოწვეული.

**ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ელისო ჩაფიძე, გედევან ფოფხაძე, დავით ონოფრიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ვიქტორ დოლიძე, ნინო გოგუაძე, თამარ კორძაია, ანი მიროტაძე — ჩათვალეთ, რომ ეს თერთმეტი ადამიანი ივანიშვილს უკვე დაუპირისპირდა, ვითომ დიდად განათლებული ადამიანები არიან, ბერძენიშვილები საშიშნი არიან, რადგან სოროსის პრინციპებს გაატარებენ. ისინი ეროვნულ საქმეს არასოდეს გააკეთებენ. ელისო ჩაფიძე წესიერი ქალივით რომ ლაპარაკობს, მე მაგის მიზეზით დამიჭირეს თავის დროზე.**

**ხალხი უკმაყოფილოა, ეს უკმაყოფილება კოალიციაში შემავალ პარტიებზე არ გადანაწილდება, მხოლოდ ივანიშვილს მოსთხოვენ პასუხს, არჩევნებში ხმა მან მიიღო.** ყოველთვის, როდესაც მთავრობები იცვლებოდნენ, ყველა მთავრობა ძალიან დიდი პროცენტით იგებდა, ახლაც ასე მოხდა, მაგრამ გახსოვთ, ალბათ, ქრისტე როგორი დიდებით შეიყვანა ხალხმა იერუსალიმში და რამდენიმე დღეში იმავე ხალხმა ჯვარს აცვა. ასეთია ადამიანის ბუნება.

> **«მინდა, გაზეთში ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ «მაესტრო» ყველაზე საშიშ ტელევიზიად იქცა. არ ვიცი, ვინ იყიდა და რის ფასად, მაგრამ ეს არხი საშინელებაა, «რუსთავი 2»-ზე უარესი გახდა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუკი დადგება საგარეჯოს გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ უნდა დადგეს თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხიც, რადგან ქალბატონი თინა თავად აცხადებს, რომ თითოეული თეთრის გახარჯვას ის აკონტროლებდა... თუკი ეს არის რაიმე ტიპის პოლიტიკური ანგარიშსწორება, რომელზეც ქალბატონი თინა საუბრობს, მაშინ უნდა დადგეს არა რიგითი გამომძიებლის, არამედ საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი.“

# რა შეუთვალა მოდულის შენობიდან საგარეჯოს გამგებელმა თინა ხიდაშელს?



დიდი ხანია, რაც საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა იდეათა დაპირისპირებიდან კომპრომატების ომად გადაიქცა. მაგალითად, მინისტრობის ერთ-ერთი კანდიდატი (შემდგომში შს მინისტრი) საპარლამენტო უმრავლესობის პირველ ლედის, რბილად რომ ვთქვათ, უხეში სიტყვებით მოიხსენიებდა. ჰოდა, ისე წავიდა საქმე, რომ, თუ კომპრომატი არ იქნა, არც ერთი თემა არ ითვლება სერიოზულ თემად. ბოლო ხანს საგარეჯოში დატრიალებულ სკანდალზე მოგახსენებთ. ფულის გაფლანგვა იქით იყოს, მაგრამ სერიოზული კომპრომატის სახე მიიღო საგარეჯოს ინციდენტმა, მითუმეტეს, რომ პარლამენტის პირველი ლედი თავის სამოქალაქო პატიოსნებას სდებს საპირწონედ – არავითარი გაფლანგვა არ ყოფილაო, თანაც დაკავებულები უკვე გამოუშვეს. ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ქუჩაში თავისუფლად დასეირნობენ ერთხელ ან ორჯერ დაკითხული ადამიანები, რომლებსაც კარგა ხანს აბრალებდა დღევანდელი ხელისუფლება მილიონების დატაცებას, მაგრამ ქალბატონი თინას ჩარევის შემდეგ გამგებლის გათავისუფლება სულაც არ ნიშნავს საქმის დამთავრებას. და მაინც, რა არის ეს? ჩვეულებრივი ცოტნედადიანობა თუ?.. კულუარული ინფორმაციით, საგარეჯოს გამგებელმა გიორგი ლოლაძემ თინა ხიდაშელს შეუთვალა, მომხედე, თორემ ვაღიარებ, სად მიდიოდა „ატკატებიო“... როგორც ამბობენ, იმიტომ აჩუმათებენ ამ საქმეს, რომ ამ საქმემ შეიძლება ბევრი რამ ამოატრიალოს. „საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხზე სასაუბროდ „სახალხო კრების“ წევრს, **ლაშა ამირეჯიბს** დაუკავშირდა.

## ლაშა ამირეჯიბი:

## ივანიშვილი რწმუნდება იმაში, რომ მისი გუნდი მის გარეშეც კარგად თამაშობს

**— მაშინ, როდესაც „ნაცების“ წარმომადგენლები: უგულავა, შაშკინი და სხვები, რომლებმაც, როგორც ამბობენ, დიდი ფული მოიპარეს ან გაფლანგეს, თავისუფლად დასეირნობენ, საგარეჯოს გამგებელსა და მის მოადგილეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი „საცოდავი“ 80 ათასის მითვისების გამო აკავებენ. ეს სამართლიანობის აღდგენაა თუ შერჩევითი სამართალი?**

— არ არის ეს საცოდავი 80 ათასი, ეს ბიუჯეტის ფულია, რომელიც ამ ადამიანებმა გაფლანგეს. რა თქმა უნდა, მათი დაკავება სამართლიანი იყო. აუცილებელია, სამართლიანობის აღდგენას შევუდგეთ, გეთანხმებით, რომ დანარჩენებიც („ნაცების“ წარმომადგენლები) დამნაშავენი არიან, ამიტომ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი. რაც შეეხება თინა ხიდაშელს, რომელიც ამბობს, რომ იგი პასუხისმგებელია ყველა თეთრის გახარჯვაზე და თავდებშიც კი უდგება ამ ადამიანებს — ეს იმას ნიშნავს, რომ **ქალბატონმა თინამ კარგად იცოდა, როგორ და რაში იხარჯებოდა ეს ფული. როცა პასუხისმგებელი ხარ ყველა თეთრზე, მაშინ იცი, სად მიდიოდა ეს ფული. დიახ, ქალბატონ თინას აუცილებლად ეცოდინებოდა, სად მიდიოდა ფული, მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა, შესაძლებელია, ჩართულიც კი იყო ამ ყველაფერში.**

**— ფიქრობთ, რესპუბლიკელებმა ხელი მოითბეს?**

— რატომაც არა! პოლიტიკური დაკავება არ იყო ეს. რესპუბლიკელებს „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად“. სახელმწიფოს ფული არ უნდა შეჭამო. ვინც ბიუჯეტის ფულს ხელს მოჰკიდებს და სახლში წაიღებს, ის დასაჭერია. გეტყვით, რას ნიშნავდა ქალბატონ თინას განცხადება: მან გააგებინა დაკავებულებს ადვოკატების პირით, — გაჩუმდით, შევეცდები, დაგეხმაროთო. **ხიდაშელის განცხადება ფეხის დაბაკუნებაც იყო ხელისუფლებისთვის — ამ თემას თავი დაანებეთო. მას ეგონა, რადგან პრემიერთან თბილი ურთიერთობა აქვს, არავინ შეეხებოდა.**

**— თუმცა ითქვა, რომ შს მინისტრთან არ აქვს თბილი ურთიერთობა...**

**— აი, ივანიშვილს კი რესპუბლიკელების წესიერებაში ეჭვი არ ეპარება...**

— ივანიშვილს ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმე მოატყუებს ან ალმაცერად შეხედავს.

— ჩემი აზრით, ღარიბაშვილის რეაქცია სწორი იყო. არამარტო ღარიბაშვილი, არამედ მთელი საქართველო ასე ფიქრობს ქალბატონ თინაზე. ვგულისხმობ იმ ჩანაწერს, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ მოისმინა. სხვათა შორის, არავის ჰქონია პრეტენზია იმაზე, თუ რატომ შეეხო ღარიბაშვილი მას ასეთი ფორმით.

ამიტომ აქვს ასეთი განწყობა იმავე რესპუბლიკელებისადმი, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ამ ბოლო ხანს პრემიერმა დაინახა, რომ მისი მეგობრებიდან ბევრი არასწორად მოიქცა, ივანიშვილი რწმუნდება იმაში, რომ მისი გუნდი მის გარეშეც კარგად თამაშობს.

**„საქართველო და მსოფლიომ“ ამ საკითხზე კომენტარი მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესაც სთხოვა.**



## სანდრო ბრეგაძე:

## უნდა დადგეს თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხიც

— ვხედავ, რომ ვიღაცები ცდილობენ ამ საკითხის მიჩქმალვას, რაც ძალიან ცუდი ფაქტია. **თუკი დადგება საგარეჯოს გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ უნდა დადგეს თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხიც, რადგან ქალბატონი თინა თავად აცხადებს, რომ თითოეული თეთრის გახარჯვას ის აკონტროლებდა,** საგამოძიებო ორგანოები კი საუბრობენ ათიათასობით ლარის გაფლანგვაზე. მეორე მხრივ, **თუკი ეს არის რაიმე ტიპის პოლიტიკური ანგარიშსწორება, რომელზეც ქალბატონი თინა საუბრობს, მაშინ უნდა დადგეს არა რიგითი გამომძიებლის, არამედ საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი.** აქ პასუხისმგებლობა ან ერთ მხარეს უნდა წავიდეს, ან მეორე მხარეს. საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს დამნაშავეების საქვეყნოდ დასჯა.



## თინა ხიდაშელი:

## მე ამ საქმის ყველა დეტალი ვიცი, დარწმუნებული ვარ, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე

**„საქართველო და მსოფლიო“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს — თინა ხიდაშელს ესაუბრა.**

— საგარეჯოს გამგებელი და მისი მოადგილე სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ.

**— ანუ 80 ათასის გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია, გაუგებრობა იყო თუ რა მოხდა?**

— ფულის გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია. გაუგებრობა იყო თუ არა, ამას სასამართლო დაადგენს. ისინი პატიმრობაში აღარ არიან, გამოძიება გრძელდება, უფრო სწორად, არ ვიცი, გრძელდება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს, წესით. **მე ამ საქმის ყველა დეტალი ვიცი, დარწმუნებული ვარ, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.**

**— გამოითქვა ვარაუდი, რომ, თუ ის ხალხი უსაფუძვლოდ დააკავეს, მაშინ საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელები უნდა დასაჯონ...**

— იურისტი ვარ და, როცა სისხლის სამართლის საქმეზე ვლაპარაკობთ, იქ ვარაუდებით ვერ ვისაუბრებ, რადგან **ძალიან კარგად მესმის, რასთან გვაქვს საქმე. ჯერჯერობით საუბარია იმაზე, რომ ეს საქმე უნდა დასრულდეს, შემდეგ ვნახავთ, ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხია დასაყენებელი თუ არა, იმ შემთხვევაშიც, თუ გაუგებრობასთან გვქონდა საქმე.** იმედი მაქვს, გამოძიება მალე დასრულდება და ყველაფერი დამთავრდება.

**— კულუარული ინფორმაციით, ლოლაძემ მოდულიდან შემოგითვალათ, — დამეხმარე, თორემ ავლაპარაკდები, ვიტყვი, სად მიდიოდა „ატკატებიო“.**

— ეს სერიოზული ლაპარაკი არ არის, თქვენ ჟურნალისტი ხართ... მე ბევრჯერ მომისმენია ასეთი რამ ჟურნალისტებისგან, ვგულისხმობ იმას, რომ იგონებენ ამბავს და შემდეგ რესპონდენტს თავის მოგონილ ამბებზე ეკითხებიან ხოლმე.

**— ეს ჩემი ფანტაზია არ არის...**

— თქვენი არა, სხვა რომელიმე ჟურნალისტი მოიგონებდა. ვიღაც რომ იჭორავებს, მერე მე ამ ჭორებზე პასუხი რატომ უნდა გავცე, გაუგებარია!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დავით ალმაშენებელი რომ ადგეს და თქვას, შევდივარ „ქართულ ოცნებაშიო“, არ უნდა ავირჩიოთ. უნდა ავირჩიოთ ვინმე კოალიციის წრის გარეთ. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ივანიშვილის წინააღმდეგ წასვლას, პირიქით — ივანიშვილის გადარჩენას ნიშნავს.“**



**თემურ შაშიაშვილი:**

# პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ ვინმე კოალიციის წრის გარეთ

**ხელისუფლების შეცვლიდან, სადაცაა, რვა თვე მიიწურება. ხალხი კი ისევ ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებებზე საუბრობს და მმართველი გუნდისგან მის შესრულებას ითხოვს. კოალიციის მთავარი ოპონენტის, „ნაცმოძრაობის“, ძირითადი არგუმენტიც სწორედ ესაა — საწვავის გაიაფებიდან დაწყებული, უფასო ჯანდაცვით დამთავრებული „მეოცნებეებს“ 1 ოქტომბრამდე უხვად გაცემულ დაპირებათა შეხსენებების მოსმენა ყოველდღიურად უწევთ. დღითიდღე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ხელისუფლება ამგვარი მიდგომით ფონს ვერ გავა. მეტიც, ექსპერტები თუ ანალიტიკოსები უკვე ღიად საუბრობენ კოალიციის რეიტინგის ვარდნაზე. რამდენად ადეკვატურია დღეს მმართველი გუნდის პოლიტიკა და რა რეალობა გვაქვს მთავრობის შეცვლიდან რვა თვის თავზე — ამის თაობაზე გვესაუბრება „თეთრი მოძრაობის“ (თეთრები) ლიდერი ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

**— ბატონო თემურ, 8 თვე, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლებას კონკრეტული შედეგი მოსთხოვო. თქვენი აზრით, რამდენად ქმედითია დღეს ჩვენი ხელისუფლება? „ნაცმოძრაობის“ იმ ყბადაღებული ლოზუნგისა არ იყოს, გასაკეთებელი მართლაც ბევრია.**

— ვინც ამბობს, რომ ამ ხნის მანძილზე არაფერი გაკეთდა, ტყუის და, ვინც ამბობს, რომ ყველაფერს აკეთებს, ისიც ტყუის, ანუ რის თქმა მინდა: **ამ დროში, ცხადია, მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ალბათ, ხუთი-ექვსჯერ უფრო მეტის, მაგრამ არსებული სახელისუფლო გუნდის პირობებში ამაზე ფიქრიც ზედმეტია.** ახლა რაც შეეხება იმას, რომ რაღაცები ვერ გაკეთდა, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **რაც ვერ კეთდება, იმის ბრალია, რომ 20 იანვარს არ დამთავრდა სააკაშვილის პრეზიდენტობა.** მარტივი ჭეშმარიტებაა, ჩასაფრებული პრეზიდენტისა და მთელი ვერტიკალის პირობებში, როდესაც სასამართლო, ვერ გაიგებ, რას არ აკეთებს; როცა კონტროლის პალატა, გუბერნატორებისა და მერების დიდი ნაწილი სწორედ ამ ჩასაფრებულების მხარესაა, ცხადია, ხელისუფლება შებოჭილია. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რაც კეთდება, ისიც როგორ კეთდება... **ივანიშვილის შეცდომა იყო ის, რომ მან იფიქრა, ამათთან კოაბიტაციით, კარგი საუბრითა და კეთილი განწყობით რაღაცის მიღწევა შეიძლებოდა. ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობას“ ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა ელემენტარული რამ, რომ დამნაშავეებთან თანამშრომლობითა და თანაცხოვრებით სამართლიანობა ვერ მიიღწევა...**

**— და რა უნდა ექნა ახალ ხელისუფლებას?**

— რა იყო ხალხის მთავარი მოთხოვნა?! სამართლიანობას ხომ ითხოვდნენ?! პირდაპირ ვამბობ თქვენი გაზეთის მეშვეობით: გენერალურ პროკურორთან, დაახლოებით ერთი თვეა, დევს მეცნიერთა მიერ გაანალიზებული ჩვენი თითქმის ექვსასგვერდიანი მასალა იმის თაობაზე, რომ **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს მოუწყო გენოციდი. ჩვენ ვითხოვთ არა ერთი და ორი პიროვნების დაჭერას** (რასაც ესენი აკეთებენ), **არამედ რეჟიმის გასამართლებას, ვინაიდან, ვიმეორებ, რომ არ მოხდა ამ რეჟიმის გასამართლება და 20 იანვარს სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულება, ამიტომ ვართ ასე შებოჭილები დღეს. ესაა ივანიშვილის უდიდესი შეცდომაც.** მან ისარგებლა იმით, რისი უფლებაც არ ჰქონდა. კი, ბატონო, პიროვნულად შეიძლება ვიღაცას რაღაც აპატიოს, მაგრამ როგორ ჰპატიობს ის ჩემ ნაცვლად იმ ხალხს, რომლებმაც საშინელ მდგომარეობაში ჩამაყენეს?!

**— არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო რჩება, იქნებ ამის შემდეგ მოხერხდეს სამართლიანობის აღდგენა.**

— ზუსტად აქამდე მივდივართ. პირდაპირ ვამბობ, რომ სააკაშვილი არის ყოველდღიურად უბედურება ქვეყნისთვის. მე ახლა უცხოეთში ვიყავი და ვნახე, ესენი უკრაინაში რას აკეთებენ, რას აკეთებს იგივე თარგამაძე და სხვები. **არავითარი ახალი ელჩი არ არსებობს, არსებობენ ძველი ელჩები, ძველი განწყობით და დიდი ფულით. ეს საელჩოები იყო „ნაციონალური ელჩების“, მათი ოჯახებისა და ახლობლების ბიზნესცენტრები. იგივე ხდება დღესაც. გივი თარგამაძე ხელმძღვანელობს ამ ყველაფერს...**

**— მიუხედავად ამისა, თარგამაძის პასუხისმგებლობაზე საუბარიც არაა.**

— იცით რა, თარგამაძე კი არაა საშიში საქართველოსთვის, საშიშია ზუსტად ის სექტა, რომლის წევრებიც ესენი არიან. „ნაციონალური მოძრაობა“ არის სწორედ სექტა, რომელიც ასრულებს სხვის დავალებებს. ამიტომაც არიან დღეს ასეთ მძიმე მდგომარეობაში.

**— დავაკონკრეტოთ, ვის დავალებებს ასრულებს „ნაციონალური მოძრაობა“, ანუ სექტაში ვის გულისხმობთ?**

— სექტა ბევრია. უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ყველგან არის ეს მასონური სექტები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩნდება მარტივი კითხვა: საქართველოს მთავარ უნივერსიტეტში რატომ მოხდა ორიენტაციის აღება უცხოეთში კურსდამთავრებულებზე?! რატომაა ეს პრიორიტეტი?! რატომაა, რომ მოშალეს ყველაფერი და გააუფასურეს ქართული განათლება?! მეტსაც გეტყვით, მაგალითად, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთოდ გაუქმდა. ეს ის დარგია, რომლის სპეციალისტებიც მოდიან ხელისუფლებაში. ვინ წინაურდებოდნენ აქამდე? — ვინც დაამთავრა უცხოეთში და გახდა სექტის წევრი; მიდიოდნენ, როგორც იტყვიან, კოსმოსური სიჩქარით თანამდებობებისკენ. დღეს საქართველო იმ ადამიანების მარწუხებშია. ამიტომ **სიმართლე გითხრათ, მეცოდება გარკვეულწილად ბიძინა ივანიშვილი. მინდა, დავიჯერო, რომ შინაგანად ის არის ქართული ორიენტაციის, ქართული ტრადიციის კაცი, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ამ გუნდით მას მეტის გაკეთება არ შეუძლია.**

**— მაშინ რა პერსპექტივა გვაქვს რეალურად?**

— მე ჩემი აზრი გითხარით. ახლა ივანიშვილი ამას ხვალ სადღაც გააქილიკებს და რაღაცას იტყვის, ღმერთმა ხელი მოუმართოს. დრო დაადასტურებს იმას, რომ ამ გუნდით, რომელიც დღეს მას ჰყავს, მეტის გაკეთება შეუძლებელია. უმადური ნუ იქნება, **26 მაისმა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სამარე გათხარა, 1 ოქტომბერმა კი პოლიტიკურ სამარეში ჩააწვინა ანტიქართული ცნობიერების „ნაციონალური მოძრაობა“. ახლა მხოლოდ მიწის დაყრაა საჭირო და ვერ ხერხდება.** არადა, ივანიშვილს შეეძლო ამის გაკეთება 20 იანვარს, კონსტიტუცია აძლევდა უფლებას, მაგრამ არ გააკეთა. არ გააკეთა იმიტომ, რომ ჩვენ მაინც ვიმართებით გარედან. ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებულია იმ ხელისუფლებასთან, რომელიც გარეძალების მიერ არ იქნება მართული...

**— შესაძლებელია ასეთი ხელისუფლების მოყვანა, როგორ ფიქრობთ?**

— პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა, რა არის გასაკეთებელი. დღეს თუ კიდევ მოვიყვანთ ამერიკული განწყობის პრეზიდენტს და ესაა მარგველაშვილი, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ აქ არაფერი შეიცვლება.

**«დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა ვადამდელი არჩევნები და, თუ გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება, მერწმუნეთ, ბევრად უკეთესი ურთიერთობა გვექნება ყველა სახელმწიფოსთან — ამერიკასთანაც, ევროპასთანაც და რუსეთთანაც»**

**— თქვენი აზრით, მარგველაშვილი ცალსახად პროამერიკულია?**

— ჩვენ ხომ ვიცით მისი საქმიანობის ისტორია? ის იყო „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი, ამერიკული ინსტიტუტის წევრი და ა. შ. სწორად გამიგეთ, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ცუდია ამერიკელობა, უბრალოდ, ამერიკული არ უნდა იყოს პარლამენტი. მიმაჩნია, რომ **დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა ვადამდელი არჩევნები და თუ გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება, მერწმუნეთ, ბევრად უკეთესი ურთიერთობა გვექნება ყველა სახელმწიფოსთან — ამერიკასთანაც, ევროპასთანაც და რუსეთთანაც.**

**— თუ კი „ქართული ოცნება“ ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის და მისი საპრეზიდენტო კანდიდატიც ცალსახად პროამერიკულია, მაშინ რა შანსი აქვს მას მომავალ არჩევნებში, როგორ ფიქრობთ?**

— არ ვიცი, მე მათ შანსებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ პირდაპირ ვამბობ: **დავით ალმაშენებელი რომ ადგეს და თქვას, შევდივარ „ქართულ ოცნებაშიო“, არ უნდა ავირჩიოთ. პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ ვინმე კოალიციის წრის გარეთ. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ივანიშვილის წინააღმდეგ წასვლას, პირიქით — ივანიშვილის გადარჩენას ნიშნავს.**

**— საზოგადოება რამდენად არის ამისთვის მზად?**

— საზოგადოება მზადაა, უბრალოდ, ბელადების პარლამენტი უნდა დამთავრდეს. ჩვენ ამას წლების მანძილზე გვახვევდნენ თავს და საუბედუროდ იგივე გრძელდება დღესაც... ყველამ კარგად ვიცით, რომ 1 ოქტომბერს თითქმის ყველა რაიონში აირჩიეს არა ის, ვინც იქ იყო მაჟორიტარად წარდგენილი, არამედ აირჩიეს ბიძინა ივანიშვილი. ამიტომაა ეს კაცი დღეს ასეთ მძიმე მდგომარეობაში. სხვათა შორის, ამასწინათ ჩემთან ზესტაფონიდან ჩამოვიდნენ და საინტერესო რამეები მიამბეს... **ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ გოგი ქავთარაძეს, ნებისმიერ ქვეყანაში რომ შეშურდებათ, ისეთი პიროვნებაა და ხელოვანი, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ასეთივე პარლამენტარია. რის თქმა მინდა: — ნუ ვებრძვით იმ ხალხს, რომლებიც პოლიტიკოსები არ არიან და ნუ გვინდა, ეს ხალხი შევქაჩოთ პარლამენტში ვიღაცის ავტორიტეტით. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, პოლიტიკოსებმა უნდა მართონ პოლიტიკა და ხელოვანმა კაცმა მიხედოს ხელოვნებას.**

**— დასაწყისში რეჟიმის გასამართლებაზე საუბრობდით და აღნიშნეთ, რომ ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, იმის მიუხედავად, რომ ამისთვის სამართლებრივი საფუძველიც არსებობდა. კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ წინა ხელისუფლების გასამართლება?**

— პირველ რიგში, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. აქ ხომ ყველაფერი ნათელია?! რა პრობლემაა დღეს, არ მესმის... როდესაც მინდია უგრეხელიძე გყავს ქვეყანაში იურისტი, როცა პაატა ცნობილაძე გყავს და სხვები, რა იურისტების დეფიციტია, რა უჭირს პროკურატურას?! უბრალოდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათზე უკეთესი არ უნდათ, რომ მოიყვანონ. ესაა მთელი უბედურება. არადა, **სააკაშვილს ისეთი რამეები აქვს გაკეთებული, ნებისმიერ ქვეყანაში სამუდამო ციხე ექნებოდა გარანტირებული; ყველაფერს თავი დავანებოთ, ქალაქის მერი არის დღეს პიროვნება, რომელმაც ის 5-6 მილიონი კი არ მოიპარა მარტო, რომ ედავებიან, არამედ მოიპარა გაცილებით მეტი. მე რომ ავტობუსის 50-თეთრიანი ბილეთი ვერ ავიღო, ციხეში ჩამსვამენ, გეკითხებით ახლა, კაცს მილიონების მითვისებაში ედავებიან და პასუხი არ უნდა აგოს?!**

**— დასასრულს, ნატო-საქართველოს ურთიერთობაზეც მინდა გკითხოთ: ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ის არ ცვლის წინამორბედის კურსს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაკავშირებით და მთავარ პრიორიტეტებად კვლავ ეს მიმართულებები რჩება. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა გვაქვს და რას უნდა ველოდოთ ახლო მომავალში?**

— პერსპექტივებზე გამიჭირდება საუბარი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სხვა სახელმწიფოების გამოცდილებებზე დაყრდნობით გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ. მაგალითად, ფინეთი, რომელიც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა, არ შევიდა ნატოში იმიტომ, რომ არ გაეღიზიანებინა რუსეთი. ასევე **ნატოს წევრი არაა შუა ევროპის სახელმწიფო ავსტრია. მეტსაც გეტყვით, ამ უკანასკნელმა, ორი ჯარისკაცი რომ დაეჭრა ავღანეთში, მთელი თავისი კონტიგენტი გამოიყვანა იქიდან. ამ დროს საქართველო გამოდის და იძახის, რომ თურმე ეს არის ჩვენი სამამულო ომი. რა უნდა ილაპარაკო?!** როგორ დაგვიბნელა ტვინი ამ მასონურმა სექტებმა და განწყობებმა! ვერ წარმომიდგენია, რომ არ გიჟდება ადამიანი, მართლა ძლიერები ვყოფილვართ ქართველები...

**— ყოველ შემთხვევაში გვარწმუნებენ, რომ ალიანსში შესვლის რეალური შანსი გვაქვს. ძალიან დიდი იმედები მყარდება ვილნიუსის სამიტზეც.**

— საქმე ისაა, რომ საქართველოში იმთავითვე ნატოს პოლიტიზირება მოხდა. ეს გაკეთდა შევარდნაძის დროს და შემდეგ გაგრძელდა. სააკაშვილმა ამით თავი გადაირჩინა, ამიტომ გზავნიდა იმავე ერაყსა და ავღანეთში ამხელა კონტიგენტს, ამიტომ დაისახა თითქოს პრიორიტეტად ევროატლანტიკური სტრუქტურაც. არაერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ, **ვინც მას დემოკრატს ეძახდა და აქეზებდა, ისინი ჩვენი მოყვარე არ არიან, მათ საქართველო არ უყვართ, უბრალოდ, სჭირდებათ, ხოლო ვისაც საქართველო სჭირდება, ისინი ამ ქვეყნის მეგობრები ვერ გახდებიან...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
გამოხმაურება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მწამს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღეს არის ქართველი ხალხის მთავარი წარმმართველი ძალა, გაეცნობა ამ იდეას და, თუ გაიზიარებს ჩვენს პოზიციას, სიამოვნებით დაუჭერს მხარს ბატონი ალექსანდრეს კანდიდატურას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

# ალექსანდრე ჭაჭია რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობების დიდი გამოცდილებით პრეზიდენტის თანამდებობისთვის მეტად შესაფერისი კანდიდატურა იქნება

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2013 წლის მე-19, მე-20 და 21-ე ნომრებში გამოქვეყნდა მთავარი რედაქტორის ინტერვიუ გამოჩენილ ქართველ პოლიტიკოსთან ალექსანდრე ჭაჭიასთან. მისასალმებელია, რომ ეს ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, მიუხედავად „ახალგაზრდობისა“, დღეს ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთ უდავო ლიდერად გვევლინება.**




შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამჯერადაც გაზეთმა არ უღალატა მის შემოქმედებაში მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას და თავისი გვერდები დაუთმო საუბარს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-პოლიტიკოსთან, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ, განსხვავებით რიგი ქართველი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსებისა თუ პოლიტოლოგებისგან, განსაკუთრებით კი პოლიტიკანებისგან, დიდი ერუდიციის ხარჯზე, „ახერხებს“, ღრმად ჩასწვდეს ქვეყანაში არსებული ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დეგრადაციისა და დეზორგანიზაციის არსს, ჩამოაყალიბოს არსებული უმძიმესი პრობლემების გადაჭრის კონსტრუქციული ხედვა, რომელიც ყველაფერთან ერთად იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ სრულად შეესაბამება, შეიძლება ითქვას კიდეც, ემთხვევა საქართველოში მცხოვრები, აგრეთვე, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ფართო მასების მიერ დღეს უკვე გაცნობიერებულ ინტერესებსა და მოთხოვნებს, რომლებიც, საბედნიეროდ, პრინციპულად ეწინააღმდეგება ყოფილი მმართველი „ელიტის“ — ნაცმოძრაობელების ფარულ თუ აშკარა განზრახვებს...

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან სამ ნაწილად გაყოფილი ინტერვიუ, რომელთა სათაურებია: **„თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით“, „ქართული მიწა ეკუთვნის ქართველებს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია“** და **„ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...“**, **არის მრავალპლანიანი პუბლიკაცია, რომელიც მოიცავს ჩვენი დღევანდელი განსაცდელითა და შფოთით აღსავსე რეალური ცხოვრების მრავალ მხარეს და, რაც პირადად ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, თითქმის სინქრონულად ემთხვევა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჩემს თანამოაზრეთა შეხედულებებსა და მისწრაფებებს.**

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მრავალრიცხოვან მკითხველთა აუდიტორიასთან საკმაოდ ხანგრძლივი და შთამბეჭდავი, გულწრფელი გასაუბრების ტექსტიდან, აგრეთვე, ამ ცნობილი ავტორის სხვა პუბლიკაციებიდან, აგრეთვე, მათი ქვეტექსტებიდან, რომლებიც საკმაოდ კარგად იკითხება, ნათელი ხდება, რომ **მან აღმოაჩინა და გააცნობიერა ისეთი ძირითადი წინააღმდეგობები, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობების თუ სხვაგვარი დაზიანებების მსგავსად, შეუთავსებელია საქართველოსა და მისი ქართველი თუ სხვა ეროვნების მოსახლეობის საარსებო ინტერესებთან და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ, როგორც განწირულ ავადმყოფზე იტყვიან ხოლმე, „ან დღე მოკვდება, ან ღამეო“** (მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ასეთი შედარება), **ისე საქართველოც, დღეს იქნება ეს თუ ხვალ, საბოლოოდ განადგურდება როგორც სახელმწიფო, ხოლო ქართველი ერი გადაშენდება და, თუ არა სასწაულებრივი გამოფხიზლება და აქტიური მოქმედება, საქართველო დარჩება როგორც ტერიტორია, რომელიც სხვადასხვა ომისთვის, მაგალითად, ამერიკასა და ირანს ან სულაც ამერიკასა და რუსეთს შორის, კარგ პოლიგონად გადაიქცევა...**

> **მან აღმოაჩინა და გააცნობიერა ისეთი ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებიც, თუ შეიძლება ითქვას, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობების თუ სხვაგვარი დაზიანებების მსგავსად, შეუთავსებელია საქართველოსა და მისი ქართველი თუ სხვა ეროვნების მოსახლეობის საარსებო ინტერესებთან**

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს რეალური ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუხედავად აქტიური სამშვიდობო რიტორიკისა, აშშ-ის მმართველი წრეებისა და საქართველოს დამაქცევარი ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისა, რომლებიც ბევრი ქართველის და მათ შორის ჩემი წარმოდგენით, სინამდვილეში ქართული წარმოშობის ამერიკელ პატრიოტებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ქართველ ნაციონალებს და ამიტომაც სარგებლობენ აშშ-ის, აგრეთვე, გაერთიანებული ევროპის მმართველი წრეებისა და სპეცსამსახურების ისეთი განსაკუთრებული მხარდაჭერით, რომ, უკვე კარგახანია, მათი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური საქმიანობა უფრო უცხოელ პარტნიორებთან ერთად ცალ კარში თამაშს მოგვაგონებს (ვგონებ, ისედაც ნათელია, თუ რომელ კარზე არის აქ ლაპარაკი).

**მკითხველი ისე ნუ გამიგებს, რომ მე ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს კომენტარს ვცდილობდე. ჩემი ამოცანაა, კიდევ ერთხელ მივაქციო მკითხველი საზოგადების ყურადღება ამ მეტად საგულისხმო მასალას.**

მასში დასმულ მრავალ საჭირბოროტო პრობლემათაგან გავიხსენებ ერთს, მეტად მნიშვნელოვანს — რუსეთის ფედერაციასთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას, რასაც, უდავოა, დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არამარტო საქართველოსა და მისი მოსახლეობის, არამედ მთელი კავკასიის რეგიონისთვის. ამასთან დაკავშირებით ვაყენებ ფართო განხილვისთვის იდეას, **ხომ არ გვეფიქრა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად წამოყენებისა და არჩევის თაობაზე, მითუმეტეს, რომ იგი თავისი თეორიული მომზადებით, პრაქტიკული უნარებით, აგრეთვე, რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის დიდი გამოცდილებით ამ თანამდებობისთვის მეტად შესაფერისი კანდიდატურა იქნება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი წარმოშობით აფხაზეთიდანაა.**

დასასრულ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მასალის გაცნობამ ბევრ რამეზე დამაფიქრა და უფრო მწვავედ დამანახა რიგი პრობლემებისა, რომლებსაც ჩვენი ყური უკვე იმდენად შეეჩვია, ეგრეთ წოდებული ნაციონალების გაუთავებელი მტკიცების გამო, რომ საქართველოში ბევრმა მიამიტმა ადამიანმა დაიჯერა, თითქოს ხარი მამალი ძროხაა, ისევე, როგორც საქართველო — ევროპის განუყოფელი ნაწილი, რადგან მამა „ნაციონალებს“, სანამ ჩვენ გვეძინა, არამარტო ევროპის, არამედ კავკასიის რუკაც გადაუკეთებიათ და საქართველო გადაუტანიათ საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე.

დასასრულ, მინდა ვთხოვო ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და მასთან ერთად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, რომ ოპერატიულად გაუკეთონ ორგანიზაცია და გამოსცენ მასობრივი ტირაჟით გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ალექსანდრეს ინტერვიუების კრებული, რომელიც მიეძღვნება მის ხედვას საქართველოსა და მისი მოსახლეობის შემდგომი გალატაკებისა და გაუბედურებისგან ხსნის გზებისა და რადიკალური საშუალებების შესახებ. **მწამს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღეს არის ქართველი ხალხის მთავარი წარმმართველი ძალა, გაეცნობა ამ იდეას და, თუ გაიზიარებს ჩვენს პოზიციას, სიამოვნებით დაუჭერს მხარს ბატონი ალექსანდრეს კანდიდატურას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

**ანზორ გაბიანი**,
საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

ამბავი

## აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტი დიმიტრი მედვედევის საუბრების მოსმენას ცდილობდა

**ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტი რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის სატელეფონო საუბრების მოსმენას ცდილობდა. ამის შესახებ რუსული მედია „გარდიანზე“ დაყრდნობით წერს.**

მათივე ინფორმაციით, ამის მცდელობა იყო 2009 წელს, როდესაც მედვედევი რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე იყო და ლონდონში „დიდი ოცეულის“ სამიტზე იმყოფებოდა.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოცემა იმ დოკუმენტზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სტოუდენმა წარადგინა.

არსებული ინფორმაციით, ამერიკულ-ბრიტანული ბაზები ცდილობდნენ, გაეშიფრათ მედვედევის და რუსეთის დელეგაციის სხვა წევრების საუბრები. რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ეს მცდელობა, ამას „გარდიანი“ არ აკონკრეტებს.

დოკუმენტებში, რომელიც გამოცემის ხელში აღმოჩნდა, ასევე საუბარია, რომ ბრიტანული სპეცსამსახურები ბრიტანეთის ხელისუფლების დაკვეთით, „დიდი ოცეულის“ სამიტზე, სხვადასხვა ქვეყნების ლიდერების შეხვედრისას, უცხოელი პოლიტიკოსების ელექტრონულ თვალთვალს აწარმოებდნენ.

**სწორედ ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, პოლიტიკური პროცესების რეალური აღქმა და, გამომდინარე აქედან, მომავლის განჭვრეტის უბადლო უნარი, რომელიც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გააჩნია, შეიძლება იქცეს ქვეყნის რღვევის შეჩერების მთავარ ფაქტორად. ბატონი ალექსანდრეს ინტელექტუალური სამყარო, იდეალები, პოლიტიკური ორიენტაცია აბსოლუტურად ესადაგება ქართული სახელმწიფოს განვითარების გზას.**

გამოხმაურება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტერიტორიული მთლიანობა რეალობად უნდა ვაქციოთ

**დიდი სიამოვნებით ვეცნობი ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს. მათ ლაიტმოტივად გასდევს განუყოფელი, ერთიანი საქართველოს იდეა. სწორედ ამ პატრიოტული, ეროვნული ღირებულებების გამო გახდა ჩემთვის ეს პიროვნება სასურველი ქართულ პოლიტიკაში. ადამიანი, რომელიც არ არის გასვრილი არც ერთ ბინძურ საქმეში, სუფთა ფურცლიდან შეუძლია შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში, რომლის იდეები და ფასეულობები დღესაც მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც უმთავრეს პრობლემას ეროვნული ფასეულობების დეგრადაცია წარმოადგენს.**



სწორი პოლიტიკით, პრაგმატიზმზე გათვლილი ნაბიჯებით ყველაფერია შესაძლებელი. **შესაძლებელია, საქართველოსთვის უმთავრესი პრობლემის მოგვარება — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დედასამშობლოსთან შემოერთება,** ამისათვის უმნიშვნელოვანესია ისეთი ადამიანის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც შესწევს ძალა, რეალობად აქციოს ტერიტორიული მთლიანობა. **ასეთად მე პირადად ბატონი ალექსანდრე ჭაჭია მიმაჩნია, რომლის ნიჭი, ცოდნა, ენერგია, შემართება გამოყენებული უნდა იქნეს ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

ბატონო ალექსანდრე, მერწმუნეთ, ჩვენი ერის სულიერი სიძლიერე ამოუწურავია, შენარჩუნებულია ეროვნული მუხტი და სამშობლოს სიყვარული.

**მარიამ ლომაძე,**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ სტუდენტი**

# იმედი მაქვს, დაუბრუნდება ქართულ პოლიტიკას

**ქართული პოლიტიკური ელიტა მთლიანად დაცლილია ინტელექტუალურ-იდეური პოტენციალისგან და, ძირითადად, შევსებულია მატერიალისტი, მედროვე პოლიტიკოსებით. ამიტომაც საქართველოს დღეს, ისე როგორც არასდროს, სჭირდება პოლიტიკურ სივრცეში ინტელექტუალი და ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავისი იდეების, მსოფლმხედველობის დამცველი და გამტარებელი იქნება ცხოვრებაში, და, უცხო ძალების მოქრთამვის მცდელობის მიუხედავად, იმოქმედებს საკუთარი ერისა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.**

სწორედ ასეთ პოლიტიკოსად მივიჩნევ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელსაც, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტსა და ინტელექტუალს, მიუხედავად ბევრი შემოთავაზებისა (ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან საკმაოდ სერიოზულ თანამდებობებს ჰპირდებოდნენ), არ უღალატია თავისი მრწამსისა და მსოფლმხედველობისთვის, საკუთარი ერის სასიცოცხლო ინტერესებისთვის. **ალექსანდრე ჭაჭია არის ერთადერთი პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ერის გახრწნასა და გაღატაკებაში, ქვეყნის დაქუცმაცებაში სამ ჯუჯა სახელმწიფოდ.**

იმედი მაქვს, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ იგი დაუბრუნდება ქართულ პოლიტიკას და თავის ინტელექტს, შემართებას და ენერგიას არ დაზოგავს საქართველოს გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად. მისი ბოლო ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი აუცილებლად სჭირდება ქართულ პოლიტიკას!

**დიმა არდაშელია,**
**სასულიერო აკადემიის სტუდენტი**

# გვჭირდება ლიდერი, რომელიც საზოგადოებას ერის განვითარების საკუთარ კონცეფციას შესთავაზებს

**ეროვნული ფასეულობების ყოვლადგაუგონარი დისკრედიტაციის ფონზე, მოუთმენლად ველი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ქართულ-ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნებულ მოსაზრებებს ქართულ პრესაში. მის ინტერვიუებში, რომლებიც „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა, ცალსახად იკვეთება დღევანდელი საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი პატრიოტული სულისკვეთება.**



საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო ოცწლეულის განმავლობაში მომხდარი მოვლენები უდიდეს ინტერესს იწვევს არამარტო ისტორიული ანალიზისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ანალიზიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ გამოსატანი დასკვნებისთვის. **დღეს საქართველოს ისტორიაში საბედისწერო მომენტი დგას — წყდება ერის** (როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის) **არსებობის საკითხი. იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს საქართველოს მოსახლეობა უახლოესი თვეების განმავლობაში, დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქართული საზოგადოების გაერთიანება, რათა წინ აღუდგეს ერის სულიერი ფასეულობების დეგრადირებისკენ მიმართულ მანქანას.**

დღეს ქართულ პოლიტიკაში დეფიციტია ისეთი პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური ლიდერისა, რომელიც ხალხს, საზოგადოებას შესთავაზებს ერის განვითარების საკუთარ კონცეფციას. პოლიტიკა — ეს არის იდეების ბრძოლა და, შესაბამისად, პოლიტიკოსებიც უნდა იყვნენ იდეური ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ქვეყნის განვითარების საკუთარი გეგმა. დღეს საქართველოში „მოღვაწე“ პოლიტიკოსებიდან ვერ დავასახელებთ თუნდაც ერთს, რომელსაც ექნება ქვეყნის განვითარების საკუთარი კონცეფცია.

საქართველოს დაშლის პროცესი რომ, დიდი ხანია, მიმდინარეობს, ამაში, ალბათ, ალარავის გვეპარება ეჭვი. **სწორედ ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, პოლიტიკური პროცესების რეალური აღქმა და, გამომდინარე აქედან, მომავლის განჭვრეტის უბადლო უნარი, რომელიც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გააჩნია, შეიძლება იქცეს ქვეყნის რღვევის შეჩერების მთავარ ფაქტორად. ბატონი ალექსანდრეს ინტელექტუალური სამყარო, იდეალები, პოლიტიკური ორიენტაცია აბსოლუტურად ესადაგება ქართული სახელმწიფოს განვითარების გზას.** მისი შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ ენციკლოპედიურად განათლებული და ფილოსოფიურად მოაზროვნე პიროვნება გახლავთ. არ შეიძლება ასეთი ადამიანის დაკარგვა (ვგულისხმობ მის პოლიტიკაში არჩართვას), ამ ადამიანს ეპოქალური მნიშვნელობის როლის შესრულება შეუძლია ქართულ პოლიტიკაში.

**რამაზ ბეჭვაია,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მაგისტრანტი**

## ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში კრიზისი ნამდვილად არ არის

**ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში კრიზისი ნამდვილად არ არის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა განუცხადა, რითაც ის საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ დაკავებებთან დაკავშირებით კონგრესის სახელით გავრცელებულ განცხადებას გამოეხმაურა.**

ნორლანდის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ კენჭისყრის საფუძველზე უკვე მიიღო.

**„ნამდვილად არ არის კრიზისი ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში. კონგრესი მრავალი წლის განმავლობაში ადევნებს თვალს საქართველოში დემოკრატიული პროგრესის მიმდინარეობას და, როდესაც რადარზე ამოვა რაღაც, ამ შემთხვევაში ეს არის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაპატიმრება, კონგრესი თავის სიტყვას ამბობს ხოლმე. ტექნიკური მნიშვნელობა აქვს, კარგად ვიცოდეთ, რა ხდება. აშშ-ის კონგრესი შედგება ორი პალატისგან – წარმომადგენლობითი პალატისაგან და სენატისგან. ეს დოკუმენტი წარმომადგენლობითმა პალატამ უკვე მიიღო, თუმცა ჯერ არ განხილულა სენატში, ამჟამად ჯერ არაა შესული, როგორც ამერიკის კანონი“,** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე განმარტებით, აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობა „ნამდვილად მტკიცეა“.

**„ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ჩვენს ქართველ პარტნიორებთან, რათა საქართველოში დემოკრატიის ხარისხი იყოს უფრო მაღალი და ქვეყანამ აქტიურად იმუშაოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვაზე. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ იმ ინფორმაციით, რომელიც მე მაქვს, ნამდვილად მოხდა ამ დოკუმენტის კენჭისყრა წარმომადგენლობითი პალატის მიერ, თუმცა შესაძლოა, სენატს განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს და მისთვის არ იყოს მისაღები ის ენა, რომლითაც წარმომადგენლობითი პალატა საუბრობს. ამ შემთხვევაში დოკუმენტის გადაცემა მოხდება ე.წ. კონგრესის კონფერენციის კომიტეტისთვის, სადაც გაიმართება მასზე შეჯერება“,** — აღნიშნა ნორლანდმა.

მოკლედ

## ჩვენ და დავით უსუფაშვილი — რთული ამოცანის წინაშე

**პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ევროკავშირისა და ნატოსკენ საქართველოს სვლას ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტში გამოსვლისას გაუსვა ხაზი.** უსუფაშვილმა ბრიუსელში აღნიშნა, რომ ქვეყნის საგარეო კურსი არ იცვლება და ამის ერთ-ერთ მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია დაასახელა. მისი თქმით, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს საქართველოსთვის ალტერნატივა არ აქვს. **„არის საკითხები, რაზეც ახალ მთავრობას ახალი შეხედულებები აქვს — ეს არის რუსეთი. ჩვენ ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების რჩევას ვითვალისწინებთ, რომ მასთან ურთიერთობები უნდა გავაუმჯობესოთ“,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპარლამენტს ინფორმაცია მიაწოდა იმ კონკრეტული ნაბიჯების შესახებ, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობების მიმართულებით გადაიდგა და აღნიშნა, რომ უსაფრთხოება ის საკითხია, რომელზეც ქართული მხარე რუსეთთან ვერ თანხმდება.

დავით უსუფაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობაზე და აღნიშნა, რომ ქვეყანა ავღანეთის მისიაში მონაწილეობას არ შეწყვეტს.

**„უფრო მეტიც, საქართველო რჩება ერთგული ევროკავშირის მისიების მიმართ და მზად არის, მალის მისიაშიც ჩაერთოს“,** — აღნიშნა უსუფაშვილმა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ კანონით „არჩევნებამდე მიცემულ პირობას ვასრულებთო“, რა, ბნელა მთვარიან ღამეში? პედერასტების უფლებების დაცვას გვპირდებოდა „ქართული ოცნება“ თუ სამართლიანობის აღდგენას, იქნებ — ავღანეთში ჯარების შემცირებას, წართმეული ქონების დაბრუნებას ხომ არა და რომელი ერთი შეასრულეთ?**

# მე ვარ ქართველი, მაშასადამე, არ ვარ ევროპ(იდარ)ელი!!!

**მიმიხვდით, ალბათ, წერილის სათაური რომ ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზის კალამბურნარევი პერიფრაზია!
აი, რაც შეეხება ეპიგრაფს, ეს „ნაკვესი“, ე.წ. უფლებათა დამცველ ლია მუხაშავრიას ეკუთვნის, რომელიც მან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს დაახეთქა, როდესაც იგი სახალხო დამცველის პოსტისთვის „ჩალიჩობდა“!**



**აწ განსვენებული, ყოფილი პრემიერის „მაშასადამე ვარ ევროპელი“, როგორც ახლა ჩანს, ჩვენი უბედურებების დასაწყისი ყოფილა, რადგან სწორედ ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ მისცა მკვეთრი „კრენი“ ედუარდ შევარდნაძის ბალანსირების პოლიტიკამ დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის სასარგებლოდ!**

პრემიერ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ დაიწყო ამ უდავოდ ნიჭიერი პიროვნების გაფეტიშება — „ზურა რომ ცოცხალი იყოს...“, რაც დღესაც გრძელდება. არადა, სწორედ ზურაბ ჟვანია იყო ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი საქართველოში; იდეოლოგიის, რომელიც ავთვისებიან სიმსივნესავით მოედო ქვეყნის ეროვნულ სხეულს და დაღუპვას უქადის!

**ნიჭი თავისთავად არ არის სიკეთე; ნიჭი მხოლოდ მაშინ იძლევა ქვეყნისთვის პოზიტივს, თუ იგი ეროვნულ-ზნეობრივი ფესვებით, საქართველოს შემთხვევაში, ქრისტიანული (მართლმადიდებლური) მორალით, ანუ ილიასეული ერთარსება სამებით — „მამული, ენა, სარწმუნოებით“ საზრდოობს!**

ხუდონჰესის საწინააღმდეგო აშკარად ურაპატრიოტული ლობირება (ანკესი, რომელსაც, სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერი წამოეგო); ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც მინიმუმ, ინტელექტუალური ბრძოლა; შევარდნაძის ქოლგის ქვეშ ჯერ დაფრთიანება, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეობა და უკვე ზურაბ ჟვანიას პატრონაჟით ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა, სინამდვილეში კი ლიბერასტი გველის წიწილების აღზრდა-გამოზრდა, ანუ ინსტიტუციონალურად მთელი „თავისუფლების ინსტიტუტი“, ხოლო პიროვნულად: გიგა ბოკერია, ძმები ბერძენიშვილები, ცოლ-ქმარი ხიდაშელები, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, გიგი თევზაძე, გიგი წერეთელი, გივი თარგამაძე, ხათუნა გოგორიშვილი, დავით ზურაბიშვილი, მიშა მაჭავარიანი, ელენე თევდორაძე, კობა დავითაშვილი, ლევან რამიშვილი და თავად მიხეილ სააკაშვილი და ა. შ. სხვა ხლისტები, ბუდარა-ბუდარიხები, რომლებიც ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, სწორედ ზურაბ ჟვანიას ზეობის ჟამს და მისივე პირდაპირი თუ ირიბი ხელშეწყობით ჩამოყალიბდნენ ქვეყნის დამანგრეველ იმ ძალად, რომელმაც ყოველივე ქართულის, მართლმადიდებლურის ამომგდები „ვარდების რევოლუცია“ მოგვიწყო საქართველოში!

## «პროგრესი თუ გვინდა, ერთსქესიანი ქორწინებები უნდა დავაკანონოთ!..»

ლია მუხაშავრიას გამოსვლიდან

### და მაინც, ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო?

პირველ რიგში, ზემოთ ჩამოთვლილი ხლისტებისთვის იქნებოდა სასარგებლო და, შესაბამისად, საზიანო საქართველოსთვის. აღმზრდელის გარეშე დარჩენილი აღზრდილნი თუ 9 წლის მანძილზე უხეშად, თავხედურად და აშკარად იბრძოდნენ მართლმადიდებლობის, ანუ ყოველივე ეროვნულ-ტრადიციულის წინააღმდეგ, ჟვანიას შემთხვევაშიც იგივე იქნებოდა, ოღონდ ფრთხილად, შეფარვით, ფერებ-ფერებით, ცოცხების გარეშე და გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით ეფექტურადაც!

ასე რომ, საკუთარი სულსწრაფობით სულ ტყუილად „გაასაღეს“ მოსწავლეებმა მასწავლებელი!

დაახლოებით იგივე ხდება დღეს, ზურა ჟვანიას ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეების, რესპუბლიკელების მმართველობის ჟამს. დიახ, არ მეშლება, რესპუბლიკელების ნეოლიბერალური (წაიკითხე პედერასტული) იდეოლოგიით იმართება დღეს ქვეყანა. რესპები აკონტროლებენ ან კურირებენ პრაქტიკულად ყველა სამინისტროს. ამის ერთი დასტური ის კანონპროექტია, რომლის პრეზენტაციაც ამას წინათ შედგა „ქორთიარდ მერიოტში“, რა თქმა უნდა, ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ ფხიზელი მეთვალყურეობით და რომლის ავტორიც, სამწუხაროდ, თეა წულუკიანი აღმოჩნდა!

**თეა წულუკიანის თქმით, კანონპროექტი, რომელიც უმცირესობებს დაიცავს და საქართველოში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას ითვალისწინებს, უკვე მომზადებულია.**

„ჩვენ შევხვდით რელიგიურ, ეთნიკურ, სექსუალურ და სხვა სახის უმცირესობათა წარმომადგენლებს. თითოეულმა მათგანმა წარმოადგინა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება უფლებრივი თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, მათ უფლებებს დაცვა სჭირდება, ამ მიზნით ჩვენ ვასრულებთ საზოგადოებისთვის არჩევნებამდე მიცემულ პირობას და უკვე დავასრულეთ მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც ემსახურება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, რათა უზრუნველვყოთ კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, მიუხედავად იმისა, თუ რა მოსაზრებები აქვთ მათ, რომელ რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, კანონპროექტი რამდენიმე დღის წინ მინისტრებთან და სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად განიხილა და ქვეყანაში ამგვარი კანონის არსებობას ყველა მიესალმება.

**„ახლა მთავარია, კანონპროექტის გაუმჯობესების მიზნით, არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციები ვაწარმოოთ, ასევე, ბატონმა თომას ჰამერბერგმა გვირჩია, რომ კონსულტაციები გავიაროთ შვედ ექსპერტთან, ამის შემდეგ კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში შევა“,** — აღნიშნა წულუკიანმა.

ჯერ ის ვიკითხოთ, რომ, „უსიკებიანი“ პრეზერვატივების არ იყოს, ამ დაქცეულ ქვეყანაში სხვა, უფრო საშური, ვიდრე პედერასტების უფლებების დაცვაა, ვერაფერი ნახა მთავრობამ და პირადად ქალბატონმა თეამ?

საიდან ასკვნით, „მათ უფლებებს დაცვა სჭირდებაო“?

ცხადია, რომ ამ ე.წ. კანონპროექტის „რელიგიურ-ეთნიკური“ შემადგენელი უნიჭო კომუფლაჟია ხელისუფლების ერთადერთი ზრახვისა — **კანონის მიღებით სასათბურე პირობები შეექმნათ „დაჩაგრულ“ ლგბტ სექსუალურ უმცირესობებს, რითაც ხვალისთვის საფუძველს უმზადებენ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას საქართველოშიც!**

ამიტომ, მართლაც გმართებთ თომას ჰამერბერგის რჩევის გათვალისწინება, ქალბატონო თეა, რომ „კონსულტაციები გაიაროთ შვედ ექსპერტთან, მაგრამ რატომ მხოლოდ შვედთან? ნორვეგია, ჰოლანდია, ბელგია და ა. შ. პედერასტობის სხვა პიონერებმა რა დააშავეს? მათ ერთსქესიან „ოჯახებში“ უკვე შვილები და შვილიშვილებიც ეყოლებათ! ჰოდა, გადმოიღეთ „მოწინავე გამოცდილება“ და, თუ ის ვიცით, როგორ ნომრავენ ერთსქესიან „ოჯახებში“ მშობლებს, ისიც გაგვაგებინეთ, ასეთი შვილიშვილები როგორ უხმობენ ბაბუა-ბებიებს — ბაბუა-2 და ბებია-1? როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ფუი, გაწყდა თქვენი სინსილა!

**არც იმაზე დაფიქრებულხართ, რომ ამ ერთ კანონში ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობების გვერდით პედერასტების უფლებების დაცვა ესიამოვნებათ ჩვენს სომეხ და აზერბაიჯანელ (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) თანამოქალაქეებს, რომლებიც სხვათა შორის იმ 17 მაისს ქართველებთან ერთად აპროტესტებდნენ ქათმების აღლუმის მცდელობას?**

ჩემს ცხონებულ სიყრმის მეგობარ ვიტალიკა აკოფოვს იმქვეყნად მივმართავ: „კნერექ ახპერჯან, ესქუ ცავატანემ“, არ გეწყინოს, ძმაოჯან, შენი და პედერასტების ერთ მულამში ხსენება, ამ ახვარი ლიბერასტების ბრალია, ალარაფერს ვიტყვი ეჩმიაძინზე, რომლის უფლებებსაც ასევე ამ პედერასტული კანონით ზომავენ!..

**ამ კანონით „არჩევნებამდე მიცემულ პირობას ვასრულებთო“, რა, ბნელა მთვარიან ღამეში? პედერასტების უფლებების დაცვას გვპირდებოდა (პირადად თქვენ, ეგ რომ გეხსენებინათ „ნახალოვკაში“, სადაც მაჟორიტარად იყარეთ კენჭი, არა მგონია, უვნებლად გადარჩენილიყავით) „ქართული ოცნება“ თუ სამართლიანობის აღდგენას, იქნება — ავღანეთში ჯარების შემცირებას, წართმეული ქონების დაბრუნებას ხომ არა და ა. შ. რომელი ერთი შეასრულეთ?**

### „შორიდან ისე მგონია, არც მიწისაა, არც ცისა“...

ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი საჩხერელის, დიდი აკაკის სიტყვებით მივმართავ ასევე ყველა დროის ყველაზე მდიდარ საჩხერელს — ბიძინა ივანიშვილს!

**პატივცემულო! შორიდან კი არა, ახლოც რომ მომიშვას თქვენმა დაცვამ, მაინც ვერ გაიგებს კაცი, რა გინდათ!** იქეთ „ნატო, ნატოს“ ძახილით ვერც ამერიკელებთან „დაალაგეთ“ ურთიერთობა და აქეთ, სწორედაც „ნატო, ნატოს“ ძახილის გამო ყოველდღე მოცოცავენ მავთულხლართები, რასაც, თქვენს ფრთიან ფრაზას თუ დაგესესხებით, „გაგებით ვეკიდებით“, ოღონდ ჯერჯერობით...

დიახ, ჯერჯერობით, რადგან ჩვენს მოთმინებასაც აქვს „პრედელი“!

არა, პატივცემულო, არც მყისიერ ეკონომიკურ სამოთხეს ვითხოვთ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამართლიანობის აღდგენაზეც ხელი გვაქვს ჩაქნეული, როგორც მინიმუმ, ოქტომბრამდე და ამასაც „გაგებით მოვეკიდებით“, მაგრამ პედერასტობის მფარველობას? ვერასდროს და ვერავითარ შემთხვევაში!

**თქვენ კი, „ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩინოვნიკები მაქსიმალურად უნდა გაემიჯნონ ეკლესიასო, დამნაშავე მღვდლები უნდა დაისაჯონო“ და სხვა ლიბერასტულ სიბრძნეებს ისეთი პათოსით აფრქვევთ, რომ, სულო ცოდვილო, ხანდახან რესპუბლიკური პარტიის წევრი მგონიხართ!**

რაც შეეხება „დამნაშავე მღვდლებს“, ჯერ რა არის დანაშაული — გეიპარადებს ტაშს რომ არ უკრავენ და იმავეს მოუწოდებენ საკუთარ მრევლს? სასულიერო პირების დაჭერის მოთხოვნა თვით სააკაშვილის რეჟიმმაც ვერ გაბედა, რადგან ესმოდა, რომ მსგავსი რამ ეკლესიაზე პირდაპირ შეტევად აღიქმებოდა და თქვენ, როგორც გგონიათ, ამას გაპატიებთ ქართველი ხალხი?

**სიტყვამ მოიტანა და წინა სტატიაში მოგმართეთ თხოვნით, რათა განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილისთვის პასუხი მოგეთხოვათ იმისთვის, რომ ამ ჩოლოხა ხლისტმა საქართველოს დედაეკლესიას მოსახდელი სახადი, ანუ ავადმყოფობა უწოდა, და იქვე დაგეფიქსირებინათ თქვენი პოზიცია — არც ერთი გააკეთეთ და არც მეორე, თქვენც ასე ფიქრობთ?**

**იმ ხნის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში ხართ, იმედი ბევრჯერ გამიცრუვდა! მას შემდეგ, რაც თქვენს დითირამბებს გავეცანი რესპუბლიკელების მიმართ, რომლებიც რესპების იუბილეზე წარმოთქვით, იმ ზღაპარსაც გაუვიდა ყავლი, რომ რესპუბლიკელები თქვენი იძულებითი, დროებითი არჩევანია — ვიზიარებ ირინე სარიშვილის მოსაზრებას, რომ რესპუბლიკელები თქვენი ერთადერთი გარემოცვა და ნებაყოფლობითი არჩევანია!**

დროზე „გაიტანეთ გრენლანდია“ (რესპუბლიკელები) თორემ ქართველი ხალხი თქვენ გაგიტანთ, — არჩევნები მალე მოვა, პატივცემულო!..

**დავით მხეიძე**

**P.S. ევრაზიული კავშირი რად გვინდა, არა?!**

**ეროვნულობაში, კაცობაში ეჭვმიტანილო პარლამენტარებო, რას დადუმებულხართ, ხმა ამოიღეთ, ვერ ხედავთ, რომ საქართველოს დასავლური პედერასტიის ოკუპაციის საფრთხე ემუქრება? სანამ პირადად არ მოგიფათურებენ ხელს, მანამდე ყურებს არ გამოიბერტყავთ?**

**გასულ კვირას რუსეთის დუმამ (ჩათვალე — პუტინმა) ისეთი ანტიპედერასტული კანონი მიიღო, რომ მთელი დუნდულებმონარნარე დასავლეთი აიფოფრა რუსეთის წინააღმდეგ! ყოჩაღ, რუსებო, და პირადად ვლადიმერ პუტინო — ვინც რა უნდა, ის დამაბრალოს და მე მშურს რუსეთის, რომ ასეთი ვაჟკაცი პრეზიდენტი ჰყავს!**

**მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელმა ტელექადაგებებმა ცხადყო, რომ ლგბტ წარმომადგენლების უფლებების დაცვისადმი ყურადღების არნახული აგრესიულობით გამახვილება, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების კარგად გათვლილი და ორგანიზებული კამპანიაა, რომელიც ასევე კარგადაა შეზავებული პროვოკაციის ნიორწყლით, ისეთი აქცენტებით, როგორიც, ეკლესიის წინააღმდეგ გამოხდომებია...**

ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთს რა აკაკანებდა?

## ელჯიბიტების ჯიჰადი მართლმადიდებლების წინააღმდეგ

**აიძაგრა, აიქოჩრა, ყალყზე შედგა ევროპა და ამერიკა პედერასტების უფლებათა დასაცავად. კეკლუცები, გეებს რომ უწოდებენ და დაშიფრულად ელჯებიტებად ითქმის. ეს პლანეტარული აბობოქრება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის და მორწმუნეთა გრძნობების დაცვის შესახებ მიღებულ კანონებს მოჰყვა.**




ტიპი მივიდა ამათ საზოგადოებაში. მიმიღეთ, თქვე კეთილშობილებო, მეც, თქვენსავით გეი ვარო. ბალეტში ცეკვავ? — ეკითხებიან. — არაო. — ესტრადაზე მღერიო? — არა, ზეინკალი ვარო. — აბა, შენ, გენაცვალე, გეი კი არა, პედერასტი ყოფილხარო.

ამათზე ვბედავ ხმის ამოღებას. თორემ გეებს, აშშ-სა და ევროპას წინ ვერავინ დაუდგება. ვერც **The Gapan Times**-ში გამოქვეყნებული წერილის ავტორის, უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის **გაკუინის** („ვაჰმე, რა ყროლნი მოსულან") მტკიცებას, რომ **„სსრ კავშირის რღვევამ... წინა პლანზე წამოწია ადამიანის, ფემინისტების, ტრადიციული ოჯახის და გეიკულტურის პრობლემები".**

**გეიკულტურაო, ამტკიცებს პროფესორი გაკუინი. თქვენ კი, ხელოსანზე გეცინებათ, რომელმაც გეიკულტურაში შესვლა მოინდომა მხოლოდ იმიტომ, რომ არატრადიციული სექსმოგილი იყო, ჩვეულებრივი პედერასტი. აბორტის მსხვერპლი, როგორც თურქეთის ქვეშევრდომი ოსტაპ ბენდერ ბეი იტყოდა.**

გაკუინი იქით იყოს და, ეს რამდენი კუ ყოფილა ამ მთვარის ქვეშ, რომლებიც, მიზეზი მიეცი, და მზად არიან ფეხი გამოჰყონ, როცა სხვა რამ გამოსაყოფი არა აქვთ რა.

გეიკულტუროსნებო!

**„კონსერვატული მართლმადიდებლური მორალის"** წინააღმდეგ ილაშქრებს **The Financial Times,** რომელიც თურმე **„ახალ რუსულ კონსერვატიულ ნაციონალიზმში"** ვლინდება და მიმართულია **„უფრო ხანდაზმული, უფრო სოფლის და ნაკლებად განათლებული მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად".**

მეტად განათლებულები გეიკულტურის ადეპტებად გვევლინებიან. ხოლო **„კრემლის ახალი ღონისძიებები ტრადიციონალისტების მხარდასაჭერადაა გამიზნული",** — მხარს უბამს **The Wall Street Gournal.**

„ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!" — ანუ **„რეაქციული რუსეთის გაბოროტებული და უსაფუძვლო თავდასხმები"** (**The Times**) ჰომოსექსუალიზმის დამცველთა და **„რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მომხრეთა ბრბოს"** შეტაკების მსგავსი, როგორიც ამასწინათ სახელმწიფო სათათბიროს შენობის წინ მოხდა.

გეიაქტივისტების მდგომარეობით გულაჩუყებული **The Independent** ცრემლსა ღვრის ამ საწყლების გართულებული ცხოვრების გამო, რომელიც მათ რუსეთის ხელისუფლებამ ახალი კანონების მიღებით მოუწყო. თუმცა **ამ სახელმწიფო აქტებს არაფერი აქვთ საერთო არც ჰომოფობიასთან, არც არატრადიციული სექსუმცირესობის დევნასთან. ხოლო ვინ აქტიურია, ვინ პასიური, ერთმანეთში გაარკვიონ, კაცობრიობას ეს დეტალები აბსოლუტურად არ აინტერესებს.**

სამაგიეროდ შეშფოთებულია საერთაშორისო ორგანიზაცია **„რეპორტიორები საზღვრების გარეშე".** მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: **„სახელმწიფო სათათბირო ექსპლუატაციას უწევს მორალსა და ბავშვების დაცვას და იყენებს მას როგორც იარაღს ინფორმაციის თავისუფლების შესაზღუდად. სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის, ზედმეტია და საშიში".**

ესე იგი, თუ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აიკრძალება, კაცობრიობას არა მარტო ამათი ვნებიანი სიამტკბილობის ხილვის სიამოვნება მოაკლდება, არამედ დაიშლება და დაირღვევა ინფორმაციის გაცვლის აწყობილი გლობალური სისტემა.

ავოეე!

და — მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა: **გეიპროპაგანდა თურმე ყოფილა აივ-ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის უებარი წამალი.**

აქამდე პირიქით ვიცოდით: **ამ უკურნებელი სენის გავრცელების უმთავრესი წყარო და საშუალება სწორედ ჰომოსექსუალიზმი იყო.**

ამ ორგანიზაციის აზრით, არატრადიციული **სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის აკრძალვა „უაზროდ ზღუდავს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სექსუალური აღზრდის პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას... ასეთ პირობებში როგორ უნდა ებრძოლოს რუსეთი აივინფექციას და ჰომოფობიურ ცრურწმენებს?"**

უსმინე, უყურე, დატკბი და განიწმინდე ჰომოფობიური ცრურწმენებისგან!

მით უფრო, რომ **ევროპარლამენტიც ამ აზრზე დგას.** 13 ივნისს ევროდეპუტატებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც გამოხატეს თავიანთი **შეშფოთება რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივის შესახებ და შიში „ამ ორგანიზაციების გარშემო მტრული ატმოსფეროს" შექმნის გამო.** რეზოლუციის მიხედვით, გეიპროპაგანდის აკრძალვის კანონს ნეგატიური შედეგები მოჰყვება, რადგან ამით **„შეიქმნება პირობები ლგბტ თანამეგობრობის კრიმინალიზაციის, რაც წაახალისებს ძალადობას მის წინააღმდეგ".**

აი, ასეთია ორიენტაციაშეცვლილი ევროპარლამენტის გზააბნეული ლოგიკა: პროპაგანდის აკრძალვამ რატომ უნდა შექმნას კრიმინალური პირობები?! აკი გეიკულტურა არისო? კულტურა თუ კრიმინალური შეიძლება გახდეს, კი ყოფილა ასაკრძალი მისი პროპაგანდა. მაშ, რას ერჩიან რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებებს?!

თქვენ რას იტყვით, ქალბატონო **ანგელა მერკელ?**

ამ შეკითხვაზე გერმანიის კანცლერი ქალბატონი გვიპასუხებს, რომ **„ეს კანონი დისკრიმინაციულია სექსუმცირესობების მიმართ, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სულისკვეთებას".**

ე.ი. გააპიარებ, პროპაგანდას გაუწევ პედერასტიზმს, „კაციც შენა ხარ და ქალიცა" თანამედროვე ევროპაში.

შეებრძოლები? აზიატი იყავ და აზიატად დარჩები საკუთარი ჰარამხანის მოლოდინში. პლიუს ადამიანის უფლებათა კონვენციის სულისკვეთების მოწინააღმდეგე რეტროგრადი.

**მერკელმა არც აცივა, არც აცხელა და რუსეთის ხელისუფლებას მიღებული კანონების გაუქმებისკენ მოუწოდა.**

არც რუსეთმა დააყოვნა და სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის **ალექსეი პუშკოვის** პირით უპასუხა, რომ **მერკელის მოწოდებას რუსეთი უყურადღებოდ დატოვებს.**

რეაგირების გარეშე!

**„მერკელმა,** — წერს თავის ტვიტერში პუშკოვი, — **რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრად ენერგიული პედერასტი გიდო ვერსტერველე ჰყავს, რუსეთს მოუწოდა უარი თქვას ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვაზე. ამ მოწოდებას ყურს არ ვათხოვებთ. ღირებულებათა კონფლიქტი კარსაა მომდგარი".**

შფოთავს ევროპული სოდომი და მისი ერთ-ერთი ხასხასა მრავალფეროვანი **მერი რეიკიავიკისა იონ გნარი, რომელმაც რუსეთში გეიპროპაგანდის აკრძალვის გამო განაცხადა, რომ მართლმადიდებლობა ჰომოსექსუალიზმზე საშიშია: „ჰომოსექსუალები სასაცილონი არიან, თქვენ და თქვენი ეკლესია საშიში ხართ",** — ქალაქის თავის ეს სიტყვები დაბეჭდილია ფინურ გაზეთ **Morgundlaviv**-ში.

ვინაა ეს მოხალისე ჰომოსექსუალი? პროფესიით მსახიობი-კომიკოსია. 2012 წლის აგვისტოში მან თავი გამოიჩინა როგორც Pussy Riot-ის აქტიურმა დამცველმა: კაბაში გამოწყობილი ამხედრდა სატვირთო ავტომანქანის ძარაზე დამონტაჟებულ ფიცარნაგზე და მთელი რეიკიავიკი შემოიარა. მანქანა დამშვენებული იყო პლაკატით **„თავისუფლება Pussy Riot"**-ს და წარწერით — **Gayor** — **„გეიმერი".** გნარის აქცია გაიმართა ტრადიციული გეიაღლუმის ფარგლებში, რომელიც რეიკიავიკში 7-დან 12 აგვისტომდე იმართება.

ვითომ ხუმრობდა გეიკომიკოსი მერი?

**მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელმა ტელექადაგებებმა ცხადყო, რომ ლგბტ წარმომადგენლების უფლებების დაცვისადმი ყურადღების არნახული აგრესიულობით გამახვილება, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების კარგად გათვლილი და ორგანიზებული კამპანიაა, რომელიც ასევე კარგადაა შეზავებული პროვოკაციის ნიორწყლით, ისეთი აქცენტებით, როგორიც, ეკლესიის წინააღმდეგ გამოხდომებია,** მაგალითად, „ტაბურეტკით კურთხევა მიცემული" და გინებით განწმენდილი მოწოდებებით მასების დარაზმვა სადღაც შეყუჟული, უფლებადარღვეული მამათმავლებისა და ჰეტეროსექსუალების მცირე ჯგუფის წინააღმდეგ შეტევისთვის.

**ძალადობა ცუდია, ტოლერანტობა — კარგი და მისაბაძია. ასეთ სიმარტივემდე დაჰყავთ პრობლემა სატელევიზიო თოკ შოუების რეიტინგულ წამყვანებს და სალაპარაკო სუფრასთან მიწვეულ მათ სტუმრებს, რომლებსაც ალავერდივით ყველაფერზე აქვთ გამზადებული პასუხი.**

პრობლემის სერიოზული შესწავლა კი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მხოლოდ იწყება, ან უნდა დაიწყოს. ისეთი საკითხების, მაგალითად, როგორიცაა **ერთსქესიანთა ოჯახების საკუთრების განაწილების, დაზღვევისა და დაცვის, ქონების ერთობლივი ფლობის და, ბოლოს და ბოლოს, ნაშვილები ბავშვების აღზრდის საკითხები.**

ექსპერტებს სულ უფრო მეტად აფიქრებთ, როგორ გავლენას იქონიებს ასეთ ბავშვებზე არატრადიციული ოჯახური კავშირები. იგულისხმება არა მარტო სწავლა-განათლება, არამედ, ამასთან ერთად, მყარი ფსიქიკა და საერთო განვითარება. **„აშკარაა,** — მსჯელობენ ისინი, — **რომ ბავშვები ასეთი ოჯახებიდან უმცირესობას წარმოადგენენ, მაშასადამე, ისინი ჰქმნიან მარგინალურ ჯგუფებს, და, შესაბამისად, წამოიჭრება შეკითხვები, რომლებიც სოციალურ ადაპტაციასთან, საკუთარი „მშობლების" მიმართ დამოკიდებულებასთან და თვითშეფასებასთან იქნება დაკავშირებული".**

ამასთან ერთად, მიგვითითებენ, რომ ჰომოსექსუალობა არ არის მაინც და მაინც პროპაგანდის ან აღზრდის პირდაპირი შედეგი, ხოლო თვით ამ წრის ბავშვების ტოლერანტული დამოკიდებულება ამგვარი სექსუალური და ოჯახური ღირებულებებისადმი, საკამათო და ჯერჯერობით გაურკვეველი საკითხია.

**ჯერ საერთოდ შვილად აყვანის გამჟღავნება, თუნდაც საქართველოში, რამდენ პრობლემას წამოჭრის ხოლმე, და რა მოხდება ერთსქესიანი ოჯახების შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.**

ის რეალობა, რომ რამდენიმე ქვეყანაში ნებადართულია ასეთი ქორწინება და ბავშვების შვილად აყვანა, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენც უკრიტიკოდ უნდა გადმოვიღოთ მათი „გამოცდილება". ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის მქონე პირების მხარდაჭერა არის პიროვნების თავისუფლებისა და უფლებებისადმი პატივისცემის საუკეთესო დადასტურება.

**ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პროტესტის ატმოსფერო, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბდა, გაცილებით ფართო კონტექსტის მქონეა: ლაპარაკია სამოქალაქო საზოგადოების თვითიდენტიფიკაციაზე, ფასეულობათა იმ სისტემის გარკვევაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობისთვის. ლგბტ მოძრაობისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა ამ პროცესის მხოლოდ ერთი შემადგენელია.**

დასკვნისთვის მოგვიხმობ **„გაზეტა.რუს"**, რომელმაც ორიოდ დღის წინათ გამოაქვეყნა ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის **სერგეი როგანოვის** ანალიტიკური სტატია. მეცნიერი წერს: **„განვითარების საკუთარი გზის, საკუთარ ფასეულობათა სისტემის დაჟინებული ძიება ახალი ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელია... ჩვენი ქვეყანა სულაც არ არის უგნური რეტროგრადი და ბნელეთის მოციქული, როგორადაც მას ლგბტ-ს მხარდამჭერები და ლიდერები წარმოგვიდგენენ..."**

სწორედ იმიტომ აკაკანდა დასავლეთი, რომ არ სურს ამის აღიარება.

მისი საქმეა. მაგრამ ჩვენებური უსაზღვრო „დემოკრატებიც" რომ უნისონში აწივლდნენ და აწიოკდნენ, „საწუხარი არს ესე".

**მიმოხილვა მოამზადა**
**არმაზ სანებლიძე**

საქართველო და მსოფლიო
ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„15 წელია, აღრიცხვა არ აქვთ გაკეთებული. რამდენი წიგნი არსებობს ტექნიკურ უნივერსიტეტში და რა დასახელების, არავინ იცის. მათ შორის არის უნიკალური წიგნები. ვეჭვობ, წიგნები გატანილია ბიბლიოთეკიდან. კონკრეტულად ფრანგიშვილს არ ვადებ ხელს, მანამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ამ წიგნების ფასი იცოდა. ვიმეორებ, ხელს არ ვადებ ფრანგიშვილს, მაგრამ, მისი რექტორობის დროს რომ ბიბლიოთეკაში ყველაფერი არ იყო რიგზე, რა რეაგირება მოახდინა ამაზე, როგორც რექტორმა?“**



ფირან კობიაშვილი

# რა ბრალდებებს უყენებენ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს და რატომ დუმს განათლების სამინისტრო?

**ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხი კიდევ ერთხელ დგება მთელი სიმძაფრით საზოგადოების წინაშე. პროფესორ-მასწავლებლების გარკვეული ნაწილი ერთობ შეშფოთებულია რექტორის — არჩილ ფრანგიშვილის მიერ განხორციელებული პოლიტიკით. პასუხგაუცემელი კითხვები იმდენად ბევრი დაგროვდა, რომ მოსალოდნელია სერიოზული სკანდალი მთელი ტექნიკური უნივერსიტეტის მასშტაბით. განათლების სამინისტრო კი დუმს, სირაქლემის პოლიტიკის ერთგული მიმდევარია და ცდილობს, არც მწვადი დაწვას, არც შამფური. როგორც ჩანს, ეს ერთმანეთთან დაუკავშირებელი პროფესორთა ჯგუფები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ერთიანი მობილიზაციაა საჭირო რექტორის თანამდებობიდან გადასაყენებლად. რამდენიმე წარმომადგენელმა პირდაპირ მითხრა, რომ არჩილ ფრანგიშვილის ხელში ტექნიკურ უნივერსიტეტს განვითარება არ უწერია. „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რადიოტექნიკისა და მაუწყებლობის დეპარტამენტის თანამშრომელს, დოქტორ ფირან კობიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ფირან, რით დაიწყო კონფლიქტი თქვენსა და არჩილ ფრანგიშვილს შორის, რა ვერ გაიყავით?**

— გასაყოფი რა მქონდა რექტორთან... უბრალოდ, 2013 წლის 9 იანვარს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, სამეცნიერო ჯგუფთან ერთად შევიტანე საგრანტო პროექტი და ველოდებოდი კონკურსს. ყველა უნივერსიტეტს აქვს დაწესებული გარკვეული კვოტა, ტექნიკური უნივერსიტეტიდან უნდა გასულიყო 16 პროექტი. **ჩვენს უნივერსიტეტში შევიდა 26 პროექტი, მათ შორის საუკეთესოები უნდა ამოერჩიათ და 16 თემა გადაეგზავნათ რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. როგორც ირკვევა, ამ 26 თემიდან 16 თემას უკვე წინასწარ გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება.**

**— რას ნიშნავს გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება?**

— ამ თემების ავტორები რექტორთან დაახლოებული პირები იყვნენ და წინასწარ იცოდნენ, რომ გავიდოდნენ. მე კი პროექტის გასვლის არანაირი შანსი არ მქონია. არადა, როდესაც პროექტი შევიტანე, ვესაუბრე რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, ბატონ ზურაბ გასიტაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ჩატარდება პრეზენტაცია ან კონკურსი და ამის მიხედვით შევარჩევთ თემებსო, თუმცა შემდეგ ვნახე, რომ **16 თემა გაიგზავნა ფონდში და ჩემი თემა იქ არ იყო. მაშინვე მივედი ბატონ ზურაბ გასიტაშვილთან იმის გასარკვევად, თუ რა დაუწუნეს ჩემს თემას. მისი პასუხი ასეთი იყო: მე და ბატონი ფრანგიშვილი დავსხედით, თემები გადავარჩიეთ, შენი თემა ვერ მოხვდა სიაში, რას იზამ, ასე გვინდოდაო...**

რა პრინციპით მოხდა თემების გადარჩევა, ალბათ, გასაგებია. აქვე გეტყვით, რომ ჩემი თემა ეხებოდა ტალღების გავრცელებას საანტენო სისტემებში. დღეს უაღრესად აქტუალური საკითხია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ოფიციალურად მოგწერთ და თქვენც წერილობით გამეცით პასუხი-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი. რა თქმა უნდა, მივწერე წერილი, პასუხი კი არ გამცეს. პასუხის მაგივრად რამდენიმე დღეში მოვიდა ადამიანი, რომელმაც მითხრა, პრობლემები შეგექმნება, მაგ წერილზე პასუხს კი ვერ მიიღებო.

**— ვინ იყო ის ადამიანი, გამოდის, რომ დაგემუქრათ?**

— მიხეილ მახარაშვილი, გასიტაშვილთან დაახლოებული პირი. ადმინისტრაციის წევრი არ არის, მაგრამ ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობს. ჩემთანაც ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, წინა გრანტშიც იყო ჩასმული. მოკლედ, წერილის უკან გამოტანა მირჩია. მე ვუთხარი, რომ მუქარა ჩემთან არ გაჭრიდა და არც უკან დახევას არ ვაპირებდი. პასუხი აქამდე არ მიმიღია.

**— ბატონო ფირან, ვისი თემები გავიდა, იქნებ დაგვიკონკრეტოთ...**

— ვისი თემები გავიდა, გაურკვეველია, ამ ადამიანების ვინაობა ვერ დავადგინე. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ რექტორთან დაახლოებული პირები არიან. **სიჩქარეში ისეთი თემაც გაპარვიათ, რომლის ავტორი დოქტორიც კი არ იყო. ფონდს დაუბლოკია ეს თემა, ოფიციალური დოკუმენტიც კი მაქვს. ფონდსაც კი მივმართე იმის დასადგენად, თუ ვინ არიან იმ 16 თემის ავტორები, მაგრამ მიპასუხეს, რომ არ აქვთ უფლება, გასცენ ეს ინფორმაცია.**

**— თუ ვერ დაადგინეთ ავტორები, რით ამტკიცებთ, რომ რექტორთან დაახლოებული პირები არიან ?**

— ერთ-ერთი თემის ავტორი ვინმე აზმაიფარაშვილია, რომელიც დაახლოებულია არჩილთან; რექტორმა ჩამოიყვანა რუსეთიდან და შესთავაზა თავისთან მუშაობა.

**— შემდეგ როგორ გადაწყდა ამ საკითხის ბედი?**

— გასიტაშვილისგან რომ ვერ მივიღე პასუხი, წერილობით მივმართე რექტორს. პასუხი არც მისგან მიმიღია, სამაგიეროდ გვიბრძანეს, დაცალეთ სამუშაო ოთახებიო (ეს ოთახები პირველ გრანტზე ავიღეთ, რაშიც უნივერსიტეტს ფულს ვუხდიდით. მართალია, ოფიციალურად აღარ გვეკუთვნოდა, მაგრამ ველოდებოდით ახალ გრანტს, რომ მერე გადაგვეხადა ზედნადები). მე კი ფრანგიშვილს შევუთვალე, — ჩემთან და ჩემნაირ გაჭირვებულ პროფესურასთან ჭიდილს სჯობს, სხვა პრობლემებზე იფიქროთ, რომლებიც სასწავლებელში არსებობს-მეთქი. ამის პასუხად გამოგზავნა დაცვის უფროსი, სასწრაფოდ გამოყარეთ, თუ წინააღმდეგობას გაგიწევენ, გამოუძახეთ პატრულსო.

ამ ნაბიჯით გრანტის გაგრძელებისა და სხვა გრანტებზე მუშაობის საშუალება მოგვისპო.

უნივერსიტეტის აუდიტის უფროსმა მალხაზ ლომთაძემ ჩემს 3 ახლობელს, სამეცნიერო ჯგუფის წევრებს, უსაყვედურა, თქვენ უდგახართ გვერდით და გაჩერდითო. არ მინდოდა, ეს ხალხი დარტყმის წინაშე დამეყენებინა და მაშინვე მივედი მასთან, ვუთხარი, რომ მარტო ვიყავი, არავინ მედგა გვერდით და ნურავის საყვედურობდა. ამაზე მიპასუხა: რა დაგიშავა ფრანგიშვილმა, ტყვიას რომ ესვრი პირდაპირო. არავის ვესვრი ტყვიას, **ბატონ არჩილ ფრანგიშვილს დიდ პატივს ვცემ, ვაფასებ, როგორც პიროვნებას, მაგრამ როგორც რექტორი ვერ შედგა-მეთქი. 2005 წლიდან მართავს უნივერსიტეტს და სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. ამის შემდეგაც შევუთვალე რექტორს, რომ გაჩერებას არ ვაპირებდი, რადგანაც ამის გარდა საკმაოდ ბევრი დარღვევაა ტექნიკურ უნივერსიტეტში.**

**— ასეთი რა დარღვევებია ტექნიკურ უნივერსიტეტში?**

— იცით, რამდენი აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორს ხელფასი? საქართველოში არც ერთ უნივერსიტეტში არ არის ასეთი დაბალი ხელფასი. მაგალითისთვის ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ავიღოთ. აკადემიურ საათში ანაზღაურება 12 ლარია, ტექნიკურ უნივერსიტეტში კი — 3 ლარი. მათხოვრული ხელფასი გვაქვს, თუმცა დატვირთვა იგივეა. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სტუდენტი იხდის 2250 ლარს, იქ ყოფნით ეს თანხა ხელფასებზე. ტექნიკურ უნივერსიტეტშიც ამდენივეს იხდის სტუდენტი, მაგრამ აქ არ ყოფნით. ამიტომ მოვითხოვე ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგი, რომელიც მომცეს კიდეც. **ფრანგიშვილის მოსვლის შემდეგ ადმინისტრაცია გაზრდილია დაახლოებით 10-ჯერ. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ პრორექტორს უთქვამს კიდეც, რა ექნა, ავალებდნენ „ნაციონალები“ და ღებულობდა ხალხსო.**

**— ანუ ბევრი ადამიანი, სრულიად გაუგებარია, რას აკეთებს უნივერსიტეტში და რაში იღებს ხელფასს?**

— დიახ ასეა, ახლა კი კოაბიტაციაა და რექტორი არ უშვებს ამ ხალხს სამსახურიდან. ეს გასასამართლებელი თუ არის რექტორისთვის, არ ვიცი. ვფიქრობ, სხვა რამეშიც არის აქ საქმე.

**— რას გულისხმობთ?**

— განცხადებით მივმართე რექტორს, მოვითხოვე ბოლო 5 წლის საბანკო გადარიცხვები, არა სახელფასო. პასუხი თვითონ აიცილა თავიდან და განცხადება დააწერა კანცელარიის უფროს ქეთი ქოქრაშვილს, მან კი გადააწერა იურიდიული დეპარტამენტის უფროს ბექა მაისურაძეს, რომელმაც მითხრა: კონკრეტულად რა გაინტერესებს, ყველაფერი ზეპირად ვიცი და გეტყვი, შენ, რასაც ითხოვ, ამ ოთახში არ დაეტევა, ტყუილად ნუ ელოდები პასუხსო, თითქოს ელექტრონული ვერსიის მოწოდება შეუძლებელი იყო. ვუთხარი, რომ წერილზე პასუხის გაცემის ვადა ამოწურული ჰქონდათ. ის დამეთანხმა და მითხრა: თანახმა ვართ, გადავიხადოთ ჯარიმა, წადი და, სადაც გინდა, იქ გვიჩივლეო. იმ დღესვე გავუგზავნე რექტორს მეორე წერილი, რომელშიც აღვნიშნავდი, რომ უნივერსიტეტში მისი რექტორობის პერიოდში ნამდვილად მიმდინარეობდა ფულადი მაქინაციები და ამიტომ იყვნენ თანახმა, ინფორმაციის გაცემის ნაცვლად გადაეხადათ ჯარიმა. როგორც გავიგე, გადაწყვიტეს ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც გამაჩუმებდა.

**— განათლების სამინისტროსთვის არ მიგიმართავთ?**

— ცხადია, პრემიერ-მინისტრის კანცელარიასა და მთავარ პროკურატურაშიც შევიტანე განცხადება და ამ დარღვევებზე მივუთითე, იმედი მქონდა, დაინტერესდებოდნენ და შემოვიდოდნენ შემოწმებაზე. პროკურატურამ — ეს საკითხი ჩვენ არ გვეხება, განათლების სამინისტროს გადაუგზავნეთო. **პრემიერის ადმინისტრაციიდანაც გადააგზავნეს წერილი განათლების სამინისტროში, განათლების სამინისტრომ კი მისწერა რექტორატს, ამა და ამ პრობლემებზეა შემოსული წერილი და გაგვეცით წერილობითი პასუხიო. მე კიდევ ვითხოვ აუდიტის სამსახურის შემოსვლას, რომელიც ძალიან აგვიანებს, ანუ გეგმური აუდიტი სანამ არ შემოვა, მანამდე არავის აწუხებს ის, რაც უნივერსიტეტში ხდება.**

ხედავთ, ვინც ეს ფაქტი უნდა აღმოაჩინოს (ვგულისხმობ, განათლების სამინისტროს) აქეთ უგზავნის რექტორატს ამ წერილს, აუდიტის სამსახური კი განათლების სამინისტროზეა დამოკიდებული. იგივე კომუნისტური მომენტია.

**— როგორია რექტორის მიმართ საერთო განწყობა ტექნიკურ უნივერსიტეტში?**

— უნივერსიტეტში არსებობენ ჯგუფები, უკვე ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ამ პოზიციას იზიარებენ და რექტორის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვენ. საერთო ფონი მკვეთრად უარყოფითია, თუმცა ზოგიერთი ადამიანი ამ ეტაპზე ვერ ბედავს ხმამაღლა თქვას ეს, ფრთხილობს, ვიღაცას რაღაც მოვალეობები აქვს რექტორთან, ვიღაცას ეშინია, მშიერი არ დარჩეს, თუმცა საბოლოოდ ესენიც აუცილებლად შემოგვიერთდებიან.

**— რამდენად სერიოზულია პროტესტის ეს მუხტი სასწავლებელში?**

— საკმაოდ სერიოზულია. ფიზიკის ფაკულტეტსა და თეორიული მექანიკის კათედრაზე ბევრნი აღშფოთებულნი არიან, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეც არის პატარა ჯგუფი. ინდივიდუალურად პროტესტს ბევრი გამოთქვამს. რექტორის ტყუილებზე (ლაბორატორიებს შეგიძენთ და ა.შ) აღარაფერს ვამბობ, სარემონტო სამუშაოების ხარისხზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, კორპუსებში ჭერიდან წყალი ჩამოდის. ვითომ არემონტებენ, გარედან ღებავენ კორპუსებს... არადა, თანხები შემოდის, აბა, რემონტი როგორ დაიწყეს?! ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის „ბიუჯეტი“. 2009 წელს 22 მილიონ 311 ათას 11 ლარი იყო, 2010 წელს — 30 მილიონ 175 ათას 125 ლარი, 2011 წელს — 32 მილიონ 484 ათას 911 ლარი, 2012 წელს — 39 მილიონ 935 ათას 243 ლარი. სად წავიდა და სად მიდის ის მილიონები? **ვერც ერთი ლექტორი და ვერც ერთი უნივერსიტეტის თანამშრომელი ვერ იტყვის, რომ 2009 წლიდან დღემდე რომელიმე ლექტორს 1 თეთრით მაინც მოემატა ხელფასი. ვფიქრობ, თანხები არამიზნობრივად იხარჯება, ლექტორს ან ლაბორატორიას არ ხმარდება და ეს ფულადი გადარიცხვები რომ მოვითხოვე, სწორედ ამიტომ წამოვიდა სერიოზული ზეწოლა.** ამ დღეებში ოფიციალურად მივწერ მესამე წერილს რექტორს, უკიდურეს შემთხვევაში კი მივმართავ სასამართლოს, შევეცდები, სასამართლოს ძალით ამოვიღო ეს ინფორმაცია.

დაბოლოს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზეც მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. როგორც გავარკვიე, **15 წელია, აღრიცხვა არ აქვთ გაკეთებული. რამდენი წიგნი არსებობს ტექნიკურ უნივერსიტეტში და რა დასახელების, არავინ იცის. მათ შორის არის უნიკალური წიგნები. ვეჭვობ, წიგნები გატანილია ბიბლიოთეკიდან. კონკრეტულად ფრანგიშვილს არ ვადებ ხელს, მანამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ამ წიგნების ფასი იცოდა. ვიმეორებ, ხელს არ ვადებ ფრანგიშვილს, მაგრამ, მისი რექტორობის დროს რომ ბიბლიოთეკაში ყველაფერი არ იყო რიგზე, რა რეაგირება მოახდინა ამაზე, როგორც რექტორმა?** ხუბუა ამის გულისთვის არ მოხსნეს რექტორობიდან? ამას, არც მეტი არც ნაკლები, დანაშაულის დაფარვა ჰქვია. აუცილებელია რექტორის შეცვლა, თორემ ტექნიკური უნივერსიტეტი სულს ღაფავს.

* * *

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს არჩილ ფრანგიშვილს** დაუკავშირდა. მან კობიაშვილის ბრალდებებს აბსურდი უწოდა და კომენტარის გაკეთება არ ისურვა. „საქართველო და მსოფლიო“ ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორ, **ლევან კლიმიაშვილსაც** დაუკავშირდა, რომელიც ამჟამად რექტორის მოვალეობას ასრულებს.

**— ტექნიკურ უნივერსტეტში არის რამდენიმე საკმაოდ სერიოზული ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი არასწორად არის შედგენილი, თანხები არამიზნობრივად იხარჯება, კერძოდ, ფირანი კობიაშვილმა განაცხადა ეს ჩვენთან საუბარში, ამაზე რას იტყვით?**

— თქვენ სხვადასხვა საკითხი დასვით. ერთი არის ის, რომ ბიუჯეტი არასწორად არის შედგენილი; მეორე, არამიზნობრივად იხარჯება. მე მინდა გთხოვოთ, რომ ამ საკითხზე მიმართოთ ჩვენი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფინანსები მე არ მეხება, სასწავლო დარგი მეხება მხოლოდ.

**„საქართველო და მსოფლიო“ ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ქეთი ქოქრაშვილს ესაუბრა:**

— კობიაშვილის განცხადებაზე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ — ვერც ფინანსებში ერკვევა და ვერც ბიუჯეტში.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„ეს ანტირუსული პოლიტიკა ისევე საშიშია, როგორც ანტიევროპული პოლიტიკა. იარაღის ჟღარუნის არც თავი გვაქვს, არც შესაძლებლობა და არც იარაღი, ამიტომ ჩვენთვის მთავარია სწორი დიპლომატიური კურსი, მაგრამ სწორედ ეს დიპლომატიური კურსი ჭირს ჩვენთან, რადგან დიპლომატია, როგორც პროფესია, არ არსებობს. ამას ჩვენი ელჩების მაგალითზეც ვხედავთ.“

საზოგადოებრივი აზრი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის ხელისბიჭობის საფასური

**ახლახან, რუსეთის დუმამ მამათმავლობის პროპაგანდა და რელიგიურ გრძნობათა შელახვა კანონით აკრძალა. საქართველოში კი მამათმავლების პარპაშის ატანა და ადრე თუ გვიან ერთსქესიან ქორწინებებთან შეგუება არის ფასი, რომელიც გეების მთავარი ლობისტის — ამერიკის ხელისბიჭობის სანაცვლოდ უნდა გადავიხადოთ. შემოვა დიდძალი ფული გრანტების სახით, ამბობს ერთი; მერე რა, შემოვიდეს, პასუხობს მეორე და ვერც კი ხვდებიან, რომ საქმე მხოლოდ გრანტის შემოსვლით არ შემოიფარგლება და ადრე თუ გვიან ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებაც მოგვიწევს...**
**გვილირს კი „სტრატეგიული პარტნიორობა“ იმად, რომ ქართველი ერი, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი, გადაშენდეს?!**
**შექმნილ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში რა არის საქართველოს გადარჩენის გზა — მაღალკვალიფიციური დიპლომატია, ფრთხილი საგარეოპოლიტიკური თამაში, მეზობელი ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინება, ქვეყნის გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის ფაქტორად თუ კვლავ ანტირუსული რიტორიკა, იარაღის ჟღარუნი და დასავლელ მეპატრონეთა ავანტიურისტული მითითებების უპირობო შესრულება? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს ესაუბრა.**



## სოსო ჯაჭვლიანი:
## სამეზობლოსთან ყოველთვის გარკვეული უნდა გქონდეს სიტუაცია, ეს, პირველ რიგში, შეეხება რუსეთთან ურთიერთობას

**სოსო ჯაჭვლიანი, „ქართული ოცნების“ დეპუტატი:**

— საქართველოში სექსუალურ უმცირესობათა პარპაშის წინააღმდეგი ბევრი ადამიანია და მათი აზრი უნდა გავითვალისწინოთ! ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ ჩატარდება გამოკითხვა და დავინახავთ, რამდენი ადამიანი დაუჭერს მხარს და რამდენი არა. რატომ ვიგონებთ ისეთ რამეს, რასაც ქართველი ადამიანი მენტალურად არასდროს შეეგუება?!

კომუნისტების დროს მამათმავლობა კანონით ისჯებოდა. თბილისში ცხოვრობდა მსოფლიოში ძალიან ცნობილი რეჟისორი, რომელიც მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკაში. ის მამათმავლობისთვის დააპატიმრეს. სასჯელის მოხდის შემდეგ სამუშაოდ არც ერთმა საბჭოთა კინოსტუდიამ არ მიიღო. **ჰოდა, ადგა ჩვენი კინოს პატრიარქი – რეზო ჩხეიძე და ჩამოიყვანა ეს კაცი საქართველოში და ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იმ ფილმებს იღებდა, რომელი ფილმებიც მოესურვებოდა. სხვათა შორის, გარდა იმისა, რომ ის სექსუალურ უმცირესობას წარმოადგენდა, ეროვნულ უმცირესობასაც ეკუთვნოდა. და იცით, რატომ გრძნობდა ასე კარგად ის ადამიანი თავს საქართველოში? იმიტომ, რომ არც პარადებს აწყობდა, არც ყვიროდა, მაღიარეთო, და პროპაგანდასაც არ ეწეოდა.** ამით, მე მგონი, ყველაფერი ვთქვი.

რაც შეეხება შექმნილ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებას, იარაღის ჟღარუნით საქართველო თავის სამეზობლოში ვერაფერს მიაღწევს. ამის მაგალითი ჩვენ 2008 წელს ვნახეთ. აუცილებელია დიპლომატია — გონიერი ადამიანები უნდა დასხდნენ და მოილაპარაკონ, 30 ვერცხლად არავინ უნდა გაიყიდოს არც რუსეთისკენ, არც ამერიკისკენ და არც ევროპისკენ. ყოველთვის უნდა იცავდე საქართველოს ინტერესებს, ამიტომ დიპლომატიას ალტერნატივა არ აქვს. ვიმეორებ: **სამეზობლოსთან ყოველთვის გარკვეული უნდა გქონდეს სიტუაცია, ეს, პირველ რიგში, შეეხება რუსეთთან ურთიერთობას.**

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— ისტორიულ-კულტურული ფენომენი, ბუნებრივია, არ უნდა გადაშენდეს და სახელმწიფო სწორედ ჯავშანია ერისთვის, რათა დაცული, განვითარებული და შენარჩუნებული იქნას. ვფიქრობ, პრობლემა, რომელიც აქ წარმოიშვა, არის გრანტზე ამხედრებული ზოგიერთი წარწყმედილის ხელოვნურად აგორებული პიარი, ხელოვნურად შექმნილი პრობლემა, რათა გრანტები წამოვიდეს, და მოქმედებს პრინციპით: ფულს სუნი არ აქვს, გინდ მამათმავლის იყოს, გინდ სხვისა. ჩვენ თუ ჩვენი შინაგანი მრწამსით, აზროვნებითა და მენტალობით ვიქნებით მყარი და მტკიცე, ეს პრობლემა არც პირველი რიგის და არც მთავარი იქნება ჩვენ სინამდვილეში.

საქართველოს გადარჩენა ამ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში შეიძლება ძალთა დაბალანსებით, გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით და საქართველოს თანამშრომლობისა და არა დაპირისპირების არეალად ქცევით.

**სანამ ჩვენ გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ორიენტირებული იქნება მონობაზე, მორჩილებაზე, ბატონის ძებნაზე და ვექტორს ხან დასავლეთით წარმართავს, ხან ჩრდილოეთით და ხანაც აღმოსავლეთით, რითაც გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირებასა და ურთიერთდაჯახებას გამოიწვევს, ამას ჩვენი ქვეყნის ინტერესები ყოველთვის შეეწირება.** მაგრამ, თუ ჩვენ ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება დამოუკიდებლობისკენ და არა მონობისკენ, ვინმეს ხელში გამოყენებული არ იქნება ბანქოში გასათამაშებელი კარტი, არამედ ვიქნებით თვითმყოფადი, სუვერენული ქვეყანა, რომელიც აქ დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის საფუძვლებს შექმნის, მაშინ გადავრჩებით.



## გიორგი გუგავა:
## ეს არის გრანტზე ამხედრებული ზოგიერთი წარწყმედილის ხელოვნურად აგორებული პიარი, ხელოვნურად შექმნილი პრობლემა



## სოსო ცინცაძე:
## თუ ევროპა არის პედერასტების აღლუმები და ზეიმი, მე არც ის ევროპა მინდა, არც ის ნატო და არც ის ევროკავშირი

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— რასაკვირველია, არც სტრატეგიული პარტნიორობა გვილირს ამად, არც ნატო და არც ევროკავშირი. რუსეთში, სადაც 140 მილიონი კაცი ცხოვრობს, მამათმავლობის პროპაგანდა აიკრძალა, ჩვენთან კი ეს ტაბუდადებულ თემად იქცა, მეტიც, ეჭვის გამოთქმაც კი არ შეიძლება. ვიმეორებ: მე, მაგალითად, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამისა. კი, ბატონო, იყვნენ თავისთვის, რაც უნდათ, აკეთონ, მაგრამ ის, რომ მათ ამით იამაყონ, იტრაბახონ და იძახონ, ჩვენ ისეთები ვართ, როგორც ყველა, არანაირი განსხვავება ჩვენ შორის არ არისო, არ შეიძლება, რადგან ეს, არც მეტი არც ნაკლები, მიბაძვისკენ მოწოდებაა. ასე გავრცელდა ნარკომანია, რამდენიმე ნარკომანი იყო, შემდეგ კი... მითუმეტეს, ოფიციალური პროპაგანდა არ ყოფილა, აქ კიდევ ოფიციალური პროპაგანდა სურთ. **თუ ევროპა ეს არის პედერასტების აღლუმები და ზეიმი, მე არც ის ევროპა მინდა, არც ის ნატო და არც ის ევროკავშირი. ჩემი პოზიცია ასეთია და, ვფიქრობ, მოსახლეობის უმრავლესობისაც. იცით, იმის გამო, რომ ჩვენმა 50 პოლიტიკოსმა კვირაში ერთხელ ბრიუსელში, პარიზსა თუ სტრასბურგში იკეკლუცოს იმით, რომ ისინი ევროპელებზე უფრო ევროპელები არიან, ამისთვის ერის გენოფონდის საფრთხის წინაშე დაყენება არ შეიძლება.**

17 მაისის აღლუმის აკრძალვით გაკეთდა ამ არასამთავრობოების საქმე: აი, საქართველოში ასეთი მძიმე მდგომარეობაა, ქართველები ველურები ვართ, შუა საუკუნეებში ჩავრჩით, ამ დროს კი, მსოფლიო გეების ქვეყანაა, გეების გზით მიდის და ჩვენ, რომ არ ჩამოვრჩეთ, ამისთვის საჭიროა გეების უფლებების დაცვა. უფლებების დაცვას კი ფული უნდა, ფული გრანტებია და წამოვა კიდეც გრანტები. აი, მთელი საიდუმლოება სწორედ ამაშია.

შექმნილ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ: **ეს ანტირუსული პოლიტიკა ისევე საშიშია, როგორც ანტიევროპული პოლიტიკა. იარაღის ჟღარუნის არც თავი გვაქვს, არც შესაძლებლობა და არც იარაღი, ამიტომ ჩვენთვის მთავარია სწორი დიპლომატიური კურსი, მაგრამ სწორედ ეს დიპლომატიური კურსი ჭირს ჩვენთან, რადგან დიპლომატია, როგორც პროფესია, არ არსებობს. ამას ჩვენი ელჩების მაგალითზეც ვხედავთ.** ვის ნიშნავდა ელჩებად შევარდნაძე, სააკაშვილი და ვის ნიშნავს „ქართული ოცნება“? აი, ეს არის ყველაზე ნათელი ილუსტრაცია იმისა, რომ ჩვენში დიპლომატია, როგორც პროფესია, არ არსებობს და აქ უკვე ჯაჭვური რეაქციაა — სუსტი დიპლომატიური კადრები, გარანტია არასწორი დიპლომატიური პრაქტიკისა და თეორიის. რასაკვირველია, ჩვენ ვერ მივცემთ თავს იმ ფუფუნების უფლებას, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ჩვენი მეზობლების სასიცოცხლო ინტერესებს, რომელთაც ისინი არასდროს დათმობენ, ამიტომ ჩვენ, პირველ რიგში, უნდა შევისწავლოთ, რა არის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები და რა არის დიპლომატიური კაპრიზები.

მოამზადა
**ქეთი ხომერიკმა**

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სხვისი აზრის მოსმენა არ შეეძლო. თათბირებსა და მთავრობის სხდომებზე მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა და დასმულ შეკითხვებსაც თვითონვე უპასუხებდა. მისი შეხვედრები სატელევიზიო შოუებს უფრო ჰგავდა, ძნელი საყურებელი იყო თავდახრილი, ყურებჩამოყრილი მინისტრები და დეპუტატები. საზოგადოება მალევე მიხვდა, რომ პრეზიდენტი არამარტო უცოდინარი, გაუწონასწორებელი, ზარმაცი და უტიფარია, არამედ ამპარტავანი და საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულიც.

# ფარდობითურობის თეორია, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა



**ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც წარმატებულ მეცნიერს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და მწერალს. წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. აი, ასეთი ადამიანი ყოფილმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა მოათავსა. პუბლიკაციების ეს ციკლი ამ უკუღმართობაზეა.**



**წითელი ხალიჩებით საზეიმოდ მორთულ პარლამენტის კიბეზე ამაყად ჩამოდის მოდურად ჩაცმული, ახალგაზრდა, წარმოსადეგი მამაკაცი. იგი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც რამდენიმე წუთში მსოფლიოს გასაგონად დადებს ფიცს, რომ უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დაიცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს, მათი ქონების ხელშეუხებლობას, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და ა. შ.**

მის გამოჩენას მხურვალე ტაშით ხვდებიან როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე პარლამენტისწინა მოედანზე მოწვეული საზოგადოება, რომელთა შორის ბევრია ცნობადი სახე, მათ შორის ვართ უმაღლესი სასწავლებლის რექტორებიც.

წითელ მუნდირებში გამოწყობილმა ორკესტრმა საქართველოს ჰიმნი და საზეიმო მარშები შეასრულა... აქვეა სმენაზე გაჭიმული, შევარდნაძის დროინდელი თავდაცვის მინისტრი, რომელმაც ახლადგამომცხვარ მთავარსარდალს ერთგულების პატაკი უნდა ჩააბაროს.

**გამახსენდა 1996 წლის ნიუ იორკი: „როდესაც დრო მოვა, ჩვენი კანდიდატიც გამოჩნდებაო“, გახსოვს, ალბათ, მკითხველო, ეს მისი ბიძის სიტყვებია... და გამოჩნდა კიდეც. მათ მათემატიკური სიზუსტით გათვალეს ყველაფერი: ხუთი წლით ადრე შევარდნაძის დოყლაპია პარლამენტს (მაპატიონ ზოგიერთებმა) მიაღებინეს კანონი საპრეზიდენტო ასაკის 35 წლამდე დაწევის შესახებ და სააკაშვილმაც, ზუსტად 35 წლის ასაკში მოირგო პრეზიდენტის სავარძელი. ხალხი მესიასავით შეჰყურებდა თინეიჯერის ასაკიდან ახლახან გამოსულ ჟეელს, რომელმაც საქართველოს ბედი ჩაიბარა. ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყნისა და ერის გაცუცურაკების ანალოგიური მაგალითი. ქართველები ხომ ბუნებით მიმნდობი და გულუბრყვილოები ვართ...**

— ეს ახალგაზრდა კაცი, ახლა რომ პრეზიდენტად ავირჩიეთ, 40 წლის რომ გახდება, ისევ პრეზიდენტი იქნება? — გულუბრყვილოდ იკითხეს ჩემ გვერდით.

— იქნება, უფლება აქვს, მეორედ იყაროს კენჭი, — იყო პასუხი.

— 45 წლის რომ გახდება და ორივე ვადა გაუვა, მაშინ?

— მაშინაც პრეზიდენტი?!

— კი მაგრამ, ამას რომ კონსტიტუცია კრძალავს?

— მერე რა... კანონს ვერ შეცვლის თუ რა?

— კონსტიტუციას გადაახტება?

— კონსტიტუციასაც გადაახტება და კანონსაც ფეხებზე დაიკიდებს!!!

— მერე ქართველები დაუშვებენ ამას?

— დაუშვებენ, დაუშვებენ... მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც კანონს ამ კაცს მოარგებენ, — იყო გაღიზიანებული პასუხი.

**მართლაც, ჩოხა-ახალუხივით მოარგო ვინმე დემეტრაშვილმა და მისმა კომისიამ კანონები და კონსტიტუცია პრეზიდენტის მოთხოვნებს... ცოტა რომ დასცლოდა, საკუთარ თავს მეფედაც გამოაცხადებდა და სააკაშვილის დინასტიას დაუდებდა სათავეს. აკი გააჟღერა კიდეც, ბებიის მხრიდან ბაგრატიონების შთამომავალი ვარო... რატომღაც სულ დედის წინაპრებს ახსენებს, მამის მხრიდან არც ბებიაზე და არც პროფესორ ბაბუაზე არაფერს ამბობს, იცის, რომ ქართული გენიდან ცოტა შორს იყვნენ და იმიტომ.**

**არ დასცალდა. ცხვარივით მომთმენი ქართველები გაცხარდნენ და ქარიშხალივით გადაუარეს პრეზიდენტსაც და მის მოძალადე, ჯალათების გუნდის წევრებსაც, რომლებიც სეთურივით დილიდან საღამომდე თავს გვამადლიდნენ და ტელევიზიით ტვინს გვიბურღავდნენ.**

მივუბრუნდეთ ინაუგურაციის დღეს. ცხადია, ბევრმა მაშინაც ვიცოდით, რომ ხელისუფლებაში მოდიოდა მსოფლიო დონის ავანტიურისტი და თაღლითი, ამაზე ინაუგურაციის დღესაც ვსაუბრობდით „ჩვენთვის“. საღამოს სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ერთად ორი საათის დაგვიანებით ოპერაშიც კი გამოჩნდა... და იქ ნაყურყუტებ ხალხს ძლივს მიესალმა, თუმცა ჩვენ — დამხვდურებმა, ხელებიც კი გადავიტყავეთ ტაშით. პრეზიდენტმა სტუმარს თავისი ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ბაბუა — გივი ალასანია გააცნო, თუმცა პარტერის იმავე რიგის თავში განცალკევებულად იჯდა მამამისი ნიკოლოზი, ხოლო რიგის ბოლოში, ბაბუის გვერდით, მისი დედა და ბებია.

**უნივერსიტეტების რექტორები და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები პრეზიდენტის რიგიდან 4-5 რიგის მოშორებით დაგვსვეს, როგორც შევარდნაძის დროს იყო მიღებული. სააკაშვილი ისე ჩაესვენა სტუმრის გვერდით სავარძელში, რომ ჩვენსკენ არც კი გამოუხედავს. მხცოვან მეცნიერებს ცუდად გვეწიშნა თვალის არიდება, ძალიან ცუდად...**

— ხედავ, არც კი გამოიხედა ჩვენსკენ! — მითხრა კოლეგამ.

— შენ სხვა რამეს ელოდი?

იმ დღიდან გამსახურდიას მსგავსად დაიწყო ადამიანების „მისიანებად“ და „არამისიანებად“ დაყოფა. მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, რექტორები „არამისიანებში“ მოვხვდით, და... ცოტა მოგვიანებით „ჩარეცხილებადაც“ გამოგვაცხადებენ. **სწორედ მისი პრეზიდენტობის პირველი დღიდანვე დაედო სათავე ქართველების უბადრუკ და უნიათო მასად ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც, მიუხედავად ხელკეტებისა, ბორკილებისა, მოკვდინებისა და ა. შ., საბედნიეროდ, ბოლომდე ვერ მიიყვანეს... ღმერთმა დაგვიფარა და იმიტომ.**

მსოფლიოს ისტორიამ ბევრი ტირანის სახელი შემოგვინახა. მათ შორის იყვნენ „გამორჩეულებიც“. სამწუხაროდ, სააკაშვილმა თავისი 9-წლიანი მოღვაწეობით შეძლო „გამორჩეულებს“ შორის „საპატიო“ პირველი ადგილის დამკვიდრება. ეს მისი არჩევანი იყო, რომელსაც მან დიდებულად გაართვა თავი.

## მესამე პრეზიდენტი (ფსიქოლოგიური პორტრეტი)

**გვიანი ღამე იყო, როდესაც „რევოლუციური სამეული“ კანცელარიის მე-11 სართულზე ავიდა. დერეფანში კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე დახვდათ. სააკაშვილმა სწრაფად გაიარა მისაღები ოთახები და პრეზიდენტის კაბინეტის წინ შედგა, ესიამოვნა მოოქრულ ლითონზე გაკეთებული წარწერა: „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“, გაეღიმა და მამრაძის მიერ მოწიწებით გაღებულ კარში პირველი „შევარდა“.**

„სამეულმა“ ოთახი შეათვალიერა, მოიხიბლნენ ახალი რემონტით და წითელი ხისგან დამზადებული ავეჯით. ერთ-ერთ კედელზე შვეიცარიიდან ჩამოტანილი ძვირფასი საათი ეკიდა, მუქ ყავისფერ ტყავგადაკრული რბილი ავეჯი, წესისა და რიგის მიხედვით, გემოვნებით იყო დალაგებული. ოდნავ ოვალურ სამუშაო მაგიდასთან დიდზურგა სავარძელი იდგა, მოპირდაპირე მხარეს კი — ორი ასეთივე, შედარებით პატარა სავარძლები სტუმრებისთვის.

„რევოლუციური სამეული“ სავარძლებში მოთავსდა.

— დამღლელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო დღე იყო, — ღიმილით თქვა ჟვანიამ და კაბინეტი კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

სააკაშვილს არაფერი უთქვამს, ისიც ახალი კაბინეტის დათვალიერებით იყო დაკავებული.

— კარგი და გემოვნებიანი რემონტია, — ისევ წამოიწყო ჟვანიამ, — ეს, ალბათ, ქალბატონი ნინოს დამსახურებაა.

ბურჯანაძეს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა.

— თქვენ ახლა განმარტოება გჭირდებათ, თუ ნებას მოგვცემთ, დაგტოვებთ, — თქვა ჟვანიამ და ფეხზე წამოდგა, სააკაშვილმა თანხმობის ნიშნად ხელი ასწია.

**ცუდად ენიშნათ კაბინეტიდან გამოსულებს სააკაშვილის საქციელი, რომელმაც ისინი საუბრის ღირსადაც არ ჩათვალა.**

**პრეზიდენტი სავარძელში მიესვენა და „ფიქრს მიეცა“. კარგად იცნობდა ორთავეს და იცოდა, რომ ისინი საკუთარი თამაშის წამოწყებას შეეცდებოდნენ. არ უნდა მისცეს მათ ამისი უფლება. ძირშივე უნდა აღკვეთოს ამაზე ფიქრიც კი... ახლა მას ისინი უკვე აღარ სჭირდება, სხვები უნდა დაიყენოს გვერდით, რომლებიც მასში, პარტნიორს კი არა, პატრონს დაინახავენ. მადლობა ღმერთს, ასეთები ბლომად არიან. სწრაფად ამოტივტივდა მის გონიერებაში მერაბიშვილის, ადეიშვილის, ლომაიას და სხვების უსახური სახეები. წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, გაჩახჩახებულ თბილისს გადახედა.**

სულ რამდენიმე საათს მოითვლის მისი პრეზიდენტობა და უკვე იგრძნო ტვირთის სიმძიმე. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ბევრ ჩახლართულ სიტუაციას დააღწია თავი, კარგად ისწავლა პოლიტიკურ ლაბირინთებში სიარულიც, სასურველ შედეგს ყოველთვის უმოკლესი გზით აღწევდა. ენდობოდა მხოლოდ თავის ინტუიციას და თანამოაზრეთა ერთგულების შეფასების თავისი მეთოდი ჰქონდა — ეს იყო უსიტყვო მორჩილება. კარგად იცოდა, რომ პირველკაცობა დიდი საფრთხის შემცველია, რამდენიმე წუთის წინ, კაბინეტიდან ღიმილით გასულ ორ ადამიანს რომ ერთი სული ჰქონდათ, ამ კაბინეტის დაპატრონების, ესეც კარგად იცოდა.

ბავშვობიდანვე ფრთხილი იყო, თავს არიდებდა ძალისმიერ თამაშებს, უპირატესობას სიტყვიერ პოლემიკას ანიჭებდა, სარკის წინ საკუთარ თავთანაც ხშირად კამათობდა ხოლმე. ამის შედეგია ის შემტევი ლოგიკა, რომელსაც პაექრობაში იყენებდა და რომელმაც ამ კაბინეტამდეც მიიყვანა.

კედლის საათს შეხედა, ისრები ორს უახლოვდებოდა, ახლა გაახსენდა, რომ ფაქტობრივად არაფერი უჭამია, თუ არ ჩავთვლით აშშ-ის სახელმწიფო მდივან პაუერთან ერთად აეროპორტში წახემსებას... სამუშაო მაგიდასთან მივიდა, მბზინავი მაგიდის მარჯვენა კუთხეში დადგმულ წითელ ტელეფონს „დაადგა თვალი“... იცოდა, რომ ამ აპარატით, პლანეტის ნებისმიერი სახელმწიფოს პირველ პირთან შეეძლო დაკავშირება... **სავარძელში ჩაჯდა და ფიქრს მიეცა. ახლა ვაშინგტონში შუადღეა, პრეზიდენტი ბუში, ალბათ, ოვალურ კაბინეტშია, რა იქნება, რომ დაურეკოს?! ტყუილად ხომ არ დევს წითელი ტელეფონი მაგიდაზე?! ხელი ტელეფონის ყურმილს დაადო და გაირინდა... გაახსენდა, რომ ძალიან პატარა ქვეყნის პრეზიდენტია... „თუმცა, რა დროს ყოყმანია“?! მან ყურმილი ენერგიულად აიღო...**

— თქვენ, თეთრი სახლის სატელეფონო ქსელში ხართ სერ, რით შემიძლია გემსახუროთ? — გაისმა ყურმილში ქალის სასიამოვნო ხმა.

— საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ვარ, გთხოვთ შემაერთოთ შეერთებული შტატების პრეზიდენტთან.

— ყურმილი არ დაკიდოთ, სერ, — გაისმა დედამიწის მეორე სფეროდან. აღელდა, იგი ხომ მსოფლიოს „ნომერ პირველი“ ქვეყნის პარეზიდენტს ურეკავს. რომ არ უპასუხოს? იქნებ ჯობდა, მერე დაერეკა ან ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვაშინგტონში ჩასვლას დალოდებოდა?!.. ოფლმა დაასხა... დროზე გაისმა ყურმილში სასიამოვნო ხმა.

— ხაზზეა ამერიკის შეერთებული შტატების ▶

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკაში ჟვანიამ მოიყვანა, მიუხედავად ამისა, აითვალწუნა, მეტოქედ მიაჩნდა და იმიტომ. დღეს ჟვანია მისი მთავრობის პრემიერ-მინისტრია, რომელსაც ერთი ნაბიჯი აშორებს პირველკაცობას. აშინებდა ჟვანიას მებრძოლი ხასიათი, ფაქტობრივად, მან მიიყვანა შევარდნაძე პოლიტიკურ კრახამდე, თავად კი „ცხვირწინ აართვა პრეზიდენტობა“, დარწმუნებული იყო, რომ იგი ამას არ აპატიებდა.**



**პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი აბაშიძის მისაღებშიც შევიდა.**
**— მეგობრებო, აქ ავტომატებით შემოსვლა აკრძალულია, — მორიდებით უთხრა მათ აბაშიძის კანცელარიის უფროსმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია**

◀ პრეზიდენტი, გთხოვთ, ილაპარაკოთ, სერ...

— თქვენო აღმატებულებავ... — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ იქიდან დაასწრეს...

— ჰელო, მაიკლ, როგორ ხარ, პაუელი მესაუბრა თვითმფრინავიდან, კმაყოფილია. კარგია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, — გაისმა ყურმილში ჯორჯ ბუშის მხიარული ხმა.

— მადლობისთვის გირეკავთ, თქვენმა მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, ამას ქართველი ხალხი არ დაივიწყებს.

— გადაჭარბებულად აფასებ ჩვენ როლს. საქართველო საინტერესო ქვეყანაა, იმედია, ჩვენი სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდება, მე დიდ პატივს ვცემ თქვენს ისტორიას, კულტურას, ხალხს...

— გმადლობთ კეთილი სიტყვებისთვის, შევეცდები, ვიყო თქვენი ღირსეული უმცროსი პარტნიორი... თუ თქვენი სამუშაო გრაფიკი იძლევა საშუალებას, მინდა ვაშინგტონში გეწვიოთ და დაგიდასტუროთ ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა.

— ნუ იჩქარებ, მაიკლ, ჩვენ შეხვედრას ნებისმიერ დროს შევძლებთ. ვფიქრობ, ჯობს, ჯერ სამეზობლოში ჩახვიდე, საინტერესოდ მეჩვენება შენი ვიზიტი რუსეთში. — გამოცდილი კაცი იყო ამერიკელი, იცოდა პატარა ქვეყნის ლიდერების ამბიციურობა. **სააკაშვილს რომ დადგენილი ჩარჩოებიდან ამოხტომა შეუძლია, ესეც იცოდა, ასეთი კაცის „სასურველ“ მანძილზე დაყენება რომ აუცილებელია, ესეც... კიდევ ბევრი რამე იცოდა ამერიკის პრეზიდენტმა.**

— წარმატებას გისურვებ, მაიკლ, მიგულეთ თქვენ გვერდით, გთხოვთ, ჩემი მოკითხვა გადასცეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, — დამოძღვრა სააკაშვილი ბუშმა და ტელეფონი გათიშა. არ ესიამოვნა შევარდნაძის ხსენება, დღეს იგი მისთვის მხოლოდ უბრალო პენსიონერია, რომელიც პრეზიდენტის სიმაღლიდან არც კი ჩანს. მიუხედავად ამისა, დაცვის უფროსი მაინც გააგზავნა მასთან და ბუშის მოკითხვა გადასცა.

**პოლიტიკაში ჟვანიამ მოიყვანა, მიუხედავად ამისა, აითვალწუნა, მეტოქედ მიაჩნდა და იმიტომ. დღეს ჟვანია მისი მთავრობის პრემიერ-მინისტრია, რომელსაც ერთი ნაბიჯი აშორებს პირველკაცობას. აშინებდა ჟვანიას მებრძოლი ხასიათი, ფაქტობრივად, მან მიიყვანა შევარდნაძე პოლიტიკურ კრახამდე, თავად კი „ცხვირწინ აართვა პრეზიდენტობა“, დარწმუნებული იყო, რომ იგი ამას არ აპატიებდა.**

**მორჩილი პარლამენტია საჭირო, ბურჯანაძეც უნდა ჩამოაშოროს ჟვანიას, ახალი პარლამენტის არჩევნებამდე კი შევარდნაძის დროინდელ დამფრთხალ პარლამენტს მიაღებინებს ისეთ კანონებს, რომლებიც მის ძალაუფლებას უკონტროლოს გახდის. იცოდა, როგორ მიეხედა საკუთარი თავისთვის და ამაზე ზრუნვა პირველი დღიდანვე დაიწყო.**

მობილურის ზარმა შეაწყვეტინა ფიქრი, მეუღლე ურეკავდა... მოვდივარო, — უთხრა და ფეხზე წამოდგა.

* * *

**სხვისი აზრის მოსმენა არ შეეძლო. თათბირებსა და მთავრობის სხდომებზე მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა და დასმულ შეკითხვებსაც თვითონვე უპასუხებდა. მისი შეხვედრები სატელევიზიო შოუებს უფრო ჰგავდა, ძნელი საყურებელი იყო თავდახრილი, ყურებჩამოყრილი მინისტრები და დეპუტატები. საზოგადოება მალევე მიხვდა, რომ პრეზიდენტი არამარტო უცოდინარი, გაუწონასწორებელი, ზარმაცი და უტიფარია, არამედ ამპარტავანი და საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულიც.**

ერთხანს ტელევიზორში მისი თოჯინაც გამოჩნდა, რომელიც შევარდნაძის თოჯინაზე უფრო სასაცილო იყო. **საზოგადოებამ დაინახა, რომ მათ მიერ ზარზეიმით არჩეული პრეზიდენტი სხვა არაფერია, თუ არა ნაცარქექიასა და ყვარყვარეს ყველაზე უარესი ნაზავი.**

ცოტა ხანს აბოგინა თოჯინა ეკრანზე, მერე კი... მისი ავტორები ხმაურით ჩასვა ციხეში, თოჯინა კი უკვალოდ გააქრო. საზოგადოება მიხვდა, რომ ის „შევარდნაძე არაა“ და გაიტრუნა.

ეშმაკიც იყო, იცოდა, ვისთვის რა დაევალებინა. ჯერ კიდევ საპრეზიდენტოდ ემზადებოდა, როდესაც ბურჯანაძესა და ჟვანიას ახალი საპარლამენტო სიების შედგენა „სთხოვა“. ფანდი იხმარა, ამით გაიგებდა, თუ ვინ რას აპირებდა მომავალში. შევარდნაძეც ასე აკეთებდა, სხვებს ავალებდა პარლამენტარების შერჩევას, სიებსაც ზერელედ გადახედავდა და, თუ რა დამართა ასეთმა გაუფრთხილებლობამ, მთელმა მსოფლიომ დაინახა. ცხადია, თვითონ ასე არ მოიქცევა.

**მოგვიანებით, როდესაც პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე კაბინეტში დაიბარა, რამდენიმე წუთით მისაღებში აყურყუტა, თუმცა მარტო იყო და ოთახში შესულებს ღიმილით შეეგება.**

**არც ბურჯანაძე და, მით უმეტეს, არც ჟვანია იყვნენ მიამიტები, მიხვდნენ მისაღებში ხუთწუთიანი ყურყუტის მიზანს, მაგრამ იცოდნენ, რომ ხელისუფლებაში ახლახან მოსულებს ჯერჯერობით ამბიციები უნდა მოეთოკათ.**

— ნინო, ალბათ, იცნობთ ამ ადამიანებს, — ჰკითხა ბურჯანაძეს, როდესაც ჟვანიამ სადეპუტატო კანდიდატების სია გადააწოდა.

— მხოლოდ მისაღებში გადავხედე, — მშრალად უპასუხა ბურჯანაძემ.

შეიჭმუხნა. მიხვდა, რომ ჟვანია ახალი რაუნდისთვის ემზადებოდა.

— ეს რაღაც ახალია. პარლამენტის თავმჯდომარე შენ უნდა იყო, სიები კი არ გაინტერესებს?! — ეს მარტო მსუბუქი საყვედური არ იყო, სააკაშვილი მასწავლებელივით ტუქსავდა ორთავეს.

— ბატონო მიხეილ, თქვენს გამოძახებას ასე ადრე არ ველოდი, ამიტომ ვერ მოვასწარი სიის სათანადოდ შესწავლა, — თავი იმართლა ბურჯანაძემ.

არაფერი უთქვამს, სიების კითხვა გააგრძელა, სახეზე აშკარად ეტყობოდა უკმაყოფილება, რამდენიმე გვარი გადახაზა კიდეც.

— სიაში უმრავლესობა ჩემთვის უცნობია. გარდა გვარსახელისა ადამიანებს აქვთ დაბადების წელი, პროფესია, ბიოგრაფია და ა. შ. ჩვენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთვის ვარჩევთ ხალხს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სიაში ის ხალხია ჩაწერილი, რომელიც გაგახსენდათ, — სააკაშვილმა ჟვანიას გახედა.

— მიშა, აქ ის ხალხია, რომელიც ქარსა და წვიმაში ჩვენ გვერდით იდგა, — ჟვანია შეეცადა საუბარი მეგობრულ კალაპოტში მოექცია, ისე, როგორც შევარდნაძის დროს აკეთებდა, არ გამოუვიდა.

**— რევოლუცია დამთავრდა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენ სახელმწიფოს აშენებაზე უნდა ვიფიქროთ და პარლამენტიც შესაფერისი უნდა გვქონდეს,** — ხაზგასმული ოფიციალურობით თქვა სააკაშვილმა და ფურცლები ცხვირწინ აუფრიალა.

**ჟვანია გაფითრდა, თვალის გუგები გაუფართოვდა, შევარდნაძეს მისთვის ასეთი რამ არასოდეს უკადრებია, მაშინაც კი, როცა დაპირისპირებული იყო, სააკაშვილმა კი, ფაქტობრივად, სახეში მიაყარა ფურცლები...**

— ასაღელვებელი არაფერია, შეგეძლო სხვანაირადაც გეთქვა, — კბილებში გამოცრა ჟვანიამ და ფურცლების აკრეფას შეუდგა. ახალმა პრემიერმა მაშინ პირველად ინანა შევარდნაძისგან განდგომა.

სამეულის მეორე შეხვედრა ორი დღის შემდეგ შედგა, სააკაშვილმა სიებს ზერელედ გადახედა, დავიტოვებო, თქვა და ფურცლები თავის საქაღალდეში ჩააწყო.

— დრო შეზღუდულია, მხოლოდ სამი დღე დაგვრჩა, ცესკოს ნუ დავაყენებთ დარტყმის ქვეშ, — ხმადაბლა თქვა ჟვანიამ.

— ჩვენ კანონს არ დავარღვევთ, საარჩევნო კომისია სიებს დროულად მიიღებს, — თქვა და „თანამებრძოლებს“ ჩინოვნიკური ღიმილით დაემშვიდობა.

— მას თავისი სიები აქვს, რომლებშიც აქა-იქ ჩაამატებს ჩვენ მიერ გადაცემულ გვარებს, — უთხრა კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარეს.

— შენ სხვაგვარად ფიქრობდი? — გაეპასუხა ბურჯანაძე.

დადგენილი ვადის გასვლამდე სამი საათით ადრე მიიტანეს ცესკოში სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი სიები. მიშა ბათუმში გაემგზავრა და იქიდან შეეხმიანა „კოლეგებს“.

**ორთავე მიხვდა, რომ სააკაშვილთან „წყვილში“ მუშაობა აღარ გამოუვიდოდათ. პრეზიდენტი მათ, როგორც შემსრულებლებს, ისე უყურებდა. ერთმანეთისთვის არ უთქვამთ, მაგრამ მონატრათ ბუნჩულა კაცი, ედუარდ შევარდნაძე რომ ერქვა... კიდევ ბევრჯერ მონატრებათ.**

* * *

**პრეზიდენტად არჩევის ერთი თვის შემდეგ სააკაშვილმა კანცელარიის სააქტო დარბაზის ფოიეში პირველი სამთავრობო სპექტაკლი დადგა.** მან, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, მთავრობის წევრები სატელევიზიო კამერების წინ გაამწკრივა, თვითონ სახელდახელო ტრიბუნასთან დადგა და განაცხადა:

— შეხედეთ და დაიმახსოვრეთ: თქვენ წინ საქართველოს მთავრობაა სრული შემადგენლობით. ისინი მდიდრები არ არიან და არც მდიდარი ნათესავები ჰყავთ. თუ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ისინი ან მათი ნათესავები ქონებას დააგროვებენ, ჩავთვლით, რომ ეს კორუფციის შედეგად მიღებული სიმდიდრეა და ასეთები ციხეში წავლენ.

კიდევ ბევრი რამ უთხრა მაშინ მთავრობის წევრებს, პატარა ბავშვებივით დატუქსა პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული ყველა, ისინი კი დუმდნენ. **ერთ-ერთი მორიგი სხდომის დროს, მთელი ქვეყნის დასანახად, მთავრობას ცხვირწინ უქნია თითი, არც მაშინ ამოუღია ვინმეს ხმა.**

კომიკური იყო მთავრობის ის სხდომაც, როდესაც სააკაშვილმა ღვინო შემოატანინა ბოთლებით და დამფრთხალ მინისტრებს ძალით დაალევინა, თვითონ კი მრისხანედ განაცხადა, რომ „არ დაუშვებს ფალსიფიცირებული ღვინით ქართველების მოწამვლას, რომ ამისთვის ყველანი დაისჯებიან“ და ა. შ. პრეზიდენტის სიტყვებზე უფრო ამაზრზენი კი ის იყო, რომ ამდენ მამაკაცში არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც მის ცინიზმზე პროტესტს ჩურჩულით მაინც გამოთქვამდა.

* * *

**პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე დღეში ბათუმში ეწვია აბაშიძეს. სწორედ მისი კაბინეტიდან დაურეკა მაშინ თავის კოლეგებს საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ღიმილიანი იყო ეს შეხვედრა. აბაშიძემაც შეიფერა და, როგორც შევარდნაძის დროს იყო მიჩვეული, სააკაშვილსაც ისე დაუწყო ლაპარაკი. ისიც კი უთხრა „იმედია, ჩვენი თანამშრომლობა წინანდელზე ნაყოფიერი იქნებაო“. მიშას არაფერი უპასუხია.** შემდეგ ჩამოსვლაზე ბათუმში ვარშალომიძე ჩამოიყვანა, მხოლოდ თვითმფრინავის აეროპორტში დაშვების შემდეგ გაიგო აბაშიძემ პრეზიდენტის სტუმრობა და ტრაპთან ძლივს მიუსწრო. სააკაშვილმა მასპინძელს ხელი ისე ჩამოართვა, რომ მისთვის არც შეუხედავს, დანარჩენებსაც თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა და აბაშიძის ახალთახალი „ჰამერის“ უკანა სალონში, ვარშალომიძესთან ერთად დაჯდა.

აბაშიძე დაიბნა და ისღა მოახერხა, რომ დაცვის თანამშრომელივით მძღოლის გვერდით მოკალათდა.

— რატომ არ შემატყობინეს, თუ აქეთ მობრძანდებოდით? — ზრდილობისთვის იკითხა ასლანმა.

— ხომ შეგატყობინეს, აბა, ისე როგორ დამხვდებოდი?! — მიუგო და ვარშალომიძესთან გააგრძელა საუბარი.

**აჭარის მეთაურის რეზიდენციაშიც ვარშალომიძესთან ერთად შევიდა, აბაშიძე კი უკან ადიუტანტივით მიჰყვებოდა... კაბინეტშიც ისე შევიდა, რომ მისაღებში მოწიწებით მდგარი თანამშრომლებისთვის არც კი შეუხედავს.**

**ამჯერად აჭარაში გაძლიერებული დაცვით ჩავიდა, რეზიდენციაში ისე განლაგდნენ, როგორც სამხედრო ოპერაციის დროს ხდება ხოლმე.** აბაშიძის დაცვაც გაძლიერებული შევიდა შენობაში და სხვადასხვა პოზიციაზე განლაგდა. პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი აბაშიძის მისაღებშიც შევიდა.

— მეგობრებო, აქ ავტომატებით შემოსვლა აკრძალულია, — მორიდებით უთხრა მათ აბაშიძის კანცელარიის უფროსმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

აბაშიძის კაბინეტში კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

**სააკაშვილი:** — ასლან, ვის ექვემდებარება აჭარაში დისლოცირებული ბრიგადა, რომელსაც გენერალი დუმბაძე ხელმძღვანელობს?

**აბაშიძე:** — ბრიგადა მცირერიცხოვანია და ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტს და მე...

**სააკაშვილი:** — თქვენ რატომ? მართალია, გენერალი ხართ, მაგრამ ქვეყნის მთავარსარდალი არა!..

**აბაშიძე:** — ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შევარდნაძის სპეციალური განკარგულება, აჭარა სასაზღვრო ზონაა და ამანაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

**სააკაშვილი:** — ეს ანტიკონსტიტუციურია და შევარდნაძემ კანონი დაარღვია.

**აბაშიძე:** — მე ასე არ ვფიქრობ!..

პრეზიდენტმა მისი რეპლიკა „გაატარა“.

**სააკაშვილი:** — რა ესაქმებათ მოსკოვის მერიის თანამშრომლებს რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე?

**აბაშიძე:** — ისინი მოქმედებენ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ეს საკითხიც შევარდნაძესთან იყო შეთანხმებული.

სააკაშვილი ვარშალომიძეს მიუბრუნდა:

— ამათმა სანაპიროს ყველაზე კარგი მიწები მოსკოვის მერს მისცეს, — შემდეგ აბაშიძისკენ მობრუნდა და ჯიქურ ჰკითხა, — გულახდილად მითხარით, რამდენი გადაიხადა ლუჟკოვმა?

— ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენ თვლით, რომ მე შემიძლია ასეთი რამის ჩადენა, მაშინ რატომ ვსხედვართ ერთად?!

— ჰო, კარგი, მე მხედველობაში ბიუჯეტში შეტანილი ფული მქონდა.

აბაშიძეს არაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე ისეთი უკმაყოფილება გამოეხატა, მხოლოდ მისთვის რომ იყო დამახასიათებელი.

შემდეგ ბობოყვათის რეზიდენციაში გადაინაცვლეს, მაგრამ საუბარი არც იქ გამოუვიდათ, ვიწრო წრეში ივახშმეს კიდეც.

— ასლან, შენც ჩვენთან დარჩი, ხვალ დილით ადრე მივფრინავ და სალაპარაკო მაქვს, — უთხრა სააკაშვილმა ნირწამხდარ ასლანს.

**ცხადია, მიხვდა ასლანი, რომ პრეზიდენტი მას არ ენდობოდა, მეტიც, მისი ეშინოდა, თუმცა რეზიდენციის შიდა და გარე პერიმეტრი სააკაშვილის დაცვას ჰქონდა დაკავებული. დარჩა იმ ღამეს ბობოყვათში პრეზიდენტი. დილით მართლაც ადრე ადგა, გაშლილი საუზმიდან მხოლოდ კაკაო დალია და ვარშალომიძესთან ერთად აბაშიძის „ჰამერით“ და დაცვით აეროპორტისკენ გაემართა. „ნუ გამაცილებო“, — უთხრა აბაშიძეს და მხარზე პატარა ბიჭივით ხელი მოუთათუნა.**

**აბაშიძეც და მისი გუნდიც მიხვდა, რომ მათი 13-წლიანი მმართველობა აჭარაში მთავრდებოდა.**

მოგვიანებით გაბრძოლებაც დააპირა, მდინარე ჩოლოქზე ხიდიც ააფეთქა, დუმბაძის ბრიგადა საომარ მდგომარეობაში მოიყვანა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და მოსკოვიდან გამოგზავნილი თვითმფრინავით აჭარა დატოვა...

მეორე დღესვე ჩავიდა თანმხლებ პირებთან ერთად აჭარაში. დიდი ზარზეიმიც მოაწყო, მსოფლიოს ამცნო **„აჭარის გათავისუფლება და საქართველოსთან შეერთება“**. ვაი, სირცხვილო... **„აჭარას გასათავისუფლებელი რა სჭირდაო“,** — იტყვის მერე ხალხი, მაგრამ მაშინ მოზეიმე მიშას სულ ტაშის გრიალით დაჰყვებოდნენ აჭარლებიც და სხვებიც.

**საქართველო ხომ სანახაობების ქვეყანაა... სანახაობების დადგმა კი სააკაშვილმა მართლაც კარგად იცოდა...**

**გაგრძელება იქნება**

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავრობა მიიჩნევს, რომ ეკონომიკის ინერციულობის გამო, მიმდინარე წელს, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, არსებითი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, არსებით ცვლილებას ეკონომიკური ზრდის პარამეტრებში უნდა ველოდოთ 2015 წლიდან. სამწუხაროდ, ეს დეკლარაცია არ საბუთდება კონკრეტული გათვლებით ან ქვეყანაში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებებით.**

## რესპუბლიკელები უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლების შეზღუდვას ეწინააღმდეგებიან

**უცხოელებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებაზე უფლების შეზღუდვის ინიციატივას რესპუბლიკელები არ იზიარებენ.**

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, საფინანსო-საბიუჯეტო და აგრარულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც დეპუტატებმა „ქრისტიან-დემოკრატების" საკანონმდებლო წინადადება განიხილეს, ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების" ხელმძღვანელმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ საკითხს სკეპტიკურად უყურებს და ვარაუდობს, რომ ამ ინიციატივის მომხრე არც ფრაქცია იქნება.

**„სკეპტიკურად ვუყურებ და ვვარაუდობ, რომ ჩვენი ფრაქცია არ იქნება მომხრე, იმპერატიულად წავიდეთ იმ მიმართულებით, რომ პრინციპში შეუძლებელი იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქისთვის, დასავლეთისთვის თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისთვის პრინციპულად ავკრძალოთ საკუთრების უფლება. ვეჭვობ, რომ ჩვენ ამას მხარი დავუჭიროთ. ამასთან, გვაქვს კონსტიტუციური პრობლემა. სერიოზული კონსტიტუციური ცვლილებისთვის შეიქმნება საკონსტიტუციო კომისია და ეს თემები იქ განიხილება. ამიტომ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, ბუნებრივია, ვერ მივიღებთ. ევროკავშირში შესვლამდე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს საქართველოში მიწაზე საკუთრება რომ ავუკრძალოთ, ეს ევროკავშირისკენ სვლა არ არის, რადგან ეს არის ძალიან გრძელი გზა და როდის შევალთ, ვინ იცის. არ ვფიქრობ, რომ პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ მიწის მესაკუთრეები სხვა ქვეყნების მოქალაქეები არიან. მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ არის რეგულირებული და გვაკლია საკანონმდებლო უზრუნველყოფა იმისთვის, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ინტერესი დავიცვათ",** — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

„ქრისტიან-დემოკრატებმა" პარლამენტს შესთავაზეს საკანონმდებლო წინადადება, რომლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით მორატორიუმი საქართველოს ევროკავშირში შესვლამდე უნდა გამოცხადდეს.

# მთავრობას სიტყვაზე ვენდობით, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის დოკუმენტი აუცილებელია

**ჩვენი საზოგადოება გადაეჩვია ეკონომიკაზე საერთოდ და კერძოდ, ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბარს. 2004 წლიდან გაჩენილი უკიდურესი ეკონომიკური ლიბერალიზმის ფანტომი თანდათან გადაიზარდა დისციპლინარული საზოგადოების ბიუროკრატულ-ადმინისტრაციულ რეჟიმში, რომელიც საჭიროებისამებრ ინსტიტუციური ეკონომიკის რეკომენდაციებს უნაცვლებდა ლიბერტარიანულ მიდგომებს და ყოველივე ეს დასრულებულ ფორმას იღებდა ღია საზოგადოების თეორეტიკოსთა მიერ პასტულირებულ ცნებებში.**



შესაბამისად, საქმე გვქონდა ეკონომიკაში მიმდინარე იმპულსურ ცვლილებებთან, რომელთაც ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ დავარქმევთ, რადგან არ გამომდინარეობდა ქვეყანაში მიმდინარე ურთულესი ეკონომიკური კანონზომიერებებიდან. სიტუაცია არსებითად შეიცვალა 2012 წელს, როდესაც ახალმა პოლიტიკურმა ძალამ — „ქართულმა ოცნებამ" — საზოგადოებას შესთავაზა ქვეყნის განვითარების საკუთარი ხედვა, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში მისი გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ საქართველოში კვლავ აღდგება ეკონომიკის მიზანდასახულობათა წინასწარი განსაზღვრის ტრადიცია.

2013 წლის იანვარში ახალმა პოლიტიკურმა ძალამ საზოგადოებას შესთავაზა ეკონომიკის განვითარების მთავარი საპროგნოზო მაჩვენებლები, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 6 პროცენტით და ინფლაცია არა უმაღლეს 7 პროცენტისა. ამასთან, შეიცვალა საბიუჯეტო რესურსის ხარჯვის ვექტორიც. იგი გახდა მკაფიოდ ორიერტირებული შიდა ბაზრის მოთხოვნებზე და მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემებზე. შეიცვალა საინვესტიციო გარემოც, დამყარდა კავშირი მსხვილ საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციებთან, რაც განაპირობებს ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირებას საერთაშორისო საბაზრო ცენტრებთან, ნაცვლად გლობალიზებული ეკონომიკის პერიფერიულ ნაწილთან ინტეგრირებისა. გარდა ამისა, **მთავრობა მიიჩნევს, რომ ეკონომიკის ინერციულობის გამო, მიმდინარე წელს, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, არსებითი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, არსებით ცვლილებას ეკონომიკური ზრდის პარამეტრებში უნდა ველოდოთ 2015 წლიდან. სამწუხაროდ, ეს დეკლარაცია არ საბუთდება კონკრეტული გათვლებით ან ქვეყანაში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებებით.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტი რა დაგვრჩენია, რომ დავმშვიდდეთ: ქვეყნის ეკონომიკა საიმედო ხელშია და საქართველოში ოპტიმისტური მოლოდინის განწყობა სუფევს. მაგრამ ამავე დროს ჩნდება პროცესებში თანამონაწილეობის აუცილებლობაც. რაც განაპირობებს ზოგიერთ პრინციპული მნიშვნელობის საკითხში განსხვავებულ ხედვებს და გამომდინარეობს იმ ალტერნატივებიდან, რომლებიც იქმნება არსებული ეკონომიკური ფაქტორების შეერთების თავისებურებიდან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ **ამჟამად საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი გუნდი ერთგვარი ინკლუზიური ერთობაა, რომელშიც სხვადასხვა ხედვისა და სხვადასხვა მიზნობრივი პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ადამიანები მოღვაწეობენ. მათ შორის არასაკმარისი კორდინირებაა და პრაქტიკულად შეუძლებელია რიგ საკითხებში შეთანხმებული საქმიანობა. ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი ინსტიტუტები, რეგიონული და მუნიციპალური ადმინისტრაციები მთლიანად რჩება პრეზიდენტის ვერტიკალში და გრძელდება ეკონომიკაში იმპულსური ჩარევის მავნე ტრადიცია.** შესაბამისად, ახალ პოლიტიკურ ძალას ურთულესი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ბარიერების გადალახვა უხდება, რაც არსებითად ამცირებს მისი წამოწყებების ეფექტიანობას. საზოგადოება გრძნობს ამ მოვლენის დროებით ხასიათს და გაგებით ეკიდება მრავალ პრობლემას, რომლებიც მის წინაშე დგას. ამავე დროს გაისმის პოზიტიური კრიტიკაც, რომელიც გამომდინარეობს საერთო ინტერესებიდან და გამსჭვალულია არსებულ გარდაქმნებში თანამონაწილეობის აუცილებლობის გრძნობით.

ქვეყანაში მიმდინარე გადასვლა დისიპლინარული საზაოგადოებისთვის დამახასიათებელი ინსტიტუციური მიზანდასახულობებიდან რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ეს გადასვლა უკავშირდება საბაზრო პროცესების ტრანსფორმაციებს და ამიტომ მტკივნეული პროცესია. იგი ვლინდება არაჯანსაღი, დროებითი, მაგრამ მწვავე პროცესების სახით. მაგალითად, ყველა ხედავს:

**როგორი ინტენსივობით იცვლება მედიასივრცე, განსაკუთრებით, სარეკლამო ბაზარი და, მისგან გამომდინარე, პრესისა და ტელე-რადიო მაუწყებლობის შესაძლებლობები;**

**არსებითი ხასიათისაა ის, რაც წიგნის ბაზარზე სასწავლო სახელმძღვანელოების საგამომცემლო საქმეში განხორციელდა;**

**ანალოგიურმა პრობლემებმა იჩინა თავი ფეხბურთში.**

მოსალოდნელია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც გამოვლინდეს მსგავსი მოვლენები. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ **მიმდინარე ტრანსფორმაციები არასრულფასოვან მიზანდასახულობებს ემყარება.** მართალია, სწორი საქმე ცუდადაც რომ ვაკეთოთ, კარგ შედეგებამდე მივალთ, მაგრამ ჯობს, კარგად ვაკეთოთ და მაშინ შედეგიც უკეთესი იქნება.

კონკურენტული ბაზრის დაბრუნებისთვის ძალისხმევამ გააშიშვლა ის პრობლემები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რკინიგზაში, პორტებში, ჭიათურა-ზესტაფონის ინდუსტრიულ საწარმო ერთეულში და ა. შ. ჩვენს ეკონომიკაში უამრავი ახალი ამოცანა შიდა ბაზარზე კონკურენტული გარემოს აღდგენის საჭიროებამ გააჩინა. ზოგიერთი ადრეც არსებოდა ლატენტური ფორმით, რადგან მათი გამოვლენა დაკავშირებული იყო დისციპლინარული საზოგადოების რეპრესიული მექანიზმის ფუნქციონირებასთან. **საქართველოში დღეს აუცილებელი ხდება მკაფიო და გასაგები ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება. საქმეს ვერ უშველის ავტორიტეტულ პოლიტიკოსთა მოწოდებები, რომ მათ კარგად ესმით შექმნილი მდგომარეობა და ხალხისგან მხოლოდ ნდობის გამოცხადებას მოითხოვენ. საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის დოკუმენტი და ამ საჭიროებას ჩვენი საზოგადოება გრძნობს.**

როგორი უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა? ვეთანხმები ქალბატონ ნანა დევდარიანს, როდესაც იგი პატარა ქვეყნების პოლიტიკას ახასიათებს, როგორც საკუთარი დამოუკიდებელი ინტერესების შენარჩუნების მიზნით მიმართულ მოქნილ, მკვიდრ და დინამიურ ძალისხმევებს მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში, რომელიც ხშირად აშკარა მტრული დამოკიდებულებებით ვლინდება, და მას „ლერწმის პოლიტიკას" უწოდებს. როგორია ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ადაპტაციისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით? მოკლე ექსკურსი გვიჩვენებს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ გვქონდა:

**გლობალურ ტენდენციათა სრული უგულებელყოფის, „ცდისა და შეცდომების" და „განურჩეველი თანმიყოლის" პოლიტიკა.**

თითოეული მათგანის დახასიათების არც საშუალება და არც დრო არ გვაქვს, ამიტომ მოკლედ შევნიშნავ, რომ არც ერთ მათგანს არ მოუტანია რაიმე არსებითი შედეგი და მხოლოდ ართულებდა ჩვენს საერთო საზოგადოებრივ პირობებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ცდისა და შეცდომის" პერიოდში, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით მსოფლიო გლობალურ გარემოში თანამშრომლობას და, ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომრეობიდან გამომდინარე, ვწყვეტდით სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემებს, მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მივიღეთ.

**2013 წლიდან იწყება ახალი ეტაპი ჩენი ეკონომიკის განვითარებაში. იგი არის ეკონომიკური განვითარების პარადიგმის ცვლილების წელიწადი და მთელი საზოგადოება მას იმედით შეჰყურებს. „ყველას არ შეუძლია იყოს ისტორიის შემოქმედი, მაგრამ ისტორიაში მონაწილეობა მივიღოთ, ყველანი ვალდებულნი ვართ", — ალბერ კამიუს ეს სიტყვები აქტუალურია საქართველოში და თავის აქტუალობას, ალბათ, არც მომავალში დაკარგავს.**

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

## მაისში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 114,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

**საქართველოში 2013 წლის მაისში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 114,7 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 188,4 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აღნიშნული ციფრი 1,9 მილიონი აშშ დოლარით (3,2 მილიონი ლარით), ანუ 1,7 პროცენტით ნაკლებია 2012 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93,6 პროცენტი იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, რომლებიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. პირველ ხუთეულში არიან – რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ და თურქეთი. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 94,6 პროცენტი მოდიოდა.

2013 წლის მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ გასული წლის 9 მილიონი აშშ დოლარის (14,6 მილიონი ლარი) ნაცვლად, 12,2 მილიონი აშშ დოლარი (20 მილიონი ლარი) გადაიგზავნა.



„საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1 ოქტომბრის არჩევნებში ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, რომლის წევრიც ქალბატონი ფანჯიკიძეც ბრძანდება. ფაქტობრივად, ამჟამინდელმა მინისტრმა შეურაცხყოფა მიაყენა თავის ამომრჩევლებს, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია!“

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რევაზ ნაცარიშვილი:

# მოვითხოვთ, რომ ქალბატონმა ფანჯიკიძემ ბოდიში მოუხადოს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს!

**ამა წლის 28-30 მაისს მოსკოვში ჩატარდა ყოფილ საბჭოთა სივრცეში შემავალი სახელმწიფოების ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. ამ სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოები. სხდომაზე მიწვეული იყვნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც, კერძოდ, ამ საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი რევაზ ნაცარიშვილი, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.**



**— ბატონო რევაზ, რა საკითხები განიხილა ვეტერანთა ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭომ?**

— საკითხებსა და პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ მე მოგახსენებთ ძირითადზე, რაზეც ვიმსჯელეთ. ეს საკითხებია: ვეტერანთა ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესება დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით; თადარიგში დათხოვნილი სამხედროებისა და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა ორგანიზაციების გაერთიანების ძირითადი მიმართულებები.

ამ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ბელარუსისა და ქალაქ მოსკოვის ვეტერანთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

**— სხდომებს აუცილებლად მოჰყვება გადაწყვეტილებები. რაზე შეთანხმდით?**

— აქ ყველაფერი რეკომენდაციების დონეზე იყო მიღებული. რეკომენდაციები მიეცათ სხდომაში მონაწილე ქვეყნების ვეტერანთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, წარუდგინონ თავიანთი ქვეყნების ხელისუფლებებს კონკრეტული წინადადებები დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეებისა და ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლების სოციალური პირობების, საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების, შრომითი მოწყობისა და ბიზნესში ჩაბმის საკითხებზე და, ასევე, ვეტერანების კანდიდატურების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში წარსადგენად.

გარდა ამისა, საბჭოს სხდომაზე შეჯამდა ყოფილ საბჭოთა სივრცეში არსებულ სახელმწიფოებში გამარჯვების დღის — 9 მაისის ზეიმის შედეგები. აღინიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით, ყველა ქვეყანაში ღონისძიებები ჩატარდა უფრო შთამბეჭდავად და ორგანიზებულად. **ომის მონაწილეებს და დაღუპული მეომრების ოჯახებს გაეწიათ მნიშვნელოვანი დახმარება. სამაგალითო ქვეყნებად დასახელდნენ აზერბაიჯანი და სომხეთი, სადაც ომის მონაწილეებს დამატებითი დახმარების სახით თითოეულს მიეცა 1000 დოლარი, ხოლო დაღუპულების მეუღლეებს — 500 დოლარი. კარგი იქნება, თუ მომავალში ჩვენი ახალი ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს გადადგამს.**

**— 2015 წელს აღინიშნება ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი. რა თქმა უნდა, ამ საიუბილეო თარიღზეც იქნებოდა საუბარი, ხომ ასეა?**

— 2015 წელი გამოცხადდა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა წლად. უპირველეს ყოვლისა, ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებებში გათვალისწინებულია ხანდაზმული, ავადმყოფი, მარტოხელა ყოფილი მეომრების მოვლა-პატრონობის საკითხები. ყველა ცოცხლად დარჩენილი დიდი სამამულო ომის ვეტერანი უნდა მოათავსონ პანსიონატებში ან დაენიშნოთ მომვლელები.

## მაია ფანჯიკიძემ შეურაცხყოფა მიაყენა 300 ათასზე მეტი დაღუპული ქართველი მეომრის ხსოვნას და ცოცხლადდარჩენილ ვეტერანებს!

**საზეიმო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს ურთიერთობები და თანამშრომლობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ფაშიზმზე გამარჯვებას!**

**— ბატონო რევაზ, სამწუხაროდ, ჩვენთან ცხრაწლიანი „ნაცისტური“ ტირანიის ბოგინის დროს უამრავი ძეგლი დაინგრა, რომლებიც აღიმართა ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად. თუ იყო ამაზე მსჯელობა?**

— სამწუხაროდ, ამ ბარბაროსობაში ჩვენ „მხარი აგვიბა“ უკრაინამ და მოლდოვამ... ამ სამ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული მემორიალური ძეგლების შეურაცხყოფასა და განადგურებას, ითქვა კიდეც, რომ ამ ვანდალიზმზე არ მომხდარა პრინციპული რეაგირება და არ მიღებულა ზომები მათ აღსადგენად.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიწვეული იყო რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იაკობ გუმბა. თავის მხრივ, საქართველოს დელეგაციაში შედიოდა აფხაზეთიდან დევნილი უხუცესი ვეტერანების წარმომადგენელი ოლეგ ჯოლია. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის, ადმირალ ალექსი სოროკინის მითითებით, ეს ორი პიროვნება მიიწვია საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ლარინმა და გააცნო ერთმანეთს. მათ განემარტათ, რომ საკოორდინაციო საბჭო საერთაშორისო არაპოლიტიკური ორგანიზაციაა და ძალზე სასურველია, რომ მისი წევრები, არსებული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, იყვნენ ერთმანეთთან სოლიდარულნი. მათ ურჩიეს, რომ დაამყარონ ურთიერთკონტაქტი და ხელი შეუწყონ არსებული კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიან მოწესრიგებას და ერთობლივად იზრუნონ სოციალური საკითხების მოგვარებაზე.

**— ბატონო რევაზ, როგორ აღიქვა საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურმა კავშირმა საგარეო საქმეთა მინისტრის — მაია ფანჯიკიძის გამონათქვამი, რომ სტალინი და ჰიტლერი არიან მსოფლიო დამნაშავეები?**

— მაგ გამონათქვამით ქალბატონმა ფანჯიკიძემ შეურაცხყოფა მიაყენა 300 ათასზე მეტ დაღუპული ქართველი მეომრის ხსოვნას და ცოცხლადდარჩენილ ვეტერანებს! სხვათა შორის, **ჩვენი კავშირის აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1 ოქტომბრის არჩევნებში ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, რომლის წევრიც ქალბატონი ფანჯიკიძეც ბრძანდება. ფაქტობრივად, ამჟამინდელმა მინისტრმა შეურაცხყოფა მიაყენა თავის ამომრჩევლებს, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია!** სამწუხაროა, რომ ამ თავის მეტად უცნაური გამოხდომით ქალბატონმა ფანჯიკიძემ დაამტკიცა, რომ დიპლომატიის ანბანსაც ვერ ფლობს და, შედეგად, მისი დიპლომატიური ქმედებები კარგს არ მოუტანს ჩვენს სამშობლოს. **ჩვენ, როგორც „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები, მოვითხოვთ, ამ ქალბატონმა ბოდიში მოუხადოს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და, თუ იგი ამას არ იკადრებს, გვაიძულებს, მომავალ ადგილობრივ არჩევნებში ამ პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებს ხმა არ მივცეთ!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

## ასადმა მსოფლიო ბანკის 21 მილიარდი დოლარის კრედიტის მიღებაზე უარი განაცხადა

**ასადმა განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკს სურს, ხელში ჩაიგდოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ყველაზე ხელსაყრელი პროექტები სირიის სანაპიროებთან. ასადმა ბანკის შეთავაზება გადაჭრით უარყო. მან განაცხადა, რომ სირია არ დაივიწყებს მეგობრებს და ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზიას რუსეთს აჩუქებს, ხოლო ქვეყნის აღდგენითი სამუშაოების კონტაქტებს ჩინელები მიიღებენ.**

ლიბანის გაზეთ AL Aklbar-ის კორესპოდენტი დამასკოში შეხვდა სირიის პერზიდენტ ბაშარ ასადს. შეხვედრა მოხდა სირიის სამთავრობო არმიის ტრიუმფის შემდეგ ელ-კსეირში, რომელიც კორესპონდენტის თქმით, იყო „ამბოხებულთა გული და ფილტვები“.

სირია კრახიდან გამოდის და ეს უკვე იგრძნეს მისმა დაუძინებელმა მტრებმა. ასადის მტკიცებით, მსოფლიო ბანკმა მას კულუარული გარიგება შესთავაზა — 21 მილიარდი კრედიტი შეღავათიანი პირობებით, მაგრამ გადაჭრით უარი მიიღო. ასადმა განაცხადა, რომ „მსოფლიო ბანკი თითსაც ვერ გაანძრევს აშშ-ის მითების გარეშე.“

ასადი აცხადებს, რომ ახლა მისთვის მთავარია ომისშემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით აღდგენითი სამუშაოები და მოსახლეობისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა, დაჭრილების მოვლა და უბინაოდ დარჩენილებისთვის თავშესაფრის საკითხების მოგვარება.

პრეზიდენტი ასადი მისი ქვეყნის არსებობისთვის უდიდეს საშიშროებას ხედავს „სექტანტობის გავრცელებაში“, მისი სიტყვებით, ეს არის უპირველესი პრობლემა, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება.



მსოფლიო



## ავღანელმა თალიბებმა 10 წლის ბავშვს თავი მოჰკვეთეს

**ბიჭუნა პროვინცია ყანდაგარში დაიჭირეს: იგი ნაგვის ურნებში საკვებს ეძებდა. ბავშვი რამდენიმეჯერ საკონტროლო პუნქტთანაც იმყოფებოდა, ჯარისკაცები და სამართალდამცავები კი მას საკვებს აძლევდნენ.**

ადგილობრივი მმართველობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თალიბებმა ბავშვს იმაში დასდეს ბრალი, რომ იგი ტერორისტებზე სამართალდამცავებისთვის ინფორმაციას აგროვებდა. ყანდაგარის თვითმმართველობამ, აღნიშნულ ფაქტს არაადამიანური და ისლამის კანონების საწინააღმდეგო ქმედება უწოდეს. მიუხედავად ამისა, მომხდარზე თალიბანი პასუხისმგებლობას არ იღებს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თალიბებს ორი ბავშვის მკვლელობაში შარშანაც დასდო ბრალი, მათ 12 წლის ბიჭი და 7 წლის გოგონა მოკლეს, მათაც თავები მოჰკვეთეს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ სირიელმა აჯანყებულებმა, რომლებიც ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, 15 წლის მოზარდი საკუთარი მშობლების თვალწინ მოკლეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იტყობინებოდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო, უკვე რამდენიმე წელია, MICROSOFT-ის, YAHOO-ს, GOOGLE-ს, FACEBOOK-ის, PALTALK-ის, AOL-ის, SKYPE-ის, YOUTUBE-ს და APPLE-ს სერვერებთან პირდაპირი წვდომის უფლებით სარგებლობს.**



# ედვარდ სნოუდენი «დიდი ძმის» წინააღმდეგ

**გასულ კვირას აშშ-ში მორიგმა არადემოკრატიულმა სკანდალმა იფეთქა, რომელმაც მოქალაქეებს შეახსენა, რომ მათი ქვეყანა ტოტალიტარიზმის სამშობლო და „დიდი ძმის“ სამფლობელოა. ამოტივტივდა ინფორმაცია ამერიკის სპეცსამსახურების იმ ზე საიდუმლო პროგრამის PRISM-ისშესახებ, რომელიც მიმართულია მობილური ტელესისტემებისა და ინტერნეტის საშუალებით მოქალაქეებზე ყოვლისმომცველი მონაცემების შეგროვებისკენ. პირველად ამ თემაზე პუბლიკაცია ბრიტანულ „გარდიანში“ დაიბეჭდა. შემდეგ მას შეუერთდა „ვაშინგტონ პოსტი“ და სკანდალმა მთელი ინტერნეტი მოიცვა. გამოცხადდა სკანდალის მთავარი გმირიც.**



ახალ ამბებში გამოჩნდა სატელეკომუნიკაციო კომპანია Verizon-ი, რომლისგანაც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ მილიონობით აბონენტის ზარების შესახებ მიიღო მონაცემები. ყველაფერი კანონიერად კეთდებოდა, ცხადია, ასევე საიდუმლო სასამართლო ორდერის საფუძველზე. საერთოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მალე ყველაფერი საიდუმლო გახდება.

საუბარი მხოლოდ Verizon-ს არ შეეხებოდა. **გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იტყობინებოდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო, უკვე რამდენიმე წელია, MICROSOFT-ის, YAHOO-ს, GOOGLE-ს, FACEBOOK-ის, PALTALK-ის, AOL-ის, SKYPE-ის, YOUTUBE-ს და APPLE-ს სერვერებთან პირდაპირი წვდომის უფლებით სარგებლობს.**

მასალებში აღნიშნულია, რომ იმ ზესაიდუმლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა PRISM, სპეცსამსახურები აგროვებენ აუდიო და ვიდეო ფაილებს, ფოტოებს, ელექტრონულ მიმოწერას, დოკუმენტებსა და მონაცემებს ამა თუ იმ საიტთან მიერთებულ ადამიანებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, თვალყური ადევნონ ადამიანების გადაადგილებასა და კონტაქტებს.

Yahoo-ს, Google-ს, Facebook-ის, და Apple-ს ხელმძღვანელობებმა ეს ყველაფერი უარყვეს. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლეპერმა კი განაცხადა, რომ მასმედიამ პუბლიკაციებში მრავალრიცხოვანი უზუსტობები დაუშვა. მან ხაზი გაუსვა, რომ კანონი, რომელიც სპეცსამსახურების ანალოგიური თვალთვალის უფლებას მოიცავს, ნებას იძლევა, რომ აღნიშნული ქმედებები განხორციელდეს მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ არიან აშშ-ის მოქალაქეები და ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან“.

წესით, სკანდალი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არც ასე მარტივად ყოფილა საქმე.

უფლებადამცველებმა განგაშის ზარები შემოკრეს, მათ შეუერთდნენ ალარმისტები და ჟურნალისტები, მოქალაქეებმა გაიხსენეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანთა უფლებები, თვით კონსტიტუცია და მისი რამდენიმე შესწორებაც კი და აგორდა.

**რიგითი ამერიკელების აღშფოთება განაპირობა იმან, რომ შიდა უსაფრთხოების სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს მოქმედება მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით, რასაც პრესაში ხშირად „მოსმენებს“ უწოდებენ ხოლმე, აბსოლუტურად კანონიერი აღმოჩნდა.**

კანონიერება უზრუნველყოფილია ტერორიზმთან ბრძოლის აქტით, რომელიც კონგრესმა 2001 წელს მიიღო. 2008-2012 წლებში კონგრესმა დაამტკიცა კანონი ისე, რომ მასში შესწორებები არ შეუტანია. სენატორებმა აშშ-ში მოქალაქეთა მოსმენები კანონიერად მიიჩნიეს.

არავინ დაიჩივლებდა, სპეცსამსახურებს რომ აღმოეჩინათ კონკრეტული ადამიანი, რომელიც ზიანს აყენებს ამერიკას და მოეთხოვათ მასზე თვალთვალის ნებართვა, მაგრამ, როდესაც ისინი მეთვალყურეობას აწესებენ ერთდროულად მილიონობით ამერიკელზე, ნებისმიერი მათგანი თვლის, რომ მის პირად სივრცესა და მის უფლებებს პატივს არ სცემენ. ასე თვლის მილიონობით ამერიკელი, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა.

## ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამები მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში განსაკუთრებით ფართო ჩარევაზე მიანიშნებს

წარსულის პოლიტიკური აქტების უცვლელობის წინააღმდეგ გამოდის ზოგიერთი კონგრესმენი. მაგალითად, ამერიკელი დემოკრატი, სენატორი მარკ იუდოლი ამგვარი ცვლილებების ერთ-ერთი მხარდამჭერია. **„ჩვენ უნდა გადავხედოთ „პატრიოტიზმის აქტს“ და გარკვეულწილად შევზღუდოთ იმ ინფორმაციის რაოდენობა, რომელსაც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო აგროვებს,** — განაცხადა მან. — **ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ტერორიზმთან, რომელიც ძველებურად წარმოადგენს საფრთხეს. მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ კონსტიტუციის მეოთხე შესწორება, რომელიც კრძალავს უკანონო ჩხრეკას და საფოსტო მიმოწერის ხელყოფას“.**

იუდოლს მხარი დაუჭირა სახელგანთქმულმა სენატორმა **რენდ პოლმა**, რომელმაც ტელეკომპანია „ფოქსის“ ეთერში განაცხადა, რომ **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამები მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში განსაკუთრებით ფართო ჩარევაზე მიანიშნებს.**

მაგრამ სენატორთა უდიდესი ნაწილი ობამას ადმინისტრაციისა და ამერიკის სპეცსამსახურების მოქმედებების დასაცავად გამოდის. ცნობილ დამცველებს შორის უნდა აღინიშნოს დაიან ფაინსტაინი — დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე და რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელმაც „სი-ენ-ენ“-თან ინტერვიუში განაცხადა: **„დღეს რომ 2001 წლის 12 სექტემბერი ყოფილიყო, მსგავს კამათს, სავარაუდოდ, ადგილი არ ექნებოდა“.**

10 ივნისი თენდებოდა, როდესაც ამერიკის მოქალაქეთა მოსმენების შესახებ სკანდალმა გაგრძელება ჰპოვა — გამოცხადდა მისი ინიციატორი ედვარდ სნოუდენი, Booz-AllenHamilton-ის თანამშრომელი, ადამიანი, რომელმაც მიზნად დაისახა, რომ ხელისუფლების მიერ ჩადენილ უსამართლობებს და მის სიცრუეებს ებრძოლოს. სწორედ მან გადასცა ბრიტანულ გაზეთ „გარდიანს“ სასამართლოს საიდუმლო გადაწყვეტილება, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. სწორედ ამ პუბლიკაციის შედეგად აგორდა ასევე ზემოხსენებული სკანდალიც.

„გარდიანის“ კორესპონდენტები სნოუდენს ჰონკონგში ესაუბრნენ. სამართლიანობისთვის მებრძოლმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ააშენა მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც პრაქტიკულად ყველა კომუნიკაციის გაკონტროლების საშუალებას იძლევა, თანაც ეს ყველაფერი ავტომატურად ხდება. **„თუ მოვინდომებ, ჩემი მეუღლის ზარები მოვისმინო ან მისი ელექტრონული ფოსტა გავქექო, ერთადერთი, რაც საჭირო იქნებოდა ამისათვის, ამ ტექნოლოგიის გამოყენებაა. მისი საშუალებით შეიძლება ხელში ჩაიგდო ელექტრონული წერილები, პაროლები, სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, საკრედიტო ბარათების შესახებ ინფორმაციისადმი წვდომა... მე არ მინდა ვიცხოვრო საზოგადოებაში, რომელიც ამგვარ რამეებს აკეთებს... მე არ მინდა, ვიცხოვრო მსოფლიოში, სადაც ყველაფერი, რასაც ვამბობ და ვაკეთებ, იწერება. ეს არ არის ის, რისი მხარდაჭერისა და რასთან თანაცხოვრებისთვისაც ვარ მზად“,** — ამბობს სნოუდენი.

შესაძლოა, ამ სახის თვალთვალი გაჩაღებული იყოს იმისათვის, რომ მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული ტერორისტული თავდასხმები, მაგრამ სნოუდენი არც ამას ეთანხმება და აცხადებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად პოლიციის ძველმოდური, მაგრამ კარგი მუშაობაც საკმარისია.

თავად სნოუდენი 29 წლისაა, წარსულში იგი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ტექნიკური ასისტენტი იყო, მაგრამ ამერიკიდან ჰონკონგში — რეპუტაციის მიხედვით ამერიკაზე ნაკლებად თავისუფალ ქვეყანაში გადავიდა მხოლოდ იმის გამო, რომ იქ სიტყვის თავისუფლების გაცილებით უფრო ძლიერი ტრადიციები არსებობს.

კითხვაზე, იცოდა თუ არა მისმა ოჯახმა, თუ რის გაკეთებას აპირებდა, ანოუდენმა ჟურნალისტებს უპასუხა: „არა... და ახლა ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ისინი მიადგებიან ჩემს ოჯახს, ჩემს მეგობრებს, ნებისმიერ მათგანს, ვისთანაც კი ურთიერთობა მაქვს“.

მისივე თქმით, ამიერიდან ყველა ახლობელთან მისასვლელი გზა მოჭრილი აქვს, მათთან ურთიერთობას ველარასდროს განაგრ- ▶




## რუსეთი საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლასთან დაკავშირებით კონსულტაციებისთვის მზადაა

**ამის შესახებ 17 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა. „ჩვენი სატრასპორტო სააგენტო და ტრანსპორტის სამინისტრო მზადაა, ჩვენს ქართველ კოლეგებთან სატრანსპორტო საკითხებში, უპირველესად, საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკებები აწარმოოს“,** — განაცხადა მან. მისივე თქმით, უკვე მოქმედებს საკმარისი რეგულარული ჩარტერული რეისებს მოსკოვს, ეკატერინბურგს, თბილისსა და ბათუმს შორის. **„გარკვეული დინამიკა შეინიშნება და ვიმედოვნებთ, რომ ეს ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვან პროგრესამდე მიგვიყვანს“,** — დასძინა ლუკაშევიჩმა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროკავშირის ქვეყნების საზოგადოებებში უკმაყოფილების ზრდა, როგორც ჩანს, განპირობებულია კრიზისზე პოლიტიკური რეაქციით ქვეყნების მაღალი საგარეო ვალების გამო, რამაც გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრების დონეზე და მათ მიერ საკუთარი კეთილდღეობის აღქმაზე“**

◀ ძობს, რადგან ხელისუფლება აგრესიულად იმოქმედებს ყველას წინაამდეგ, ვინც კი იცნობს მას.

ახლა სნოუდენი იმედოვნებს, რომ ჰონკონგის ხელისუფლება გაადეპორტებს, რის შემდეგაც თავშესაფარს საერთო-ნაციონალური ღირებულებების მქონე ქვეყანაში, მაგალითად ისლანდიაში, მოძებნის.

**გარდიანის კიდევ ერთ სტატიაში ჟურნალისტები წერენ, რომ სნოუდენი ამერიკის პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გაჟონვაზეა პასუხისმგებელი.**

**ახლა სნოუდენი ისტორიაში შევა დანიელ ელსბერგთან და ბრენდი მენინგთან ერთად — ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახურული ორგანიზაციაა.**

მართალია, იგი არ მალავს თავის წარსულს, მაგრამ აცხადებს, რომ ბევრი რამ იქიდან, რასაც ხედავდა, მართლაც გულდასაწყვეტი იყო და ამ ყველაფერმა მიახვედრა, რომ თავად იყო ნაწილი რაღაცისა, რასაც გაცილებით მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სარგებელი.

ამიტომაც წავიდა ცსს-დან და კერძო დაქირავებულ პირთან დაიწყო მუშაობა, ამ უკანასკნელმა კი დანიშნა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მოქმედ ობიექტზე, რომელიც დისლოცირებული იყო იაპონიაში მდებარე სამხედრო ბაზაზე. სწორედ მაშინ ადევნებდა თვალს, თუ როგორ აყალიბებდა ობამა პოლიტიკას, რომელსაც, სნოუდენის აზრით, ცვლილებები უნდა მოეტანა.

მაგრამ მომდევნო სამი წლის მანძილზე მან მხოლოდ ის გაიგო, რომ **ყოვლისმომცველი თვალთვალის ციებცხელებით შეპყრობილმა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ მსოფლიოში ყველა მოქალაქის ყველა მოქმედებისა და ყველა საუბრის გაგება მოინდომა.**

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორის — ჯეიმს კლეპერის მდივანმა შონ ტერნერმა განაცხადა, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც დაშვება აქვს, იცის: მას ამავე დროს აქვს ვალდებულება, დაიცვას საიდუმლო ინფორმაცია და კანონი.

**ამერიკულმა სამხედრო კომპანია BoozAllenHamilton-მა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც სოუდენის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება „შოკისმომგვრელად“ შეაფასა და საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, ითანამშრომლოს ნებისმიერ გამოძიებასთან.**

**სამაგიეროდ, სოუდენს მხარი დაუჭირეს სამოქალაქო აქტივისტებმა. ჯესილინ რადაკმა, რომელიც ადრე ინფორმატორების უფლებებს იცავდა ადვოკატის რანგში, განაცხადა, რომ სოუდენის საქმე, შესაძლოა, გარდატეხის მომენტად იქცეს.**

ნაციონალური უსაფრთხოების ანალიტიკოსმა რასელ ტაისმა, რომელმაც 2000-იანი წლების შუა პერიოდში სააგენტო საკანონმდებლო მანდატის ჩარჩოებიდან გაჭრაში დაადანაშაულა, განაცხადა: „ამ ბიჭს უფრო მეტი ვაჟკაცობა აქვს, ვიდრე სხვა ყველას ერთად, ვისაც კი ვიცნობ“.

კომპანია BoozAllen-I, რომელსაც 6-მილიარდიანი კაპიტალი და 25 000-იანი შტატი აქვს, მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია კომპიუტერული სისტემების მონაცემთა დამუშავებაზე. დევიზით „სამოქალაქო უსაფრთხოების გაუმჯობესება ანალიტიკის საშუალებით“, ფირმა დიდი რაოდენობით მონაცემთა გადამუშავებას სთავაზობს ბაზარს.

ამ ყველაფრის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ჰონკონგთან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება აქვს. ახლა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო გაჟონვის გამოძიების ინიცირებას აპირებს. აშშ-ის რესპუბლიკელი პოლიტიკოსები უკვე გამოდიან სნოუდენის ექსტრადიციის მოთხოვნით.

**სოუდენის დევნა, სავარაუდოდ, ჯაშუშობის შესახებ 1917 წლის კანონს დაექვემდებარება — სწორედ ამ კანონს იყენებს აშშ-ის ხელისუფლება ყველა იმ სამოქალაქო პირის წინააღმდეგ, რომლებმაც ნებართვის გარეშე გაამჟღავნეს ესა თუ ის ინფორმაცია.**

ჰონკონგს, აშშ-თან 1996 წლის შეთანხმების თანახმად, შეუძლია, 60 დღის მანძილზე დააკავოს პირი, რომლის ექსტრადიციისთვისაც ვაშინგტონი ოფიციალურ მოთხოვნას ამ დროშივე მოამზადებს.

ექსტრადიციის საკითხებზე მომუშავე იურისტები ამბობენ, რომ სნოუდენისთვის ძნელი იქნება ამ შეთანხმების გვერდის ავლა, თუ აშშ მის გადაცემას მოითხოვს. როგორც ადვოკატი რობერტ ანელო ამბობს, „თუ თქვენ ამერიკის მოქალაქე ხართ, აშშ-ისგან გადარჩენა იოლი საქმე არ იქნება“.

ჰონკონგს სრულად აკონტროლებს ჩინეთი, ამიტომ მას შეუძლია ექსტრადიციაზე უარის თქმა, თუ ეს ავნებს ჩინეთის „თავდაცვას, საგარეო საქმეებს, არსებულ საზოგადოებრივ ინტერესებს ან პოლიტიკას“.

გარდა ამისა, სნოუდენის დაცვა შეიძლება დაეყრდნოს „ორმაგი დამნაშავეობის“ არარსებობას: ექსტრადიციისთვის პირის მიერ ჩადენილი აქტი ორივე მხარის მიერ უნდა ითვლებოდეს დანაშაულად, მაგრამ, როგორც იგივე ანელო აღნიშნავს, ჰონკონგში იპოვიან ადგილობრივ კანონს, რომელიც „ძალიან ემგვანება“ ჯაშუშობის შესახებ ამერიკულ კანონს და სნოუდენს ექსტრადიცია არ ასცდება...

**topwar.ru**

# გაერო უმუშევრობის ზრდის გამო ევროპაში არეულობებს ელის

**ათენში მკაცრი ეკონომიის ზომებთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლები მოდმივად მწვავე შეტაკებებითა და ნაცისტურ რეჟიმთან შედარებებით სრულდება. ამ ეტაპზე, ფინანსური კრიზისის დაწყებიდან ხუთი წლის შემდეგ, უმუშევრობა და მასთან ერთად საზოგადოებრივი უკმაყოფილების გაძლიერების რისკი მრავალ ინდუსტრიულ სახელმწიფოში, როგორც გაეროს ექსპერტები ირწმუნებიან, კვლავაც იზრდება, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში.**




მიუხედავად ამისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, გერმანია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებშიც მოსახლეობის დასაქმება კრიზისამდელ მაჩვენებლებს შეესაბამება. ამ ორგანიზაციის მიერ რამდენიმე დღის წინ წარმოდგენილ 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მთელ მსოფლიოში დაუსაქმებელი მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლისთვის 8 მილიონით გაიზრდება. ამ მომენტისთვის მსოფლიოში სულ დაახლოებით 200 მილიონი უმუშევარია.

**„ჩვენ გვჭირდება სამუშაო ადგილები და ეფექტური ინვესტიციები, რომლებიც მიმართული იქნება გლობალური ზრდისკენ. ასევე გვესაჭიროება სოციალური დაცვის გაუმჯობესება საზოგადოების ყველაზე სუსტი და ღატაკი ფენებისთვის,** — განაცხადა შრომის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ჟენევაში ჩატარებული ფართო კვლევის პრეზენტაციაზე. **— ასევე ჩვენ ზომებს უნდა მივიღოთ სოციალური უთანასწორობის გაზრდის წინააღმდეგ, რადგან ის მსოფლიოს მრავალ რეგიონში პროგრესირებს“.**

შესწავლილი 71 ნაციონალური ეკონომიკიდან 46-ის შემთხვევაში სახეზეა საზოგადოებრივი პროტესტის რისკი, რის შესახებაც ციფრები შრომის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებს მოჰყავთ. საშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წლის 34%-დან 2012 წლის 46%-მდე გაიზარდა. შეფასებებისთვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები იყენებენ ინდექსს, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მდგომარეობას, ცხოვრების დონეს და მოქმედი ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობას.

ექსპერტების აზრით, ევროკავშირში მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების ზრდის მთავარი მიზეზი მკაცრი ეკონომიის პოლიტიკაა, რაც განაპირობებს უმუშევრობის დაუყოვნებლივ ზრდას: **„ევროკავშირის ქვეყნების საზოგადოებებში უკმაყოფილების ზრდა, როგორც ჩანს, განპირობებულია კრიზისზე პოლიტიკური რეაქციით ქვეყნების მაღალი საგარეო ვალების გამო, რამაც გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრების დონეზე და მათ მიერ საკუთარი კეთილდღეობის აღქმაზე“,** — ნათქვამია ანგარიშში.

ვიდრე ევროზონა რეცესიის მდგომარეობაშია, 2011 წლის მესამე კვარტლიდან მოყოლებული, ევროკავშირში უმუშევრობის დონე ყველანაირ რეკორდს ამარცხებს და უკვე 12-პროცენტიან ნიშნულს სცილდება. ამ ყველაფერთან ერთად ევროზონაში საგადასახადო მაკრატელი სულ უფრო და უფრო შორს სწვდება. „ამ შავბნელმა ეკონომიკურმა სცენარმა შექმნა იმდენად მყიფე პირობები, რომ სულ უფრო ნაკლები ადამიანი ხედავს შესაძლებლობას, მოძებნოს კარგი სამუშაო და გააუმჯობესოს საკუთარი ცხოვრების დონე, — ირწმუნებიან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები თავიანთ ანგარიშში.

**არეულობების საფრთხე ყველაზე მეტად კვიპროსს, ჩეხეთს, საბერძნეთს, იტალიას, პორტუგალიას, სლოვენიასა და ესპანეთს ემუქრება.** გერმანია იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც საზოგადოებრივი უკმაყოფილების ინდექსი ცალსახად იკლებს.

გარდა ამისა, 2013 წელს, როდესაც გერმანიაში არჩევნები შედგება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ გერმანიისთვის სასურველი შედეგებიც არ დაიშურა და გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმადაც შრომისუნარიანი და დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 2007 წლის 54,7 პროცენტიდან 2012 წლის 57,1 პროცენტამდე გაიზარდა.

2007-დან 2012 წლამდე პე**რიოდში გერმანიაში ორ მილიონზე მეტმა მოსახლემ იშოვა ახალი სამსახური, იმავე პერიოდში კი მთლიანად ევროკავშირმა 2,7 მილიონი სამუშაო ადგილი დაკარგა. ახლა გერმანია არის ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი, სადაც უმუშევრობა ყველაზე დაბალია. მაგალითად, ახალგაზრდებს შორის დაუსაქმებელი გერმანიაში 7,7 პროცენტია, ევროკავშირშიკი — 23.5 პროცენტი.**

ცხადია, პრობლემები გერმანიასაც აქვს სამუშაო ადგილების ხარისხთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დროებით სამსახურშია დაკავებული ან ყველაზე დაბალ ანაზღაურებას იღებს, არ შემცირებულა.

**დადებითი ცვლილებები შეინიშნება შრომის ბაზარზე ავსტრიაში, უნგრეთში, ლუქსემბურგში, მალტაში, პოლონეთსა და რუმინეთში. ამავე ქვეყნებში დასაქმებულთა რაოდენობა კრიზისამდელ მაჩვენებლებს აღემატება.**

**ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კვიპროსი, საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი, ყველაფერი პირიქითაა — უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დასაქმებულთა მაჩვენებელი წელიწადში სამი პროცენტით ეცემოდა. იმისათვის, რომ მოსახლეობის დასაქმების კრიზისამდელ დონეს მიაღწიოს, საერთო ჯამში ევროკავშირის 27 ქვეყანაში ერთად თითქმის 6 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით, შრომის ბაზრებზე ძლიერი დისბალანსია: იმ დროს, როდესაც ევროკავშირი და სხვა ინდუსტრიალური ქვეყნები კრიზისის შედეგებს ებრძვიან, სწრაფად მზარდ ეკონომიკებსა და განვითარებად ქვეყნებში აღმასვლა შეინიშნება.



**DieWelt**

## «დიპლომატებმა თქვეს, რომ მერაბიშვილის საქმე სერიოზულ მონიტორინგს საჭიროებს»

**საქართველოში ევროკავშირის ელჩის — ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, „დიპლომატებმა თქვეს, რომ მერაბიშვილის საქმე სერიოზულ მონიტორინგს საჭიროებს“.**

ამის შესახებ დიმიტროვმა მერაბიშვილის ადვოკატებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

**„მერაბიშვილის საქმეს თვალს ყურადღებით ვადევნებთ. მისი ადვოკატის პოზიცია ბუნებრივია და მიანიშნებს შეუსაბამობებსა და უზუსტობებზე. ჯერ არ შეგვიძლია, ვისაუბროთ საქმეზე, რომელიც ძიების ეტაპზეა, მაგრამ დიპლომატების მხრიდან აქ ითქვა, რომ ეს საქმე სერიოზულ მონიტორინგს საჭიროებს“,** — განაცხადა დიმიტროვმა.

შეგახსენებთ, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მისი ოჯახის წევრებისთვის საბანკო ანგარიშებით სარგებლობის უფლების დაბრუნებისა და საკანში ტელევიზორის შეტანის მოთხოვნით 17 ივნისს, დილით შიმშილობა დაიწყო.



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეტალონურ დემოკრატიაში ხელისუფლება გლობალურ ფინანსურ ელიტას ეკუთვნის, რადგან ადამიანის უფლებების დაცვა იქცა უმცირესობების უფლებების დაცვად უმრავლესობის კანონიერი უფლებების წინააღმდეგ და ექსპლუატატორების სიხარბედ ექსპლუატირებულთა უფლებების წინააღმდეგ.**

# პროფესიონალი მსახიობები აშშ-ის ხელისუფლების დაკვეთით მოწმეებისა და დაზარალებულების როლებს ასრულებენ

**აშშ-ში არსებობენ სპეციალური კატეგორიის მსახიობები, რომელთა ამოცანაა, შეასრულონ მსხვერპლის, შემთხვევითი გამვლელის ან ასევე შემთხვევითი მოწმის როლები სხვადასხვა დადგმულ ღონისძიებაში, მაგალითად, ტერაქტების ან სკოლაში სროლის დროს. ამგვარი ინსცენირებები სამაშველო სამსახურების თანამშრომელთა მომზადების ნაწილია და მათი მიზანია რეაგირების დახვეწა და მაშველთა უნარ-ჩვევების გამომუშავება ჩვეულებრივ ადამიანებთან თანამონაწილეობით ნამდვილი საგანგებო სიტუაციების დროს.**



ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ ხელისუფლება იმავე მსახიობებს საიდუმლოდ იყენებს სხვადასხვა შემთხვევისა თუ ტრაგედიის ინსცენირებისთვის, რათა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება შეძლოს.

**როგორც ირწმუნებიან, ერთ-ერთი ამგვარი ინსცენირებული შემთხვევა იყო 2012 წლის დეკემბერში სენდი ჰუკის დაწყებით სკოლაში ატეხილი სროლა. ითვლება, რომ მოვლენები ობამას ადმინისტრაციის მიერ იქნა ინსცენირებული, რათა შედეგად გაჩენილი საზოგადოებრივი რეზონანსი აშშ-ის კონსტიტუციის მეორე შესწორების მდგომარეობის გაუქმებისთვის გამოეყენებინათ. ამ შესწორების შინაარსი, როგორც ცნობილია, პირადი თავდაცვის მიზნით იარაღის ტარებისა და შენახვის უფლებებს შეეხება.**

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ასრულებენ საკუთარ როლებს ზემოხსენებული კატეგორიის „ცნობილი“ მსახიობები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შემთხვევების ინსცენირებაში მათი მონაწილეობა ყოველთვის წარმატებულად ვერ ჩაითვლება.

მაგალითად, მსახიობი, რომელიც ერთ-ერთი მსხვერპლის მამის — რობი პარკერის როლს ასრულებდა, აშკარად შეცდა, როდესაც თანამოსაუბრესთან რაღაცაზე გაცხარებული კამათი გააბა და შემდეგ გულიანადაც იხარხარა. საბრალოს ეგონა, რომ კამერა ჯერ არ იყო ჩათული, სინამდვილეში კი კადრში მანამდე მოხვდა, ვიდრე უბედური მამის როლში შეიჭრებოდა და „თავისი უბედურების“ შესახებ დამწუხრებული სახით ამცნობდა მსოფლიოს.

**მსახიობმა შეასრულა ჯინ როზენის — სენდი ჰუკის სახელობის სკოლის მეზობლად მცხოვრები იმ კაცის როლი, რომელმაც სროლის შემდეგ გადარჩენილი ექვსი ბავშვი იპოვა და შეიფარა, ვიდრე მშობლებმა არ მიაკითხეს. უცნობმა მომხმარებელმა ინტერნეტში განათავსა ვიდეო, რომლის სახელწოდებაა „ჯინ როზენის გამოსვლის რეპეტიცია. ნახვა აუცილებელია“. ამ ვიდეოზე იხილავთ ინტერვიუს, რომელშიც „მთავარი გმირი“ მომხდარის შესახებ ყვება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯინ როზენის როლის შემსრულებელს არ შეუძლია, დეტალურად აღწეროს სიტუაცია და მომხდარი.**

მსახიობმა შეასრულა ექიმ უეინ კარვერას როლიც, რომელმაც მსხვერპლთა და მკვლელის სხეულები უშუალოდ შემთხვევის ადგილზე დაათვალიერა. ინტერნეტში არის პრესაში გამოქვეყნებული მისი ინტერვიუს ელექტრონული ვერსიაც. ამ მასალის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველს წარმოადგენს მრავალი შეცდომა, რომლებიც უეინ კარვერამ მომხდარის აღწერისას დაუშვა. ის არასწორად ასახელებს იმ იარაღის ტიპს, რომლიდანაც მკვლელმა ისროლა, ასევე არ შეუძლია, პასუხი გასცეს უბრალო კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენი მსხვერპლი იყო და რა ეცვათ მოკლულებს.

**ერთ-ერთი მსხვერპლის დედის როლი შეასრულა მსახიობმა. როგორც ინტერნეტში გაჩენილი ფოტოებიდანაც მშვენივრად ჩანს, მოგვიანებით იგი შენიშნეს ჯეიმს ჰოლმსის ადვოკატის როლშიც, ეს უკანასკნელი კი სენდი ჰუკის სკოლაში მსროლელია, რომელმაც, როგორც გამოდის, საკუთარი ადვოკატის შვილი მოკლა. მსახიობის ნამდვილი გვარი სექსტონია და იგი აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტროზე მუშაობს.**

ბოსტონში მომხდარი აფეთქება კიდევ ერთი მოვლენაა, რომლის ნამდვილობისაც ყველას როდი სჯერა.

**ამ აფეთქების მსხვერპლთა ფოტოებს შორის ერთ-ერთი „მსხვერპლი“ არის აშშ-ის არმიის 25-ე ქვეითი დივიზიის ლეიტენანტი ნიკოლას ვოგტი, რომელსაც ნამდვილად ამპუტირებული აქვს ორივე ფეხი. ფოტოზე უამრავი შეუსაბამობის აღმოჩენა შეიძლება. მაგალითად, ასფალტზე არ ჩანს სისხლის კვალი. დავუშვათ, სისხლდენა შეწყდა, მაგრამ როგორ მოახერხა მსხვერპლმა, რომ გონება არ დაკარგა? მამაკაცის სახის გამომეტყველების მიხედვით ძნელად თუ ვინმე იტყვის, რომ იგი ან ტკივილს განიცდის, ან მომხდარის გამო შოკურ მდგომარეობაშია.**

mixednews.ru

# დემონოკრატია

**სიტყვა „დემოკრატია“, რომელსაც, როგორც წესი, თარგმნიან, როგორც „ხალხის ხელისუფლებას“, სინამდვილეში სულ სხვა, გაცილებით სახიფათო შინაარსს ატარებს, ვიდრე რასაც მუდამ გვასწავლიდნენ. სიტყვა „დემოკრატია“ ჩვენთვის, როგორც წესი, ითარგმნება, როგორც „ხალხის ძალაუფლება“, რადგან გვიმტკიცებენ, რომ სიტყვა შედგება ორი ნაწილისგან — ხალხი და ძალაუფლება, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უარესადაა.**

ძველბერძნულად ხალხი ითარგმნება როგორც „ლაოსი“ (ხალხი, მოსახლეობა, თემი), უკიდურეს შემთხვევაში — როგორც ეთნოსი (საზოგადოება, ჯგუფი, ბრბო, თემი, ნაცია), მაგრამ ძველბერძნულ ლიტერატურაში არც ლაოკრატია და არც ეთნოკრატია არსადაა ნახსენები. სინამდვილეში დემოკრატია მთელი ხალხის ძალაუფლებას არ ნიშნავს. სიტყვა „დემოსი“ ნაწარმოებია სიტყვისგან „დემ“ და აღნიშნავს ყველაზე წვრილ ტერიტორიულ ოლქებს ძველ ატიკაში, პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს, ანუ „ნაწილს“, „ფრაქციას“ ან „დეტალს“. გარდა ამისა, ანტიკურ დემოკრატიებში სრული უფლებებით სულაც ვერ სარგებლობდა ყველა, ანუ დემოს ყველა როდი განეკუთვნებოდა. პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ მონებს, ქალებს გამონაკლისების გარეშე და ასევე თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც სხვა ქალაქებში დაიბადნენ. ავადსახსენებელი „დემოკრატია“, რომლის ნაყოფითაც ტკბობის საშუალება მოქალაქეთა მცირე ნაწილს ჰქონდა, პრაქტიკულად განასახიერებდა უტოპიურ პრინციპს: „თითოეული ადამიანი თავისუფალია და ჰყავს ათი მონა“.

**ამასთან, სრულუფლებიანი მოქალაქის წოდებისთვის მიმდინარეობდა „სახეობისშიდა ომი“, რომელიც, როგორც დარვინის წყალობით ვიცით, ყველაზე სასტიკი ომია. წელიწადში ერთხელ ტარდებოდა სასამართლო, რომლის შედეგად დემოკრატია აძევებდა ერთ მოქალაქეს, რომელიც, მოქალაქეთა უმეტესობის აზრით, საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის. მართალია, წელიწადში მხოლოდ ერთ მოქალაქეს აძევებდნენ, მაგრამ მთელი წლის მანძილზე ეს დამოკლეს მახვილი ყოველი წევრის თავზე ეკიდა, რადგან მოკვეთილს სამოქალაქო უფლებების უმეტესობა უნდა ჩამორთმეოდა.**

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიტყვებს „დემოსს“ და „დემს“ აქვთ საერთო ფესვი „ნაწილი“, „გაყოფა“. იმავე ფესვიდან მომდინარეობს



**«გაალე, ნაძირალავ, დემოკრატია მოვიდა!»**

სიტყვა „დემონის“ ეტიმოლოგია (ღვთაება). ეს სიტყვა ძველ ბერძნულში მითოლოგიური არსებების, ნახევრადღმერთების, ადამიანებსა და ღმერთებს შორის შუალედური პოზიციის მქონე სულების კრებით სახელწოდებას წარმოადგენდა. ადრეულ წყაროებში განსხვავება ტერმინებს: „დემონსა“ და „ღმერთს“ შორის ყოველთვის არ შეინიშნება.

შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანულ მოძღვრებაში სიტყვა „დემონს“ განმაცალკევებელი, ღმერთისგან დამაშორებელი მნიშვნელობა აქვს.

საინტერესოა, რომ სიტყვა „ფარისეველი“ წარმოსდგება „განცალკევებულის“ ფუძიდან. თავიდან „ფარისეველი“ (გზიდან აცდენილების, ერეტიკოსების გაგებით) იყო მეტსახელი, რომელსაც ადამიანი იღებდა თავისი მოწინააღმდეგისაგან, მაგრამ შემდეგ, როდესაც ამ მოწუინააღმდეგე ჯგუფმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ამ მეტსახელმა შინაარსი შეიცვალა.

გარდა ამისა, ეგალიტარული დემოკრატიების პირობებში პარტიული სისტემა გახდა „რჩეულთა“ გამოყოფის და „ფრაქციების“ ძალაუფლების ფორმა. ეს ფრაქციები გახდნენ ძალაუფლების მონოპოლისტები, როგორც სოციალიზმის ან ფაშიზმის დროს აჯანყებული ნაციების „მმართველი და მიმმართველი“ პარტიები და აღმოჩნდნენ საზოგადოებაზე მაღლა ან „ეტალონური“ ლიბერალური დემოკრატიის პირობებში გადაიქცნენ ერთმანეთის კონკურენტ ჯგუფებად, რომლებიც მთლიანობაში ქმნიდნენ დაკვეთას და წარმოადგენდნენ მსხვილი კაპიტალის ინტერესებს, კაპიტალისას, რომელსაც შეეძლო ძვირადღირებული არჩევნების ანაზღაურება.

შემთხვევითი არ არის, რომ **ეტალონურ დემოკრატიაში ხელისუფლება გლობალურ ფინანსურ ელიტას ეკუთვნის, რადგან ადამიანის უფლებების დაცვა იქცა უმცირესობების უფლებების დაცვად უმრავლესობის კანონიერი უფლებების წინააღმდეგ და ექსპლუატატორების სიხარბედ ექსპლუატირებულთა უფლებების წინააღმდეგ.** კონკურენციის დაცვა გარდაიქმნა მონოპოლიის თავნებობის დაცვად და „თავისუფალი ვაჭრობის“ საფარქვეშ კონკურენტების გასრესვად. სიტყვის თავისუფლების დაცვა იქცა მხოლოდ საკუთარი სიტყვის თავისუფლებად და მოწინააღმდეგის ნებისმიერი საპირისპირო აზრის „ექსტრემიზმად“ მონათვლად. ხალხთა პოლიტიკური უფლებების დაცვა ტრანსფორმირდა, იქცა ამერიკის გლობალური ინტერესების დაცვად და მტკიცე რწმენად, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ხელისუფლების ლეგიტიმურობას იძლევა არა ამ ქვეყნის ხალხი, არამედ აშშ-ის ადმინისტრაცია.

ასე რომ, დემოკრატიის სემანტიკა, როგორც „ეგალიტარულის“, ასევე „ეტალონურის“, აღნიშნავს იმ „ფრაქციების“, „რჩეულთა“ და „განცალკევებულთა“ ძალაუფლებას, რომელთაც „დაანაწევრეს“, „დაყვეს“.

**დღევანდელ მსოფლიოს სულ უფრო მეტად ერეკებიან ამ ყველაფრისკენ, თუმცა, თუ დემოკრატიის აპოლოგეტებს გავიხსენებთ, შემთხვევით არ ამოტივტივდება დემონოლოგიის ყველაზე სახელგანთქმული ტრაქტატის სახელი Malleus Maleficarum. ამიტომაც საუბარი უნდა იყოს არა თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტების შესწავლასა და სრულყოფაზე, არამედ პრაქტიკულ დემონოლოგიაზე...**

communitarian.ru

**ევროზონაში რომ ფულის ბეჭდვა დაიწყონ, ევრო დაკარგავს მეორე სარეზერვო ვალუტის სტატუსს და ეს კი ევროპროექტის დასასრული იქნება. მეორე მხრივ, თუ ევროს არ ჩამობეჭდავენ, ყველაფერი მაინც ძალიან ცუდად დამთავრდება, რადგან ევროპული ეკონომიკა დაიწყებს განადგურებას. ამიტომ დასავლურევროპული ცენტრალური ბანკები ძალზე ფრთხილობენ და ამიტომაა, რომ დასავლეთ ევროპაში კრიზისი უფრო მწვავედ, მძიმედ და მტკივნეულად მიედინება, ვიდრე ამერიკაში.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპა — ყულფში

**ევროპა აღმოჩნდა ციკლურ ყულფში, რომელიც ამწვავებს კრიზისს — ანტიკრიზისული პოლიტიკა წარმოადგენს კეინსის მიერ მოგონილი განცალკევებული ზომების გამოყენებას იმ ნეოლიბერალური საბაზრო პოლიტიკის გაგრძელებასთან ერთად, რომელმაც განაპირობა ეს კრიზისი.**




დასავლეთის ერთ-ერთ ეკონომიკურ გამოცემაში ბოლო დროს გაჩნდა ძალზე საინტერესო სათაური „დასავლეთ ევროპაში დიდი დეპრესია უკვე დაიწყო". სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა თქმა უნდა, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც კრიზისი სწორედ დასავლეთ ევროპაში იწყება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ახლანდელი კრიზისი განპირობებულია სწორედ ანტიკრიზისული ზომებით, რომელთაც იგივე დასავლეთი უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ახორციელებდა.

საერთოდ, კრიზისი, რა თქმა უნდა, სისტემური, ძალზე ღმა და გრძელვადიანი აღმოჩნდა. მიაქციეთ ყურადღება, რომ, როდესაც 2008 წელს ის იწყებოდა, ექსპერტების დიდი ნაწილი, ისინიც კი, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი ახლანდელი ეკონომიკური სისტემისადმი, მეგობრულად აცხადებდნენ, რომ ის უკვე ხუთი წლის დაწყებული იყო. **ისინი, ვინც ამბობდნენ, რომ კრიზისი გაგრძელდებოდა, პესიმისტებად ითვლებოდნენ, ყოველ შემთხვევაში 2012 წლამდე მაინც. მაგრამ ახლა უკვე 2013 წელია, სიტუაცია კი გაუმჯობესებისკენ არ დაძრულა. რატომ? იმიტომ, რომ ამ ერთგვარ ფსევდოციკლს აქვს ადგილი. რატომ ფსევდო-ციკლი? იმიტომ, რომ ის განპირობებულია არა კრიზისის ბუნებრივი სვლით მის საბაზრო ვარიანტში, არამედ იმით, თუ როგორ ეფინება ის კრიზისის ბუნებრივ მსვლელობას.**

ახლა რაღაც სულ სხვა გამოვიდა. სინამდვილეში როცა კეინსისეული ტრადიციული მეთოდოლოგია უგულებელყოფილ იქნა (ის უკუგდებულ იქნა იმის გამო, რომ ძალზე ბევრ ძალას აძლევს სახელმწიფოს და, გარდა ამისა, აქცენტს აკეთებს სოციალურ პოლიტიკაზე, სოციალურ ინტერესებზე და, შესაბამისად, ის არ არის მომგებიანი ბურჟუაზიისთვის, არაა მომგებიანი მათთვის, ვინც ბაზარზე დებს ფსონს).

მეორე მხრივ, გაჩნდა აუცილებლობა, რაიმე მოეხერხებინათ კრიზისისთვის. და წარმოიშვა აბსოლუტურად უცნაური სიტუაცია, როდესაც, ერთის მხრივ, ანტიკრიზისული ბრძოლის გამოცდილი მეთოდები უკუგდებულია პოლიტიკური მიზეზებით; მეორე მხრივ კი, რაღაც ანტიკრიზისული პოლიტიკა მაინც ტარდება. და ეს ანტიკრიზისული პოლიტიკა წარმოადგენს ცალკეული ზომების გამოყენებას, იმ ზომებისას, რომლებიც კეინსმა მოიგონა, და გრძელდება ის ნეოლიბერალური საბაზრო პოლიტიკა, რომელმაც მიიყვანა კიდეც საქმე კრიზისამდე. წარმოიშვა ძალზე უცნაური სიტუაცია. რას გვთავაზობდა კეინსი? კეინსი, XX საუკუნის უდიდესი ეკონომისტი, ამბობდა, რომ ფული უნდა დახარჯულიყო სოციალურ პროგრამებზე, ინვესტიციებზე, წარმოების განვითარებაზე, ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, მეცნიერებაზე, განათლებაზე და ასე შემდეგ. და ამისგან შექმნილიყო ახალი საინვესტიციო ციკლი, ანუ დიდი სახსრები, რომლებიც საგადასახადო სისტემის მიერ ერთმეოდა მსხვილ კაპიტალებს, უნდა მიმართულიყო სოციალური სფეროსკენ და შექმნილიყო სწორედ ის ეკონომიკის ლოკომოტივი, ანუ გაჩენილიყო დინამიკა. კეინსის ცნობილი ისტორია: **„მოდით, ამოვთხაროთ დიდი ორმო, ჩავდოთ მასში ასფუნტიანი კუპიურებით სავსე ბოთლი და კვლავ ამოვავსოთ ორმო. შემდეგ კერძო ბიზნესს მივცეთ ამ ორმოს დამუშავებისა და ბოთლის ამოთხრის უფლება. პროცესში გაჩნდება დიდი დაკვეთები სამშენებლო ტექნიკის, მუშახელის, გზების გაყვანის მხრივ, შეიქმნება ინფრასტრუქტურა. და მაშინაც კი, როდესაც ამ ორმოს უკვე ამოთხრიან, ამ ადგილას უკვე იქნება ქალაქი, რომელიც განაგრძობს განვითარებას. იქ გაჩნდება ახალი მრეწველობა და ასე შემდეგ".**

ეს ვარიანტი უკუგდებულ იქნა და მის ნაცვლად მივიღეთ სხვა — ანტიკრიზისული პოლიტიკა, რომლის დროსაც ფული არ მიდის მოსახლეობასთან, ფული არ მიდის წარმოების ინვესტიციებში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ასე შემდეგ, მათ უბრალოდ აძლევენ ბიზნესს. გასაგებია, რომ ეს ბევრად უფრო მოსახერხებელია და ეს არის ანტიკრიზისული პოლიტიკა, რომელიც იმავდროულად, გარკვეული თვალსაზრისით, ანტიკეინსისეულიცაა და ანტისოციალურიც, რადგან ვიღაცამ ეს ფული უნდა გააჩინოს.

კეინსისეულ კლასიკურ ვარიანტში ფული ბიზნესისგან უნდა ეძლეოდეს საზოგადოებას და ამ შემთხვევაში საზოგადოება შექმნის მოთხოვნას, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ ბიზნესიც უზრუნველყოფილი იქნება დაკვეთებით.

ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი აბსოლუტურად პირიქითაა — ვართმევთ ფულს საზოგადოებას, ვიღებთ სახელმწიფო რესურსებს, ყველაფერს ვაძლევთ მსხვილ ბიზნესს, რათა მან დაფაროს თავისი დანაკარგები. შედეგი სავალალოა: შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ტექნიკურად კრიზისის ჩახშობა მოხერხდა დაახლოებით 2010 წელს იმ თვალსაზრისით, რომ მსხვილ კომპანიებში ანგარიშები გასწორდა, მათ აღარ ჰქონდათ ზარალი, იმიტომ, რომ სახელმწიფომ ფული არ დაიშურა მათთვის. მაგრამ ფული დაუმთავრდათ მომხმარებლებს, მოსახლეობას და იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს მსხვილი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანი მდგომარეობა, მოსახლეობისგან სულ უფრო მეტის აღებაა საჭირო, ანუ უნდა შემცირდეს რაც შეიძლება მეტი სოციალური პროგრამა, დაიხუროს სატრანსპორტო მარშრუტები და ასე შემდეგ.

**იგივე საფრანგეთში, კრიზისისგან ყველაზე დაზარალებულ ერთ-ერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ ორი წლის წინ, უბრალოდ, იკეტებოდა სარკინიგზო მარშრუტები, იკეტებოდა სადგურები პროვინციულ პატარა ქალაქებში. როდესაც ყველაფერი შემცირების და შეკვეცის გზით მიდის, შედეგად კიდევ უფრო მცირდება მოთხოვნა და ბიზნესი სახელმწიფოსგან კიდევ უფრო მეტ დახმარებას ითხოვს. ამ დროს სახელმწიფო ან ისევ ართმევს რაღაცას მოსახლეობას, ან ვალებში ეფლობა, ანუ ფინანსურ ბაზარზე იმავე კერძო ბიზნესისგან იღებს ვალებს, რაღა იგივე კერძო ბიზნესს დაეხმაროს. თანაც ამ ვალს იღებს კომერციული პროცენტებით და გასცემს ნომინალური პროცენტებით ან სულ უპროცენტოდ და იკვანძება ის მარყუჟი, რომელიც ციკლური კრიზისის სიტუაციას ქმნის. შედეგად ახლა ევროპა უფრო დიდ კრიზისშია, ვიდრე ის კრიზისი იყო, რომელთან საბრძოლველადაც გაყო თავი ანტიკრიზისულ მარყუჟში.**



ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ევროპასა და აშშ-ს შორის განსხვავების გათვალისწინება, რადგან აშშ-ში, სხვა ყველაფრის გარდა, ხელისუფლებას შეუძლია საბეჭდი მანქანა ჩართოს და უბრალოდ ჩამობეჭდოს დოლარები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკას შეუძლია, სასურველი რაოდენობის ფული ბეჭდოს, რაზეც ზოგიერთი ეკონომისტი საუბრობს ხოლმე. არსებობს ზღვარი, მაგრამ მათ ამ ზღვრამდე ფულის ბეჭდვა შეუძლიათ. ევროპაში ეს რესურსიც არ არსებობს, რადგან, **ევროზონაში რომ ფულის ბეჭდვა დაიწყონ, ევრო დაკარგავს მეორე სარეზერვო ვალუტის სტატუსს და ეს კი ევროპროექტის დასასრული იქნება. მეორე მხრივ, თუ ევროს არ ჩამობეჭდავენ, ყველაფერი მაინც ძალიან ცუდად დამთავრდება, რადგან ევროპული ეკონომიკა დაიწყებს განადგურებას. ამიტომ დასავლურევროპული ცენტრალური ბანკები ძალზე ფრთხილობენ და ამიტომაა, რომ დასავლეთ ევროპაში კრიზისი უფრო მწვავედ, მძიმედ და მტკივნეულად მიედინება, ვიდრე ამერიკაში.**

საბოლოო ჯამში მოხდა ისე, რომ მთელ ევროზონაში თავს შედარებით ნორმალურად გრძნობს გერმანია და საფრანგეთი, მაგრამ საფრანგეთი უფრო ცუდ დღეშია. გერმანიამ კი პრაქტიკულად მოგუდა ევროზონის სხვა ქვეყნების მრეწველობები ზოგიერთი გამონაკლისების გარდა. ცნობილი მითი იმის შესახებ, რომ ბერძნები, უბრალოდ, იღებენ ვალს, რომ იყიდონ ის, რაც სჭირდებათ. საბერძნეთში მრეწველობა და წარმოება მთლიანად დახურულია, ამიტომ ბერძნები ყველაფერს გერმანელებისგან ყიდულობენ. მაგრამ, თუ წარმოება არ არის, საიდან მოიტანენ ფულს? ამიტომაც სესხულობენ. ანუ ისინი ფულს სესხულობენ გერმანელებისგან, რომ გერმანულმა ეკონომიკამ მუშაობა განაგრძოს.

**მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. კატასტროფის კლასიკური სქემაა, როდესაც ერთი ელემენტი ეცემა და ეჯახება მეორეს, რომელსაც ასევე აგდებს და ასე შემდეგ. საქმე ისაა, რომ რაღაც ძალიან სერიოზული და მტკივნეული პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე, ეს მალე საფრანგეთსაც შეეხება და თვით გერმანიასაც. ადრე თუ გვიან საჭირო გახდება მთელი ევროკავშირის რეფორმირება, თუ მანამდე ის თავად არ დაიშალა, მაგრამ სწორედ ეს იქნება ახალი ევროპული რევოლუციის დასაწყისი.**

**„Россия"**

## სამალავში აღმოჩენილი იარაღი თავდაცვის სამინისტროს არ ეკუთვნოდა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ მას არ აქვს უფლება, სამეგრელოში აღმოჩენილ იარაღსა და სამალავის შესახებ კომენტარი გააკეთოს.**

**„ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ეს არ იყო თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული ღონისძიება და არ იყო თავდაცვის სამინისტროს იარაღი. ყველა ჩვენი იარაღი, მათ შორის ყველა ტიპის იარაღი, აღრიცხულია. აქედან გამომდინარე, რა მიმართულებით წავა გამოძიება, ამას უკვე გამოძიება დაადგენს. მე არანაირი განცხადებების გაკეთების უფლება არ მაქვს",** — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელოში სპეციალური სამალავებია აღმოჩენილი, სადაც, ფეთქებად ნივთიერებებთან ერთად, წამებისა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირები, ნარკოტიკები და წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მონაცემების შემცველი არქივია ნაპოვნი.

## «ნაციონალები» შეშფოთებას გამოთქვამენ

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.** როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ესაა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მცდელობა, პოლიტიკური მოტივებით შექმნილი დროებითი კომისიის მეშვეობით ჩაერიოს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში და კომისია გამოიყენოს პოლიტიკური ოპონენტების დევნისათვის.

მათივე ინფორმაციით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის პოლიტიკურ მოტივებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კომისია მხოლოდ 2004 წლის შემდგომი პერიოდის საქმეების შესწავლას აპირებს და ყურადღების მიღმა ტოვებს 2004 წლამდელი პერიოდის საქმეებს.

„ნაციონალურ მოძრაობაში" მიიჩნევენ, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს სასამართლო სისტემის გარეთ სისხლის სამართლის ნებისმიერი კონკრეტული საქმის განხილვას.

განცხადებაში „ნაციონალურ მოძრაობას" მაგალითად მოჰყავს ვენეციის კომისიის დასკვნის ის მუხლები, რომელიც იზიარებს შეშფოთებას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროგრამის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები იყო ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარი. კერძოდ, კრიტერიუმად დასახელებული იყო ის, რომ სტუდენტების შერჩევა აკადემიური მოსწრების საფუძველზე ხდებოდა, მაგრამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"-მ აღმოაჩინა ბევრი ისეთი სტუდენტი, რომელსაც მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, თუმცა ისინი ამ პროგრამაში ვერ მოხვდნენ. სამაგიეროდ, პროგრამაში მონაწილეობა მიაღებინეს ისეთ სტუდენტებს, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი სტუდენტური თვითმმართველობებისა და იმდროინდელი მმართველი პარტიის მიმართ.**

**რამდენიმე დღეა, აქტუალური გახდა ე.წ. პატრიოტთა ბანაკების თემა და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბანაკებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა facebook-ის საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა.**

# «პატრიოტებს» «იმედის ბავშვები» ჩაანაცვლებენ

პრეზიდენტი წერს, რომ მიესალმება პატრიოტთა ბანაკების განახლებას.

**„როგორც ვხვდები, მთავრობამ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება ანაკლიის ბანაკთან დაკავშირებით. თუმცა შეუცვალეს სახელწოდება და „პატრიოტების" ნაცვლად, ახლა „იმედის ბავშვები" ქვია. წინა წლებში, ამ ბანაკებში 20-22 წლის ახალგაზრდები დაგყავდა და როგორ ვუწოდებთ მათ ბავშვებს, არ ვიცი. ადგილობრივ მცხოვრებლებს პატრიოტთა მაისურები და კეპები უთხოვიათ, რაზეც ცივი უარი უთხრეს და გაანადგურეს — გაანადგურეს პატრიოტთა სიმბოლიკა, როგორც იდეოლოგიურად მავნე მასალა. ე.ი ქვეყნის გარეთ გვაქვს იზოლაციის საფრთხე, ხოლო ქვეყნის შიგნით სიტყვა „პატრიოტიც" არ გვინდა ვახსენოთ. სამწუხაროა, სიმბოლიკასთან ბრძოლა. სიტყვა „პატრიოტი" არ არის რომელიმე პარტიის საკუთრება — ეს არის ზოგადი ეროვნული ტერმინი",** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიმდინარე ამ პროგრამის მიმართ ბევრი კითხვა და პრეტენზიაა არსებობს. ამ თემაზე **ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამაც კი, როგორიც არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" გამოაქვეყნა დასკვნა „პოლიტიზებული ახალგაზრდული ბანაკები", სადაც საუბარია ბანაკების დაკომპლექტების წესსა და მათ პოლიტიკურ დატვირთვაზე.**

დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება 2005 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ყოველწლიურად ახორციელებს ახალგაზრდულ პროგრამას „პატრიოტი", რომელშიც სხვადასხვა ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდები მონაწილეობენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, ამ პროგრამის მონაწილეთა შერჩევა და მისი განხორციელება მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური ნიშნითა და მიზნებით ხდება, რაც სახელმწიფო სახსრების მმართველი პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს.

ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"-ს წარმომადგენელი, ლევან ნატროშვილი for.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ საკითხის შესწავლისას გამოვლინდა ორი ძირითადი პრობლემა. პირველი იყო ის, რომ **პროგრამის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები იყო ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარი. კერძოდ, კრიტერიუმად დასახელებული იყო ის, რომ სტუდენტების შერჩევა აკადემიური მოსწრების საფუძველზე ხდებოდა, მაგრამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო"-მ აღმოაჩინა ბევრი ისეთი სტუდენტი, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, თუმცა ისინი ამ პროგრამაში ვერ მოხვდნენ. სამაგიეროდ, პროგრამაში მონაწილეობა მიაღებინეს ისეთ სტუდენტებს, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილები სტუდენტური თვითმმართველობებისა და იმდროინდელი მმართველი პარტიის მიმართ.**

„მეორე პრობლემა იყო ამ პროგრამის შინაარსი. გაცხადებული გეგმების თანახმად, უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის (მაგალითად, უნარების, ლიდერის თვისებების შესახებ და ა.შ.) ტრენინგები, თუმცა როგორც ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია და, როგორც ძალიან ბევრმა სტუდენმა გვითხრა, იქ საუბარი იყო პოლიტიკაზეც და არჩევნებზეც, რადგან წინასაარჩევნო პერიოდი იყო. თავად პრეზიდენტი ესწრებოდა ამ შეხვედრებს, საუბრობდა არჩევნებზე და იმაზე, თუ რა მოხდებოდა მომავალში, თუკი არჩევნებში გაიმარჯვებდა არა „ნაციონალური მოძრაობა", არამედ მისი ოპონენტი პოლიტიკური ძალა", — აცხადებს ლევან ნატროშვილი.

მისი თქმით, ამ კუთხით საინტერესო იყო ასევე ის ფაქტი, რომ **პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს შემდგომში უკავშირდებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და სხვადასხვა ტიპის პარტიულ ღონისძიებებში მონაწილეობას სთხოვდნენ.** ნატროშვილის განმარტებით, ასევე სტუდენტთა გარკვეული ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის" ოფისში მიიყვანეს, დაათვალიერებინეს ოფისი, ჰპირდებოდნენ მათ სტაჟირებას, დასაქმებას, შესთავაზეს თანამშრომლობა, რაც ლევან ნატროშვილის თქმით, ადასტურებს ამ პროგრამის პოლიტიზებულობას.

**„ეს ფაქტები ადასტურებს იმ ეჭვს, რომ ეს პროგრამები გამოყენებული იყო საარჩევნო მიზნებისთვის და არა იმისთვის, რომ სტუდენტებს მართლაც რაღაც უნარები შეეძინათ, ან განათლება მიეღოთ, რაც მათ მომავალში გამოადგებოდათ",** — აღნიშნავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო"-ს წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შედგენილი განცხადების თანახმად, რომელსაც 700-დე ხელმომწერი ჰყავს, სტუდენტები რექტორისგან პროგრამის დეტალების განსაჯაროებას ითხოვდნენ, რადგან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 49 სტიპენდიანტიდან ანაკლიაში თითქმის არავინ წაუყვანიათ.

სტუდენტები ასევე განმარტავდნენ, რომ **უმაღლესი სასწავლებლებიდან პროგრამაში მონაწილეობდნენ მხოლოდ თვითმმართველობის წევრები და მათთან დაახლოვებული პირები. ამ მიზნით წინასწარ დგებოდა სიები, რომლებიც შემდგომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან თანხმდებოდა.**



**პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს შემდგომში უკავშირდებოდნენ «ნაციონალური მოძრაობის» ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და სხვადასხვა ტიპის პარტიულ ღონისძიებებში მონაწილეობას სთხოვდნენ**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო"-ს დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ პროგრამის მონაწილეებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები სთხოვდნენ, ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ მიეცათ, გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში კი ეთქვათ, რომ ტარდებოდა „სტუდენტური ფესტივალი 2012", რომლის ფარგლებშიც მონაწილეები მაღალი აკადემიური მოსწრების მიხედვით შეირჩნენ.

**„ჩვენი წყაროების ცნობით, ანაკლიაში ყოფნის პერიოდში სტუდენტები დაბანაკებულნი იყვნენ ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოქროს საწმისში", სადაც მათთვის ყველა სახის მომსახურება სრულიად უფასო იყო. სტუდენტებისთვის განკუთვნილი იყო სამჯერადი კვება, სადილსა და ვახშამზე 10 სახის საკვების დამატების უფლებით. ამასთანავე, ტარდებოდა კონცერტები პოპულარული მომღერლების მონაწილეობით. ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი მონაწილე აღფრთოვანებით იხსენებდა იქ გატარებულ პერიოდს და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" ხმის მიცემას პირობას იძლეოდა",** — ნათქვამია ორგანიზაციის დასკვნაში.

გავრცელებული ინფორმაციით, „სტუდენტური ფესტივალი 2012" (ლიდერთა სკოლა)-ისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა მილიონ 823 ათას 41 ლარი. პროგრამაში მონაწილეობა უნდა მიეღო 10 ათასამდე ახალგაზრდას, მაგრამ რეალურ მონაწილეთა რაოდენობა დადგენილი არ არის. **ლიდერთა სკოლაში რამდენიმე ახალგაზრდას პროტექციას უწევდა პირველი ლედი, მაგრამ მათი მაიდენტიფიცირებელი პირადი ნომრები დოკუმენტში მითითებული არ არის.**

ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" მიაჩნია, რომ ამ ტიპის ღონისძიებები უარყოფითად აისახებოდა საარჩევნო გარემოზე. დაირღვა ქართული კანონმდებლობა და უგულებელყოფილი იყო სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები:

მოცემულ სიტუაციაში სტუდენტებისთვის ხდება უფასო მომსახურების გაწევა — ტრანსპორტირება, სასტუმროებში დაბინავება ყველა ხარჯის ანაზღაურებით, გასართობი ღონისძიებები და ა.შ. **ეს ყველაფერი კი პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე მონაწილეებისთვის პირდაპირ ასოცირდება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან", რაც აშკარას ხდის ამ ინიციატივის საარჩევნო კონტექსტს. თავის მხრივ, ასეთი ქმედება სისხლის სამართლებრივ დანაშაულად — ამომრჩევლის მოსყიდვად შეიძლება ჩაითვალოს.**

ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ დახარჯული თანხები ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებასთან ერთად, პარტიისთვის უკანონო შემოწირულებაც არის.

**„ასეთი ქმედებები რიგ საერთაშორისო პრინციპებსაც არღვევს. სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის (1990) შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოს და პოლიტიკური პარტიის მკაფიო გამიჯვნა. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ასოცირდება პოლიტიკურ პარტიასთან და ემსახურება მის მიზნებს, რაც ცალსახად შლის ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის",** – აცხადებენ ორგანიზაციაში.

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე, რატი ბრეგაძე** for.ge-სთან საუბარში ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები ბუნდოვანი იყო. კერძოდ, პრეზიდენტის 2012 წლის 4 აპრილის განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მერიას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ, თავიანთი ასიგნებების ფარგლებში პროგრამა „პატრიოტის" მონაწილე ბავშვებისა და სტუდენტების შერჩევა და ტრანსპორტირება. მინისტრის მოადგილის თქმით, **არსებობდა ინფორმაციები, რომ ახალგაზრდები მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალისადმი სიმპათიით განწყობის მიხედვით შეარჩიეს.**

**„ჩვენ ასეთ კრიტერიუმებზე უარი ვთქვით და განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად სკოლებთან გვაქვს შეთანხმება, რომ თავად სკოლები შეარჩევენ პროგრამაში მონაწილეობისთვის ახალგაზრდებს 15-დან 18 წლამდე და შერჩევის მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ ესენი უნდა იყვნენ წარჩინებული მოსწავლეები. ამასთანავე, თუკი წარჩინებულ მოსწავლეებს შორის აღმოჩნდება დევნილი, ან სოციალურად დაუცველი, ამ შემთხვევაში სკოლებმა პრიორიტეტი მათ უნდა მიანიჭონ",** — ამბობს რატი ბრეგაძე.

იგი, პროგრამა „პატრიოტის" ფარგლებში, თანხების ხარჯვის მიზნობრიობაზეც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, მისი თქმით, არსებობს 2012 წლის ოქტომბერში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკის დასუფთავებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „თათა კილასონია" 1828 ლარის სამუშაო შეასრულა, ანუ დაასუფთავა კოტეჯები, ეზო, სამზარეულო და ა.შ. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ანაკლიის ბანაკის დირექტორი, უჩა ვარამიშვილი, მაგრამ მინისტრის მოადგილის განმარტებით, როდესაც სამინისტროს თანამშრომლები ადგილზე ვითარების გასაცნობად ჩავიდნენ, გაირკვა, რომ არანაირი დასუფთავების სამუშაოები ბანაკში ჩატარებული არ ყოფილა. თუმცა აქვე რატი ბრეგაძე დასძენს, რომ მსგავს ფაქტებზე რეაგირება თავად სამინისტროს კომპეტენციის ზღვარს სცილდება და ამიტომ მასალები შემდგომი მოკვლევისთვის შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნება.

**for.ge-ს მიხედვით**

ოსმანთა დინასტიის სტაბილურობის ერთ-ერთი მიზეზი, მიიჩნევენ ისტორიკოსები, რომელიც 700 წელიწადს შეურყევლად იდგა, ქალის საუკეთესო ტიპის ამორჩევით აიხსნება, „სულთნის ცოლად ლამაზი ქალიშვილების თითქმის პლანეტარულ და, რაც მთავარია, მომავალი სულთნების დედობის ღირსთა ძიებით“.

ჰაჰ, დრონი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“ ადაპტირებული თარგმანის პუბლიკაციას.
წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯპუტთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში. პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-21 (204-208)

სულთნის ჰარამხანა — ოსმანთა კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი მოვლენა — საიდუმლოების ბურუსით იყო მოსილი.

„სიხარულის სახლში“ მოსახვედრად გასავლელი იყო „გარე ეზო“, სადაც სახელგანთქმული „იანიჩარების ჭადარი“ იზრდებოდა. აქ იკრიბებოდნენ ამბოხებული იანიჩარები და არ იშლებოდნენ მანამდე, სანამ კარიბჭესთან არ გამოდებდნენ დიდებულის მოკვეთილ თავს, რომლის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ „სულთნის ლომები“. **ერთხელ მათი მოთხოვნა სულთნის დედასაც შეეხო — „ბოროტ დედაბერ ბაფის“. ამავე ეზოში იდგა „ქვასანაყი“, რომელშიც, სულთნის ბრძანებით, შეეძლოთ არასასურველი ულების** (მუსლიმი ღვთისმსახურების) **„დანაყვა“, რომელთა სისხლის დაღვრას კანონი კრძალავდა.**

ეზოს მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო სხვადასხვა საფინანსო დაწესებულება, ლიმონის ბაღი, თონე და საავადმყოფო, რომელიც მთელ სერალს ემსახურებოდა.

მარცხენა მხარეს იდგა წმიდა ირინეს ეკლესია, რომელიც ყველა დროში ქრისტიანი რჩებოდა, არსენალი, საგადასახადო, ფისკალური და სხვა უწყებები.

პირველი ეზო ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. იქ უშვებდნენ ყველას, წოდებისა და რწმენის მიუხედავად. ეზო ცენტრალურ კარიბჭესთან მთავრდებოდა. **აქ იდგა ორი „ჭკუის სასწავლებელი“ ლოდი, სადაც XIX საუკუნემდე გამოდებდნენ დამნაშავე დიდებულების მოკვეთილ თავებს. ამ ლოდების გვერდით ჩუხჩუხებდა შადრევნის წყალი, რომლითაც სულთნის მთავარი ჯალათი და მისი თანაშემწეები ხელებიდან დასჯილთა სისხლს ჩამოიბანდნენ ხოლმე.**

მეორე ეზოში იყო სახელმწიფო ხაზინის შენობა, სადაც იანიჩარები ხელფასს იღებდნენ. ფულის გაცემას ელჩების მიღების დღეს ამთხვევდნენ, რათა მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რა მდიდარი იყო იმპერია. ამ მიზნით პირდაპირ მიწაზე გამოდებდნენ ფულით სავსე ტომრებს, რომლებსაც ეწერა, თუ საიდან იყო გამოგზავნილი. ფულისადმი ამგვარ დაუდევარ დამოკიდებულებას ხსნიდნენ იმით, რომ სალარო ველარ იტევს ამდენ თანხას. **აქვე ეწყობოდა სხვადასხვა დღესასწაული. ამ ეზოს ალაი მეიდანი — აღლუმების მოედანი ეწოდებოდა. ევროპელებმა მას „დიპლომატიური“ შეარქვეს, რადგან სწორედ აქ ხდებოდა ელჩების მიღება.**

**ეზოს მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო სამზარეულო, მარცხენა მხარეს — იმპერიის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულება — დივანი** (სათათბირო საბჭო).

მეორე ეზოს უამრავი გასასვლელი, მათ შორის, საიდუმლო გასასვლელიც ჰქონდა. **განსაკუთრებულ ყურადღებას კი იმსახურებდა მდიდრულად მორთული ნეტარების ალაყაფის კარი, რომელიც აღმართული იყო მესამე, ყველაზე შეუვალი ეზოს შესასვლელში. იქ იყო მიღებათა სასახლე, ბიბლიოთეკა, საგანძური, სულთნისა და მისი ოჯახის (ჰარამხანის) საცხოვრებელი სავანე, საჭურისების შენობა და მეჩეთი.** ნეტარების ალაყაფის კარიდან ამბოხებულ იანიჩარებს მიუგდებდნენ ხოლმე დიდებულებს. აქვე აცხადებდნენ ახალი სულთნის ტახტზე დაბრძანების ამბავს და აქედანვე გაასვენებდნენ გადატრიალების შედეგად დახოცილ მბრძანებლებს. გარეშეებს აქ მოხვედრა არ შეეძლოთ, ალაყაფის კარს ოცდაათი საჭურისი იცავდა.

**„სიხარულის სახლი“, რომელშიც 400-მდე დიდი და პატარა ოთახი იყო, სულთნის პირადი აპარტამენტებისა და საჭურისების სათავსებს შორის მდებარეობდა. ჰარამხანაში შესასვლელი კარი განთიადისას იღებოდა და ღამე ჩარაზული იყო.**

სერალის ეზოები განსაკუთრებული სიჩუმით გამოირჩეოდა, თანაც ყოველ მომდევნო ეზოში უფრო მეტი სიწყნარე იყო, ვიდრე წინაში. ევროპელი მოგზაური ტურნეფო 1770 წელს წერდა: **„სერალის პირველ ეზოში ყველას შეუძლია შევიდეს... იქ ისეთი სიჩუმეა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებთ. თუ ვინმე ხმას აღიმაღლებს ან სხვაგვარად გამოხატავს უპატივცემლობას სულთნის რეზიდენციის მიმართ, მას იმწამსვე დასცხებს ჯოხს წესრიგის დამცველი ოფიცერი. თითქოს ცხენებსაც კი ესმით, სად იმყოფებიან: მათ, ეტყობა, ასწავლიან, რომ აქ უფრო ჩუმად გადადგან ნაბიჯები, ვიდრე ქუჩაში“.**

მესამე ეზოში სიჩუმე მაქსიმალური იყო და არც იყო გასაკვირი, რადგან აქედან იწყებოდა სერალში მცხოვრები უმაღლესი სტატუსის ადამიანების სავანე.

ჰარამხანის გარედან უბრალო შენობა შიგნით დიდებულად იყო მოწყობილი. რაც უფრო მაღალი იყო აქ მცხოვრები ქალის სტატუსი, მით უფრო მდიდრული იყო მისი საცხოვრისი. საერთო საძინებელ ოთახებში ცხოვრობდნენ მოცეკვავე ქალები და სულთნის ცოლების მოსამსახურე გოგოები. **ცოლებისა და ხარჭების ოთახები სულთნის საძინებლის გვერდით იყო განლაგებული. სასახლის ამ ნაწილში საპატიო ადგილი ეკავა სულთნის დედას (ვალიდეს) — ჰარამხანის მბრძანებელს.**

## როლების განაწილება

ჰარამხანა რთული, მრავალიარუსიანი სამყარო იყო, მკაცრი იერარქიით, საგულდაგულოდ დამუშავებული ეტიკეტითა და უამრავი წესითა და რიტუალით, რომელთაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყველა იქ მცხოვრები. **მთავარი თავის „სიხარულის სახლში“, რა თქმა უნდა, იყო სულთანი, ხოლო მის გვერდით ადგილის დასაკავებლად გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა, რომელიც წლობით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.** ამ ბრძოლაში გამარჯვებულები ისეთ ძალაუფლებას იძენდნენ, რომ ევროპისა და აზიის ძლევამოსილ მბრძანებლებსაც შეშურდებოდათ.

ამ სიმაღლეების მიღწევა ჰარამხანის ათასობით მცხოვრებთაგან მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ. ვალიდეს — მმართველი სულთნის დედის ტიტულამდე აღმავალი კიბე მრავალსაფეხურიანი და შვეული იყო. ამ კიბეზე ასვლა და, რაც მთავარია, იქ დამკვიდრება შეეძლო მხოლოდ იმათ, ვისი გასაოცარი სილამაზეც უმაღლეს ინტელექტს იყო შერწყმული, ვინც არაჩვეულებრივი გამძლეობითა და სულის სიმხნევით იყო დაჯილდოებული. **ოსმანთა დინასტიის სტაბილურობის ერთ-ერთი მიზეზი, მიიჩნევენ ისტორიკოსები, რომელიც 700 წელიწადს შეურყევლად იდგა, ქალის საუკეთესო ტიპის ამორჩევით აიხსნება, „სულთნის ცოლად ლამაზი ქალიშვილების თითქმის პლანეტარულ და, რაც მთავარია, მომავალი სულთნების დედობის ღირსთა ძიებით“** *(სელიმ ჩელები).*

თავდაპირველად ჰარამხანაში მხოლოდ მონა ქალები ჰყავდათ, ცოლებად კი მოჰყავდათ მეზობელი ქვეყნების ქრისტიანი მბრძანებლების ქალიშვილები. ეს ტრადიცია კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ შეიცვალა, როცა სულთნებმა ცოლებად ოდალისების (არაბული სიტყვიდან „ოდა“ — ოთახი, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს, მოსამსახურე ქალს, ოთახის გოგოს) მოყვანა დაიწყეს. **ჰარამხანაში დაბადებულთა გარდა, აქაურობა ივსებოდა აზიის, აფრიკის, ზოგჯერ ევროპის ყველა კუთხიდან ჩამოყვანილი მშვენიერი ასულებით.**

ბევრი გოგონა ჰარამხანაში მონათა ბაზრიდან ხვდებოდა, ზოგჯერ სულთანს საჩუქრებად მიართმევდნენ ლამაზმანებს მეზობელი ქვეყნების მპყრობელები ან იმპერიის პროვინციების გუბერნატორები, რომლებიც ამით მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ. ჩუქნიდნენ ხარჭებს ნათესავებიც. **ტრადიციულად, ყურბან ბაირამის** (მსხვერპლშეწირვის დღეს) **სულთანს დედა ქალიშვილ ხარჭას მიართმევდა. არც დები-პრინცესები აკლებდნენ ყურადღებას თავიანთ ძმა სულთანს.**

მონათვაჭრობა უძველესი დროიდან ყვაოდა, ყველა დიდ ქალაქში იყო მონების ბაზარი, რომელშიც ცოცხალი საქონლის ყიდვა შეიძლებოდა. **ყველაზე სახელგანთქმული ბაზარი ბაღდადში იყო, რომელიც 750-1258 წლებში წარმატებით ფუნქციონირებდა. ოტომანების ჰარამხანაში პირველი მონა-ქალები სულთან ორხანის დროს (1326-1359 წწ.) გამოჩნდნენ. ეს ის ოხრანია, რომელმაც იანიჩარების სახელგანთქმული კორპუსი დააარსა.**

მონათა ბაზარში საქონლის მდიდარი „ასორტიმენტი“ იყო. იშვიათი ნიჭიერებით გამორჩეული ჭაბუკები, შესანიშნავი ხელოსანი-ოსტატები, მუსიკოსები, კასტრირებული ბიჭები, გოგონები და ქალები შავი სამუშაოების შესასრულებლად და ლამაზმანები გასართობად პატრონების, რომელთა საოცნებო სხეულის შეხება „მზის სხივსაც ვერ გაებედა“ (შეადარეთ ქართულ „მზეთუნახავს“).

**მონათვაჭრობის უდიდესი ცენტრები იყო ალექსანდრია და კაირო.**

მონების დიდი ნაკადი ჩამოჰყავდათ ოსმანებისთვის უკრაინიდან და რუსეთიდან. ასიათასობით ტყვექალი გადმოჰყავდათ ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით მას შესდეგ, რაც ყირიმი თურქეთის იმპერიაში შევიდა. **თურქულ გენოფონდში აღმოსავლეთსლავური სისხლის შერწყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ XIX საუკუნის ბოლოსთვის და XX საუკუნის დასაწყისისთვის სტამბოლელი თურქის იდეალურ ტიპად ქერათმიანი და ცისფერთვალება მამაკაცი ითვლებოდა, რომლებზეც, ტრადიციულად, დღესაც ოცნებობენ თურქი გოგონები.** თურქეთში წასხმული სლავების პერსპექტივა სავალალო იყო: მათ ელოდათ უმძიმესი სამუშაო და ნაადრევი სიკვდილი ან ასიმილაცია ენისა და სარწმუნოების შეცვლით. **რუს და უკრაინელ ტყვეებს აზოვისა და სტამბოლის ბაზრებში ჰყიდდნენ. ტყვეთა მდიდარ წყაროებად ითვლებოდა საქართველო, სომხეთი, ჩერქეზეთი.**

მონათა ბაზრის გვერდით იყიდებოდა ცხენები, ვირები, ცხვრები, ქათმები და ისე ჩანდა, რომ მეტყველნი და პირუტყვნი ერთნაირად უემოციოდ იყვნენ შერიგებულნი თავიანთ ბედს.

**სულთნის ჰარამხანისთვის ქალიშვილების შერჩევას განსაკუთრებული ყურადღებითა და მონდომებით ეკიდებოდნენ. „სიხარულის სახლის“ მომავალი შემატების სხეული სრულყოფილი უნდა ყოფილიყო, სახე — ულამაზესი.**

ზოგჯერ 5-7 წლის გოგონებს ღარიბი მშობლებისგან ყიდულობდნენ. ისინი ხელს აწერდნენ დოკუმენტს, რომ თავიანთი ნებით გაყიდეს ბავშვი და დღეის ამას იქით მასზე არავითარი პრეტენზია არა აქვთ. „საქონლის“ ფასის ასაწევად გოგონებს ასწავლიდნენ მუსიკას, სიყვარულის ეტიკეტსა და ხელოვნებას. ასე ზრდიდნენ ფიზიკური განვითარების სრულყოფამდე და შემდეგ **„სანამ კვირტი ყვავილად არ გაშლილა, მაგრამ უკვე შეიძლება განსჯა იმისა, რაოდენ შესანიშნავი იქნება მისი სურნელება“,** ჰყიდდნენ ჰარამხანისთვის.

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დეკლარაციით, შეიძლება იმის გაგება, თუ რა ღირდა მონათა ბაზარზე ასეთი „საქონელი“: **„8 წლის ჩერქეზი გოგონა; 10 წლის აბისინიელი ქალიშვილი; 15 ან 16 წლის ჩერქეზი გოგო; დაახლოებით 12 წლის ქართველი გოგონა; 17 წლის საშუალო სიმაღლის ზანგი ქალიშვილი, ზანგი მონა ქალი. ღირებულება 1000-2000 ყურუში“.** ცხენი იმ დროს 5000 ყურუში ღირდა. ყურუში თურქული ლირის ერთ მეასედს უდრიდა.

ჰარამხანების ქალების ფასი ყველაზე მაღალი იყო სულთან მურად III-ს (1574-1595 წლები) დროს, რომელიც ლამაზმანების თავისი „კოლექციის“ მუდმივ განახლებაში იყო.

**გაგრძელება იქნება**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მრავალრიცხოვანი კომისიების წევრება, რომლებიც აშკარად ანტისტალინური განწყობილებით გამოირჩეოდნენ, ვერავითარი მტკიცებულება ვერ იპოვეს კიროვის მკვლელობაში სტალინის მონაწილეობის დამადასტურებელი.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-21 (204-208)

## პარტიულ ბრძენთა ოქმები

თავდაპირველად ნიკოლაევი დაკითხვების დროს ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ კიროვის მკვლელობა მოამზადა და განახორციელა მხოლოდ მან. მაგრამ შემდგომ შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ იგი იატაკქვეშა ზინოვიევური ორგანიზაციის დავალებით მოქმედებდა.

**1934 წლის 28-29 დეკემბერს ლენინგრადში გაიმართა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დახურული სასამართლო სხდომა. ნიკოლაევის გარდა სასამართლოს წინაშე წარდგა კიდევ 13 ადამიანი ყოფილ ზინოვიეველთა რიგებიდან. ყველანი დამნაშავეებად იქნენ ცნობილი და მიესაჯათ დახვრეტა ქონების კონფისკაციით.**

სკკპ XX ყრილობის დამთავრებისთანავე, **1956 წლის 13 აპრილს შეიქმნა კომისია ვიაჩესლავ მოლოტოვის თავმჯდომარეობით კიროვის მკვლელობის ვითარებათა შესამოწმებლად.** ერთი წლის შემდეგ, 1957 წლის აპრილში კომისიამ გამოიტანა ასეთი დასკვნა: **კიროვის მკვლელობა ჩაიდინა ნიკოლაევმა, რომელიც არასოდეს ყოფილა დაკავშირებული ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციასთან.** მაგრამ კომისიის მუშაობის შედეგებზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

**1960 წელს კიროვის მკვლელობის საქმე ხელმეორედ შეამოწმა სკკპ ცკ პრეზიდიუმის მიერ შექმნილმა კომისიამ ნიკოლაი შვერნიკის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ სკკპ ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტს თავმჯდომარეობდა.** ამ კომისიის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ **„...ს. მ. კიროვის მკვლელობა ორგანიზებული და განხორციელებული იყო შინსახკომის თანამშრომლების მიერ სტალინის მითითებით. ს. მ. კიროვის მცველი ოპერკომისარი ბორისოვი, რომელიც სტალინთან დაკითხვაზე იყო გამოძახებული, დაიღუპა არა ავტოავარიის შედეგად, არამედ განზრახ იყო მოკლული შინსახკომის თანამშრომლების მიერ, რომლებიც მას მიჰყვებოდნენ“** *(სსრკ უზენაესი სასამართლოს მაცნე. 1991. №5, გვ. 16).*

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დასკვნა ზუსტად ესადაგებოდა ხრუშჩოვის ანტისტალინურ განწყობილებებს, **1961 წლის მაისში იმავე შვერნიკის თავმჯდომარეობით იქმნება ახალი კომისია კიროვის საქმის ხელმეორედ გამოსაძიებლად.** ამ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცკ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლები, უკვე რამდენიმეჯერ ნახსენებ ოლგა შატუნოვსკაიას ჩათვლით, სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი პეტრე პოსპელოვი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრკ-ის პროკურატურის წარმომადგენლები.

შედეგად მიღებული იყო უამრავი ჩვენება, წერილი, განცხადება, ახსნა-განმარტებითი ბარათი. ზოგიერთმა პირმა რამდენიმეჯერ მისცა ჩვენება და, როგორც წესი, პირველ ჩვენებებს მომდევნოებში პირწმინდად აქარწყლებდნენ. უმრავლესობა, ვინც ეს კომისია გაიარა, არ ყოფილა სმოლნის ტრაგედიის თვითმხილველი — სადღაც, ოდესღაც, ვიღაცის მიერ მონათხრობს იმეორებდა. დასკვნით ცნობაში, რომელსაც ხელს აწერდა კომისიის ყველა წევრი, ნათქვამი იყო: **„ნიკოლაევი მარტოხელა ტერორისტი იყო... სტალინმა კიროვის მკვლელობა გამოიყენა ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერების, ასევე, მათი ყოფილი მომხრეების ფიზიკური იზოლაციისთვის და მათ გასანადგურებლად“. ეს დასკვნა 1957 წლის დასკვნის იდენტური იყო.**

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ ა. ი. პელშეს თავმჯდომარეობით სკკპ ცკ-ის ახალი კომისია შეიქმნა კვლავ კიროვის მკვლელობის გამოსაძიებლად. მის შემადგენლობაში შევიდნენ სსრკ-ის პროკურატურის, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სკკპ ცკ-ის წარმომადგენლები. კომისია თითქმის სამი წლის განმავლობაში მუშაობდა (1963-დან 1967 წლამდე). გამოიკითხნენ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ კიროვთან ერთად ან შეხვედრიან მას, ჩამოართვეს ჩვენებები შინსახკომის, სსრკ-ის პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს ყოფილ თანამშრომლებს, შეისწავლეს უამრავი საარქივო დოკუმენტი, ჩაატარეს სხვადასხვა ხასიათის ექსპერტიზა, შეამოწმეს ასობით წერილი და განცხადება, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავდა. ამ დაძაბული შრომის შედეგად დაასკვნეს: **კიროვი მოკლა ნიკოლაევმა, ბორისოვი შემთხვევით გარდაიცვალა ავტოავარიის დროს.**

დაბოლოს, 1990 წლის 30 ნოემბერს გაიმართა სსრკ უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც გააუქმა ნიკოლაევის 13 თანამონაწილის მიმართ მიღებული განაჩენი და ძალაში დატოვა განაჩენი, რომელიც თავად ნიკოლაევს გამოუტანეს.

ამრიგად, **მრავალრიცხოვანი კომისიების წევრება, რომლებიც აშკარად ანტისტალინური განწყობილებით გამოირჩეოდნენ, ვერავითარი მტკიცებულება ვერ იპოვეს კიროვის მკვლელობაში სტალინის მონაწილეობის დამადასტურებელი.**

1989 წლის 3 აგვისტოს იაკოვლევის კომისიის სხდომაზე თავის გამოსვლაში სსრკ გენერალურმა პროკურორმა ა. ი. სუხარევმა აღნიშნა:

„სკკპ XX ყრილობის შემდგომ, 1956 წლიდან 1967 წლამდე პერიოდში, კიროვის მკვლელობის გარემოებანი არაერთხელ იყო შესწავლილი სკკპ ცკ-ს მიერ ამ მიზნისთვის შექმნილი კომისიების მიერ მოლოტოვის, შვერნიკის (ორჯერ) და პელშეს თავმჯდომარეობით.

მათგან სამი, რომლებიც სხვადასხვა დროს (1951, 1961, 1967 წლებში) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდა, ერთსა და იმავე დასკვნამდე მივიდა: რომ **ლენინგრადში იატაკქვეშა ტერორისტული ზინოვიევური ორგანიზაცია და ე. წ. ლენინგრადის ტერორისტული ცენტრი არ არსებობდა, რომ კიროვის მკვლელობაში დამნაშავეა მხოლოდ ნიკოლაევი, ხოლო მასთან ერთად პასუხისგებაში მიცემული პირები დაუსაბუთებლად არიან მსჯავრდებულნი.**

მხოლოდ იმ კომისიამ, რომელიც 1960 წელს შვერნიკის თავმჯდომარეობით მუშაობდა, სკკპ ცკ-ისთვის წარდგენილ წერილში მიუთითა, რომ **კიროვის მკვლელობა განხორციელებული იყო შინსახკომის თანამშრომლების მიერ სტალინის მითითებით.**

ამ კომისიის დასკვნები ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმის, მომდევნო შემოწმებების მასალებს და ამიტომ უსაფუძვლოა.

**არ არსებობს რაიმე მონაცემი, რომელიც ობიექტურად დაასაბუთებდა სტალინისა და შინსახკომის თანამშრომლების მონაწილეობას კიროვის მკვლელობაში.**

ცალკეული ვარაუდი და გამონათქვამი, რომლებიც ზოგიერთი მოქალაქის განცხადებებსა და წერილებში, აგრეთვე, ჩვენს პრესაში ამის თაობაზე ბოლო დროს გამოქვეყნებულ მასალებშია თავმოყრილი, ფაქტობრივ მასალას არ ეფუძნება“ *(რეაბილიტაცია: როგორც იყო. ტომი III, გვ. 263).*

1930-იანი წლების ვერსია, თითქოს მკვლელობა იატაკქვეშა ზინოვიევური ორგანიზაციის დავალებით იყო განხორციელებული, დღეს არცთუ დამაჯერებლად ჟღერს. მკვლელობა ნიკოლაევმა, როგორც ჩანს, მართლაც მარტომ ჩაიდინა.

სხვა საქმეა, რომ საკ. კპ (ბ) ლიდერობისთვის ბრძოლაში დამარცხებული ყოფილი ზინოვიეველები „გადაგვარებული სტალინური ბიუროკრატიის“ გაუთავებელი მხილებით ამგვარი ქმედებისთვის ფრიად შესაფერის მორალურ ატმოსფეროს ქმნიდნენ. 1934 წლის 19 დეკემბერს ნიკოლაევთან ერთად ბრალდებულმა კოტოლინოვმა დაკითხვაზე განაცხადა: **„ჩვენ ისეთ განწყობილებას ვქმნიდით, რომელსაც ობიექტურად პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორამდე უნდა მივეყვანეთ“** (ა. კირილინა, უცნობი კიროვი, 2001, გვ. 411).

ამ თავის დამაგვირგვინებლად უთუოდ გამოდგება ნ. თ. კატკოვის წერილი, რომლითაც მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა:

**„1991 წლის 22 აგვისტო.**

**სკკპ ცენტრალურ კომიტეტს**

სკკპ ცკ-ის დავალების თანახმად, დამთავრდა ო.გ. შატუნოვსკაიას წერილის შემოწმება, რომელშიც იგი მიუთითებდა ს. მ. კიროვის მკვლელობის ვითარების შემოწმების ფაქტების მისეულ ხედვაზე.

საბჭოთა კავშირის პროკურატურის, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სკკპ ცკ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის მიერ 1988-1990 წლებში გულდასმით შემოწმდა კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და მასალა.

**დადგენილია, რომ 1934 წლის 1 დეკემბერს კიროვის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი მომზადებული და განხორციელებული იყო ნიკოლაევის მიერ.**

შინსახკომის ორგანოების თანამშრომლებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სტალინის მტკიცებებით კიროვის მკვლელობაში ზინოვიელების მონაწილეობის შესახებ, ხელოვნურად დაუკავშირეს ნიკოლაევი ზინოვიევის ოპოზიციის ყოფილ მონაწილეებს: კოტოლინოვს, რუმიანცევს, ტოლმაზოვსა და სხვებს (სულ 13 ადამიანს), მოახდინეს „ლენინგრადის“, „მოსკოვის“ ცენტრების, „საფაროვის, ზალუცკისა და სხვების ლენინგრადის კონტრრევოლუციური ჯგუფის“, „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“, „გაერთიანებული“, „პარალელური“ ცენტრების სისხლის სამართლის საქმეების ფალსიფიცირება. დასახელებულ საქმეებზე უსაფუძვლოდ იყო რეპრესირებული საბჭოთა ადამიანების ჯგუფი, რომელთა უმრავლესობა დაიხვრიტა.

**კიროვის მკვლელობის საქმის შემოწმების შედეგების საფუძველზე სსრკ გენერალურმა პროკურორმა შეიტანა პროტესტი, რომელიც 1990 წლის 30 ნოემბერს განიხილა სსრკ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა. ყველა პირი, ვინც ამ საქმის გამო, ნიკოლაევის გამოკლებით, სისხლის სამართლის პასუხის-** ▶

**«1990 წლის 30 ნოემბერს გაიმართა სსრკ უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც გააუქმა ნიკოლაევის 13 თანამონაწილის მიმართ მიღებული განაჩენი და ძალაში დატოვა განაჩენი, რომელიც თავად ნიკოლაევს გამოუტანეს»**

## აშშ-ის კონგრესმა კენჭი უყარა ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს

**აშშ-ის კონგრესმა ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს უყარა კენჭი. დოკუმენტი კონგრესმა 315 ხმით მიიღო, წინააღმდეგი იყო – 108, თავი შეიკავა 11-მა.**

ეროვნული თავდაცვის აქტში, რომელიც აშშ-ის 2014 წლის თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვისთვისაა საჭირო, ერთ-ერთი მუხლი საქართველოს ეთმობა.

როგორც აქტის 1244-ე მუხლში, სახელწოდებით **„კონგრესის აზრი საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“,** ნათქვამია, რომ აშშ-მა საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა უნდა გააღრმავოს.

**„კონგრესის აზრია, რომ აშშ-მა საქართველოსთან თავდაცვის სფეროში გააღრმავოს თანამშრომლობა და მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, უზრუნველყოს საკუთარი სახელმწიფოს, ხალხისა და ტერიტორიული მთლიანობა“,** — ნათქვამია აშშ-ის ეროვნული თავდაცვის აქტში.



მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1935 წლის 7 აპრილის დადგენილებაში ჩამოთვლილი დანაშაულობანი იმდროინდელი სს კოდექსით მოზრდილი ადამიანისთვისაც კი არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას... ჰუმანური და ცივილიზებული აშშ-ისგან განსხვავებით, ტოტალიტარულ სტალინურ სსრკ-ში არასრულწლოვანთა მიმართ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ.

### ◀ გეგაში იყო მიცემული, რეაბილიტირებულია...

შატუნოვსკაიას მტკიცება საიდუმლო თათბირის შესახებ, რომელიც საკ. კპ(ბ) XVII ყრილობის დროს გაიმართა, საქმის მასალებით არ დგინდება. სიმართლეს არ შეეფერება მისი განცხადება პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნების ფალსიფიცირების შესახებ. შემოწმებით გაირკვა, რომ კიროვის მკვლელი ნიკოლაევი შინსახკომის ორგანოების მიერ ერთხელ იყო დაკავებული — 1934 წლის 15 ოქტომბერს და **არავითარი დავალება კიროვის მოკვლის შესახებ შინსახკომის თანამშრომლებისგან არ მიუღია და წინასწარი გამოძიების დროს ფიზიკური ზემოქმედების ღონისძიებები არ განუცდია. კიროვის მცველი ოპერკომისარი მ. ვ. ბორისოვი 1934 წლის 2 დეკემბერს საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა.**

შატუნოვსკაიას განცხადებამ „მნიშვნელოვანი" დოკუმენტების შეცვლისა და გაქრობის შესახებ დადასტურება ვერ ჰპოვა.

შატუნოვსკაიას მიერ დასახელებული ცნობა, რომლის მიხედვით სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა საგამოძიებო კომისიას წარუდგინა 1935-1941 წლებში 19 მილიონ 840 ათასი ადამიანის რეპრესირების შესახებ, ეწინააღმდეგება სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მის მიერვე 1960 წელს წარდგენილ ცნობას, რომელშიც დასახელებულია რიცხვი — 2 მლნ ადამიანი.

შარშან ო. გ. შატუნოვსკაია გარდაიცვალა.

**რსფსრ კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. კატკოვი"** *(რეაბილიტაცია: როგორც იყო. ტომი III, გვ. 596-597).*

## როგორ იმეტებდა შინსახკომი ბავშვებს

„სტალინის ბოროტმოქმედებათა" მხილებით გატაცებულ ადამიანებს უყვართ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) 1935 წლის 7 აპრილის დადგენილების „არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" ხშირ-ხშირად გახსენება, რომელმაც თითქოს დააკანონა არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა 12 წლის ასაკიდან მოყოლებული.

რა ეწერა ამ დადგენილებაში?

**„არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის უსწრაფესად ლიკვიდაციის მიზნით სსრკ-ის ცკ და სახკომსაბჭო ადგენს:**

**1. არასრულწლოვანები, 12 წლის ასაკიდან მოყოლებული, რომლებიც იმხილებიან ქურდობაში, ძალადობაში, სხეულის დაზიანებასა და დასახიჩრების მიყენებაში, მკვლელობასა ან მკვლელობის მცდელობაში მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გათვალისწინებული ყველა ზომის გამოყენებით;**

**2. პირები, რომლებიც მხილებული იქნებიან წაქეზებაში ან არასრულწლოვანთა იძულებაში მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე, სპეკულაციაში, პროსტიტუციაში, მათხოვრობასა და მისთ. — დაისაჯონ ციხეში ჩასმით არანაკლებ 5 წლით".**

**ასეთია ორი მთავარი მუხლი აღნიშნული დადგენილებიდან და არც ერთ მათგანში სიკვდილით დასჯა მინიშნებულიც არ არის.**

მიუხედავად ამისა, სტალინს აბრალებენ, რომ „ცივილიზებულ მსოფლიოში არნახული" სასჯელის შემოღება აშკარა დადასტურებაა მისი პირსისხლიანობის.

ვნახოთ, რა ვითარება იყო და არის „ცივილიზებულ მსოფლიოში" და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**ჯერ კიდევ 1990 წლისთვის აშშ-ის რიგი შტატების კანონმდებლობა შესაძლებლად თვლიდა არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯას. დამნაშავის მინიმალური ასაკი, ვისთვისაც შეიძლება მიესაჯათ სიკვდილი, ორ შტატში** (არკანზასსა და ჩრდილოეთ კაროლინაში) **14 წელი იყო, 11 შტატში — 16 წელიწადი, კიდევ სამ შტატში — 17 წელიწადი.**



1920-იანი წლების უპატრონო ბავშვები

> **«უამრავ საარქივო მასალაზე მუშაობის პროცესში (როგორც ავტორის, ასევე მისი კოლეგების) სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მაგალითები ვერ იქნა აღმოჩენილი»**

მივუბრუნდეთ სტალინის ეპოქას, კერძოდ, ზემოთ ციტირებულ დადგენილებას. 1935 წლის 7 აპრილის დადგენილება მართლა ადგენდა თუ არა არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯას?

არა, რადგან **ეს დადგენილება არ აუქმებდა სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის მუხლს, რომელიც კრძალავდა 18 წლამდე ასაკის პირების სიკვდილით დასჯას. არასრულწლოვანთა წინააღმდეგ შეიძლებოდა მხოლოდ სოციალური დაცვის სამედიცინო-პედაგოგიური ხასიათის ღონისძიებათა გამოყენება.**

ხაზგასმული იყო (იხ. 22-ე მუხლი), რომ **„დახვრეტა არ შეიძლება მიესაჯოს პირებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის 18 წელს არ იყვნენ მიღწეული, და ქალებს, რომლებიც ორსულ მდგომარეობაში იმყოფებიან".**

მოდით, ვნახოთ, რა სასჯელი ელოდა ზრდასრულ დამნაშავეს. ირკვევა, რომ წინასწარგანზრახული მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებული იყო 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯებოდა 8 წლამდე პატიმრობით, მაგრამ, თუ ეს გახდებოდა დაზარალებულის სიკვდილის მიზეზი, ან ჩადენილი იყო წამების ხასიათის მქონე მოქმედებით — 10 წლამდე პატიმრობით. გაუპატიურება — 5 წლამდე ვადით, მაგრამ თუ ამას შედეგად დაზარალებულის თვითმკვლელობა მოჰყვებოდა, ან დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვანი იყო, — პატიმრობა 8 წლამდე ვადით; ქურდობა დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმუმით — 5 წლამდე პატიმრობით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ **1935 წლის 7 აპრილის დადგენილებაში ჩამოთვლილი დანაშაულობანი იმდროინდელი სს კოდექსით მოზრდილი ადამიანისთვისაც კი არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას.**

დადგენილება დადგენილებად, მაგრამ როგორი იყო რეალობა? კანადელი მეცნიერი **პიტერ სოლომონი**, რომელსაც სტალინისადმი სიმპათიას ვერავინ დააბრალებს, წერს:

**„უამრავ საარქივო მასალაზე მუშაობის პროცესში (როგორც ავტორის, ასევე მისი კოლეგების) სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მაგალითები ვერ იქნა აღმოჩენილი. მხოლოდ ერთხელ, 1936 წელს იუსტიციის ორგანოების ხელმძღვანელობამ სტალინსა და მოლოტოვს მოახსენა ერთი ინციდენტის შესახებ, როცა 15-დან 18 წლამდე ასაკის რვა მოზარდი სისტემატურად, იარაღის მუქარით აუპატიურებდა მოსწავლე გოგონებს. სასამართლო ხელისუფლება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს სთხოვდა, ნება დაერთოთ, გაესამართლებინათ ეს მოზარდები „ბანდიტიზმის" მუხლით და ბანდის ხელმძღვანელის მიმართ, რომელიც 16 წლისა იყო, გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი. სტალინისა და მოლოტოვის პასუხი ამ მიმართვაზე არ არსებობს. ზემოთ ციტირებული იმდროინდელი ოფიციალური დოკუმენტები ნებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ბელადებმა უარით უპასუხეს"** *(პ. სოლომონი, სტალინის დროინდელი საბჭოთა იუსტიცია, 1998 წ., გვ. 196).*

აქედან დასკვნა: **ჰუმანური და ცივილიზებული აშშ-ისგან განსხვავებით, ტოტალიტარულ სტალინურ სსრკ-ში არასრულწლოვანთა მიმართ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ.**

აქვე ორიოდ სიტყვით შევეხოთ ორლოვ-ფელბინის წიგნში გამოთქმულ „ვერსიას", თითქოს 1935 წლის 7 აპრილის დადგენილება მიღებული იყო საგანგებოდ იმ მიზნით, რომ „შინსახკომის ჯალათებისთვის" მიეცათ იარაღი ძიებაში მყოფთა დასაშანტაჟებლად.

**„ასეთი მტკივნეული წერტილი მოიძებნა: ძველი ბოლშევიკების სიყვარული თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისადმი. ოპოზიციის ლიდერებს ერთხელ უკვე დაემუქრნენ სასჯელით, რომელიც შეიძლება მათი შვილების წინააღმდეგ განხორციელებულიყო. ეს მოხდა 1935 წლის საიდუმლო გასამართლებისთვის მზადების პერიოდში. მაშინ მათ არ დაიჯერეს ეს მუქარა, მიიჩნიეს, რომ სტალინიც არ ჩაიდენდა ასეთ ჯოჯოხეთურ დანაშაულს. ახლა კი ყოფილ ოპოზიციონერებს, რომლებიც დაპატიმრებულები იყვნენ, აჩვენეს გაზეთის გვერდის ასლი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო მთავრობის განკარგულება, რომელიც სასამართლოს ავალებდა ბავშვების წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლის, მაშასადამე, ყველა სასჯელის, სიკვდილით დასჯის ჩათვლით, გამოყენებას. აშკარა გახდა, რომ სტალინი მათ ბოლომდე ღირსეულად ვერ შეაფასეს და რომ მათი შვილები და შვილიშვილები სასიკვდილო საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ასე შევიდა ახალი კანონი სტალინური ინკვიზიციის არსენალში, როგორც მორალური და ფსიქიკური ზემოქმედების ყველაზე უფრო ქმედითი იარაღი. ცკ-ის მდივანმა ეჟოვმა პირადად გასცა განკარგულება, რომ ამ კანონის ტექსტი გამომძიებლებს მაგიდაზე ჰქონოდათ ყველა დაკითხვის დროს".** *(მ. ორლოვი, სტალინური დამნაშავეობის საიდუმლო ისტორია, 1991, გვ. 55-56).*

როგორც გავარკვიეთ, 1935 წლის 7 აპრილის დადგენილება სასიკვდილო განაჩენს არ ითვალისწინებდა, მაშასადამე, ორლოვ-ფელბინის ღრმააზროვანი ფსიქოლოგიური განსჯა თითიდან გამოწოვილი არარაობაა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## დავით უსუფაშვილი ევროპარლამენტარებს EPP-დან «ევროპელ კანდელაკებს» უწოდებს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ევროპარლამენტარებს EPP-დან (ევროპის სახალხო პარტია) „ევროპელ კანდელაკებს" უწოდებს.**

ამის შესახებ უსუფაშვილმა ბრიუსელში ვიზიტისას განაცხადა, სადაც იგი ვეროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა.

ევროპარლამენტარების კითხვების უმეტესი ნაწილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავებას და ციხეში მის პირობებს ეხებოდა. ზოგიერთმა მათგანმა მერაბიშვილის დაკავება „პოლიტიკურ ვენდეტად" შეაფასა და აღნიშნა, რომ იულია ტიმოშენკო უკრაინის ციხეში უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე მერაბიშვილი — საქართველოში. დავით უსუფაშვილმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ „საქართველოში შერჩევით სამართალს ადგილი არ აქვს და თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია, საქართველოში ჩამოვიდეს და პროცესებს დააკვირდეს".

**„როგორც მოსალოდნელი იყო რამდენიმე პიროვნება EPP-დან, ანუ ევროპის სახალხო პარტიიდან აგრძელებს თავის ქმედებებს ისე, როგორც დღემდე მუშაობდნენ. ქართველი მაყურებლისთვის რომ გასაგები იყოს რაზეა საუბარი, ევროპელი კანდელაკები — მაგალითად ასე შემიძლია, დავახასიათო, ანუ ისეთივე ერთგული მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილის და მისი პარტიის, როგორც საქართველოშია ბატონი გიორგი კანდელაკი",** — განაცხადა უსუფაშვილმა ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას და დასძინა, რომ **„მათი დრო პოლიტიკურ ცხოვრებაში მიდის ან წასულია, მაგრამ ჩვენ უნდა შევეგუოთ, რომ პოლიტიკური განწყობები არის არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ – საერთაშორისოზეც".**

**„ადამიანებმა, რომლებმაც წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი წარმოაჩინეს როგორც დემოკრატიის შუქურა, დღეს რომ მათგან სხვა რამეს ველოდეთ, წარმოუდგენელია",** — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.



## ანტარქტიდაში ადამიანის ხელით შექმნილი სამი პირამიდა აღმოაჩინეს

**ამერიკელმა და ევროპელმა მეცნიერ-მკვლევარებმა, რომლებიც ანტარქტიდას იკვლევენ, დაადგინეს, რომ ყინულოვან კონტინენტზე სამი უძველესი პირამიდა მდებარეობს.**

მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ პირამიდები ხელოვნური წარმოშობის არიან. ორი მათგანი სანაპიროდან 16 კმ.-ით არის დაშორებული, ხოლო მესამე, იქვე, სანაპირო ზოლთან მდებარეობს. მკვლევარები, სამეცნიერო ექსპედიციის შექმნას გეგმავენ, რომელიც შეძლებს პირამიდებამდე მისვლას და ამ გიგანტების წარმოშობის შესახებ დასკვნის გაკეთებას.



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გოგონამ ლუდი ყურით დალია

**ახალგაზრდა ჩეხმა გოგონამ ლუდით სავსე ჭიქა ყურით გამოცალა. გოგონამ საწრუპი მილის ერთი ბოლო ჭიქაში მოათავსა, ხოლო მეორე — საკუთარ მარჯვენა ყურში. ნელ-ნელა სითხემ კლება დაიწყო. ლუდის მიღების ასეთი უჩვეულო პროცესი სულ 1 წუთსა და 53 წამს გაგრძელდა.** მალე ჭიქა დაცარიელდა, ხოლო მის გარშემო შეკრებილმა ახალგარზდებმა გოგონასთვის აპლოდისმენტები არ დაიშურეს.



## აშშ-ში სიცილის ჩემპიონატი გაიმართა

**აშშ-ში სიცილის მოყვარულებს შორის პირველი ჩემპიონატი გაიმართა. ღონისძიება კალიფორნიის შტატში, სან-დიეგოში ჩატარდა და გამოყენებითი და თერაპიული სიცილის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის ნაწილი გახდა.**

სიცილის ჩემპიონატის ორგანიზატორი კანადელი რეჟისორი ალბერტ ნერენბერგია, რომელიც სიცილით დიდი ხანია დაინტერესებულია და ამ მოვლენას დოკუმენტური ფილმიც კი მიუძღვნა. ადრე ნერენბერგი მსგავს ტურნირს კანადასა და იაპონიაში მართავდა.

**სიცილის პირველი ამერიკული ჩეპიონატის მონაწილეების მიზანი იყო, მაყურებლები ნამდვილი სიცილით გაეცინებინათ. კონკურსანტებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა სხვადასხვა სახეობაში — „ძლიერ“, „მანიაკალურ“, „ეშმაკურ“ სიცილში შეეძლოთ.**

ნარენბერგმა აღნიშნა, რომ თავისი არსებობის მანძილზე კონკურსი ცინიკურ-დეპრესიულ ადამიანებს არასდროს მოუგიათ.



## კვერცხმობილი

**კონცეფცია „ქალაქები ავტომობილების გარეშე“, სადაც ძვირადღირებული და დიდი ავტომობილები ადგილს დაუთმობდნენ პატარა, მოხერხებულ, ეკოლოგიურად სუფთა მოწყობილებებს, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს. სამწუხაროდ, მაღალი ფასი ამ პატარა და მოსახერხებელ აგრეგატებს ხელს უშლის რეალიზაციაში.**

თუმცა მომავლის ქუჩის მოძრაობის შემუშავების პროცესში უკვე ჩართულნი არიან Toyota, Honda და GM. კომპანია Hyundai-მ კი ამ ბაზარზე ახალი და უჩვეულო დიზაინის გადაადგილების საშუალება E4U წარმოადგინა, რომელსაც მისი ფორმის გამო კვერცხმობილი შეარქვეს.

გარეგნულად ეს ფუტურისტული ტრანსპორტი მართლაც კვერცხს მოგაგონებთ. ტრადიციულ საბურავებს მბრუნავი ნახევარსფეროსებრი ელემენტი ცვლის, ხოლო უკან დამონტაჟებულია კიდევ რამდენიმე საბურავი, რომლებიც მოწყობილობას ვერტიკალურად გაჩერებაში ეხმარება და დამუხრუჭების ფუნქციასაც ითავსებს.

# ადამიანი, რომელმაც ეიფელის კოშკი გაყიდა

**1925 წლის მაისში პარიზის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც იტყობინებოდა ეიფელის კოშკის ცუდი მდგომარეობის შესახებ. ნაგებობას, რომელიც, 30 წლის წინ იყო აღმართული და უკვე პარიზის სიმბოლოს წარმოადგენდა, საკმაოდ ძვირადღირებული რესტავრაცია სჭირდებოდა. საფრანგეთის მთავრობა თვლიდა, რომ რესტავრაციის ნაცვლად კოშკის დემონტაჟი შეიძლება ბევრად უფრო იაფი ყოფილიყო. ბევრი ადამიანი ამ სტატიას, როგორც რიგით სამთავრებო გადაწყვეტილებას, ისე შეხედავდა და ჩვეულებრივად გააგრძელა ცხოვრება, მაგრამ ვიქტორ ლუსტიგი ყველასგან განსხვავებული ადამიანი იყო, ამ ფაქტმა მის გონებაში დიდი იდეა დაბადა.**



ვიქტორ ლუსტიგი ხუთ სხვადასხვა ენაზე საუბრობდა, გამოირჩეოდა სწრაფი აზროვნებით და დამაჰიპნოზებელი შარმით. წარმოშობით ჩეხი ლუსტიგი წლების განმავლობაში თაღლითობით ითვისებდა სხვა ადამიანების ქონებას. მან თავისი „მოღვაწეობა“ მდიდარი ადამიანებით სავსე საკრუიზო გემებზე დაიწყო. მისი ყველაზე საყვარელი როლი იყო ბროდვეელ პროდიუსერად თავის წარდგენა. შედარებით გულუბრყვილო ადამიანებს ჰპირდებოდა, რომ აუხდენდა ნატვრას და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავს გახდიდა, რის შემდეგაც ფულს ახდევინებდა არარსებულ პროდუქციასა და მომსახურებაში. 1925 წლისთვის ლუსტიგი უკვე მსოფლიო მასშტაბით ძებნილი თაღლითი იყო.

ლუსტიგი არასოდეს იწყებდა მოქმედებას წინასწარი გამოკვლევებისა და მომზადების გარეშე. მისი პირველი ნაბიჯი იმ გამყალბებლის მოძებნა იყო, რომელმაც მას დოკუმენტები დაუმზადა. ამ ყალბი დოკუმენტების მიხედვით ის მთავრობის მოხელე გახდა. ამის შემდეგ გაუგზავნა წერილი ქალაქის ხუთ ყველაზე დიდ ჯართით და რკინით მოვაჭრეს და შეხვედრა სასტუმროში დაუნიშნა. შეხვედრაზე ლუსტიგმა ამ ბიზნესმენებს უთხრა, რომ მთავრობა ეიფელის კოშკის დემონტაჟს აპირებდა და 7000 ტონა რკინის მიყიდვას იმ ადამიანისთვის, ვინც მათ შორის ყველაზე დიდ თანხას გადაიხდიდა. ლუსტიგმა ემოციური პერფორმანსი მოაწყო, მან შეახსენა ბიზნესმენებს, რომ ეიფელი კოშკი 1889 წლის გამოფენისთვის დამზადდა და მისი მუდმივად იქ დატოვება არ ყოფილა განძრახული, ასევე მოიყვანა დიდი მწერლების დიუმასა და მოპასანის უარყოფითი შეფასებები ეიფელის კოშკის მიმართ. საბოლოო ჯამში მან მოახერხა ბიზნესმენების დარწმუნება.

რამდენიმე დღის შემდეგ ბიზნესმენება გააკეთეს შეთავაზებები, მაგრამ ლუსტიგს უკვე ჰყავდა ამორჩეული მსხვერპლი, ეს იყო ანდრე პასიონი. მან წერილი გაუგზავნა პასიონს და უთხრა, რომ აუქციონი მან მოიგო. კიდევ დამატებით ქრთამიც მოითხოვა მისგან, რათა ვითომც და პრობლემები აეცილებინა მისთვის. ფულით ხელში ლუსტიგი ავსტრიაში გაიქცა და რამდენიმე კვირა განცხრომაში ცხოვრობდა, პეიოდულად ამოწმებდა ფრანგულ გაზეთებს, მაგრამ იქ თაღლითობაზე ვერაფრს წააწყდა. საქმე ის იყო, რომ ანდრე პასიონი იმდენად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, პოლიციაში მისვლა მოერიდა.

6 თვის შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა პარიზში და იმავე სქემით კვლავ გაყიდა ეიფელის კოშკი, მაგრამ ამ შემთხვევაში მსხვერპლმა პოლიციაში იჩივლა, რის გამოც ლუსტიგი ევროპიდან შეერთებულ შტატებში გაიქცა. ამერიკაში მან იგივე საქმე გააგრძელა. ლუსტიგმა თვით ალ-კაპონესაც დასტყუა ფული. მან ცნობილ განგსტერს საქმეში 50 000 დოლარი ჩაადებინა. ეს ფული რამდენიმე თვე უძრავად ედო სეიფში. შემდეგ მივიდა ალ კაპონესთან და უთხრა, რომ საქმე ჩაიფუშა. განგსტერი ამაზე, ბუნებრივია, გაცოფდა და მას მოკვლა დაუპირა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში ლუსტიგმა მას ჩადებული თანხის უკან დაბრუნება შესთავაზა და ის სეიფში ჩადებული ფული უკან დაუბრუნა. ალ კაპონეს ეს ფული დაკარგული ეგონა და, როცა დაინახა, რამდენიმე ათასი დოლარი ლუსტიგს აჩუქა ჯილდოს სახით. თაღლითსაც სწორედ ეს ჰქონდა გათვლილი.


'THE COUNT' ESCAPES JAIL ON SHEET ROPE

International Crook Drops 50 Feet to Street in Sight of Hundreds on West Side.

BOASTED HE WOULD FLEE

Had $51,000 in Counterfeit Bills When Arrested—Faced Trial Tomorrow.

'THE COUNT' FLEES JAIL ON SHEET ROPE

FLEES FEDERAL PRISON.
Victor (The Count) Lustig.







## «ცხელი ტუჩები»

**მსოფლიოში ყველაზე პიკანტურ ყვავილად psychotria elata დაასახელეს, რომელსაც „ცხელი ტუჩების“ სახელითაც იცნობენ. ყვავილის ფურცლები წითელი შეფერილობისაა და საკოცნელად გამოშვერილ ტუჩებს მოგაგონებთ.** ეს უცნაური მცენარე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში იზრდება. სამწუხაროდ, ყვავილი ტყის გაუკონტროლებელი ჩეხვის გამო საფრთხეშია. ამიტომ მას, ვისაც სურს, ბუნებას „ტუჩებში აკოცოს“, სამხრეთ ამერიკულ ტროპიკულ ტყეებში გამგზავრება მოუწევს.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქოლგა-ჩაფხუტი

**Rainshader ორიგინალური ქოლგაა, რომელიც დიდ ქსოვილის ჩაფხუტს ჰგავს. ის ქოლგის ახალ ვერსიას წარმოადგენს.**

ბრიტანელი სტივენ კილერის ეს გამოგონება არ გაიშლება ძლიერი ქარის შემთხვევაში, როგორც ეს ჩვეულებრივი ქოლგის მოხმარებისას ხდება.

ქოლგა მთლიანად ფარავს მომხმარებლის მხრებს და ზურგის ზედა ნაწილს, ხოლო წინ გაკეთებული ჭრილი იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ადამიანს მხედველობის პრობლემა არ შეექმნას.



## კაცებმა სამშობიარო ტკივილი გამოსცადეს

**თუ ადრე მშობიარობის ტკივილები მხოლოდ სამშობიარო ბლოკში მყოფ ქალებს შეეძლოთ გამოეცადათ, ახლა მამაკაცებსაც შეუძლიათ.**

ექსპერიმენტს ორი კაცი დასთანხმდა და მშობიარობის ტკივილი საკუთარ თავზე გამოსცადა. ხელსაწყო კაცების მუცელზე განათავსეს, ელექტროდებმა საშინელი ტკივილი გამოიწვია. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ატირდნენ.

მამაკაცებმა განაცხადეს, რომ მსგავსი ექსპერიმენტები საჭიროა, რათა ყველამ დააფასოს ქალი. სუსტი სქესის წარმომადგენლების თქმით კი, მამაკაცების გამოცდილი ტკივილი ნამდვილ სამშობიარო ტკივილთან ახლოსაც ვერ მივა.



## სათვალე პენტაგონი

**მუქშუშებიანი მზის სათვალე ბევრი ცნობილი ადამიანისთვის თითქმის აუცილებელ ატრიბუტად იქცა. ჩასაფრებული პაპარაცების ფოტოკამერების მოულოდნელმა ელვარებამ თვალი რომ არ მოსჭრათ, ვარსკვლავები მუქშუშებიან სათვალეს იშველიებენ.**

მირანდა კერი, რიანა და სხვა ვარსკვლავები უპირატესობას ხუთკუთხა ფორმის, ე. წ. პენტაგონ სათვალეს ანიჭებენ. ამ ფორმის სათვალე ბევრი ცნობილი ადამიანის საყვარელი აქსესუარია. მირანდა კერისა და რიანას გარდა, ხუთკუთხა ჩარჩოიან სათვალეს ხშირად იყენებენ ნაომი უოტსი, ლეიტონ მისტერი და კამილა ბელი.

მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები, ძირითადად, მუქშუშებიან და ოქროსფერჩარჩოიან მოდელებს ირჩევენ, ხუთკუთხა ფორმის სათვალის არჩევანი საკმაოდ ფართოა — სხვადასხვა ფერისა და მასალის. სტილისტების აზრით, საოცარია, რომ ეპატაჟურ რიანასა და მშვიდ მირანდა კერის ერთი და იმავე სტილის სათვალე მოსწონთ, თითქმის ვერც ერთს ვერ ნახავთ ამ ორიგინალური აქსესუარის გარეშე. რაც მთავარია, ძალიანაც უხდებათ, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს განსხვავებული სახის ფორმა აქვს.

ხუთკუთხა ჩარჩოს თავისუფლად შეიძლება უნივერსალური ვუწოდოთ — ის, პრაქტიკულად, ნებისმიერი ტიპის სახეს უხდება.



## ოჯახმა გატაცებული შვილი 20 წლის შემდეგ დაიბრუნა

**ჩინელი ლუო განგი 20 წელი ბიოლოგიურ მშობლებს უშედეგოდ ეძებდა. ლუომ მშობლები Google Maps-ის საშუალებით იპოვა.**

ლუო სიჩუანის პროვინციაში დაიბადა და 5 წლის იყო, როდესაც საბავშვო ბაღიდან გაიტაცეს. ის ფუცზიანის პროვინციაში იზრდებოდა. მოგვიანებით სრულიად უცხო ადამიანებმა იშვილეს და სიყვარულით ზრდიდნენ, მაგრამ ყოველთვის ახსენდებოდა ბავშვობაში გადატანილი ტრავმა და გზა, რომლითაც პროვინციამდე მიდიოდა. სწორედ ამ გზის მიხედვით იპოვა მან Google Maps-ის საშუალებით საკუთარი მშობლები.

ბიოლოგიურ მშობლებთან შეხვედრა ემოციური იყო. „პატარა ბიჭი გამიტაცეს. ეს წლები ტირილში გავატარე“, — ამბობს ლუოს ბიოლოგიური დედა.

ჯერჯერობით უცნობია, აღიძრა თუ არა იმ მშობლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, რომლებმაც ბიჭუნა იშვილეს და აქვთ თუ არა მათ ბავშვის გატაცებასთან საერთო.



## ადამიანები, რომლებიც ხშირად ამბობენ «მე»-ს, დეპრესიისკენ არიან მიდრეკილნი

**ადამიანები, რომლებიც ხშირად ამბობენ „მე“-ს, დეპრესიისკენ არიან მიდრეკილნი, ხოლო ადამიანს, რომელიც ხშირად იყენებს სიტყვა „ჩვენ“-ს, მსგავსი სახის პრობლემები არ ემუქრება, — ამტკიცებს კასელის უნივერსიტეტის კვლევა. ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა Daily mail-ი იტყობინება.**

მეცნიერებმა 15 მამაკაცი და 103 ქალი გამოკითხეს. გამოკითხვის დროს მკვლევარები დაინტერესდნენ მოხალისეების წარსულით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით და საკუთარი თავის შეფასებით.

**სიტყვა „მე“-ს მოყვარულთა ჯგუფს ფსიქიკური პრობლემები აღენიშნებოდა. გარდა ამისა, ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან ურთიერთობა უჭირდათ. ამ ჯგუფის ყველა წევრი გამუდმებით ცდილობდა ყურადღების ცენტრში ყოფნას, მარტოობა მათთვის წარმოუდგენელი აღმოჩნდა.**



## ესპანეთში კრაზანების 7-მეტრიანი ბუდე იპოვეს

**ესპანეთში კრაზანების 7-მეტრიანი ბუდე იპოვეს. ის სან-სებასტიან-დე-ლა-გომერაში, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში აღმოაჩინეს.**

პოლიცია ადგილზე მეზობლების საჩივრის საფუძველზე მივიდა. მათ იპოვეს ბუდე, რომელიც შენობის ოთახს თითქმის მთლიანად იკავებდა. მოგვიანებით კრაზანების უჩვეულოდ დიდი ბუდე სპეციალისტებმა გამოიკვლიეს. ისინი ირწმუნებიან, რომ კრაზანები ასეთ გიგანტურ ბუდეს არასდროს იკეთებენ. შენობაში დაახლოებით მილიონამდე კრაზანა იყო.

ამჟამად პოლიცია შენობის პატრონს ეძებს. კრაზანების გიგანტური ბუდე, შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ამერიკელმა ათი წლის განმავლობაში ლატარეაში მეოთხედ მოიგო

**ამერიკელმა, ვირჯინიის შტატის მკვიდრმა, მელვინ უილსონმა 2004 წლის შემდეგ ლატარეაში დიდი თანხა მეოთხედ მოიგო. მთლიანობაში, იგი 2 მილიონ დოლარზე მეტი თანხის მფლობელი გახდა.** უილსონი გადასაფხეკ ბილეთებს რეგულარულად ყიდულობდა. 2004 წელს პირველად 25 000 დოლარი მოიგო, ერთი წლის შემდეგ ორჯერ გაუმართლა და 1 მილიონი დოლარი და 500 000 დოლარი მოიგო. ამ დღეებში უილსონს ფორტუნამ კიდევ გაუღიმა და 500 000 დოლარის მფლობელი გახდა. გამარჯვებულმა საკუთარი იღბალი ასე ახსნა — **„უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი“.**



## ახალგაზრდამ შუბლით 142 კვერცხი გატეხა

**აშშ-ის სამეფო საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გინესის რეკოდების წიგნში მოხვდა. სკოტ დეიმორმა შუბლით 142 კვერცხი გატეხა და თავით კვერცხის გატეხვის წინა რეკორდი მოხსნა.**

**„თავს ვეღარ ვგრძნობდი, ვერ მივხვდი, რომ თავი დამებეჭა, რადგან ენერგიის წარმოუდგენელ მოზღვავებას განვიცდიდი“,** — ამბობს დეიმორი. წინა რეკორდი 130 კვერცხი იყო. დეიმორს რამდენიმე მცდელობის უფლება ჰქონდა. იგი ამ რეკორდის მოხსნას ადრეც შეეცადა, მაგრამ მარცხი განიცადა, 130 კვერცხი მხოლოდ 70 წამში გატეხა. მაშინ სკოლის მოსწავლემ დედის რესტორანში მაგიდაზე გულმოდგინე ვარჯიში დაიწყო და ახალი რეკორდი დაამყარა.

„კვერცხების გამანადგურებლის“ მამის თქმით, მას შვილის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებოდა. მან ასევე დასძინა, რომ დეიმორი ყოველთვის მაღალ მიზნებს ისახავდა და აღწევდა კიდეც.

რეკორდების წიგნში მოხვედრის იდეა სკოტ დეიმორს და მის მეგობრებს 2011 წელს მოუვიდათ. ისინი რეკორდის დამყარებას ცდილობდნენ, კერძოდ, თვალაკრულებმა 200 მეტრის გარბენში გამარჯვება სცადეს, მაგრამ სწრაფად გარბენა ვერ შეძლეს.



## ქალი წონაში დაკლებამ გააუბედურა

**49 წლის შედო გრეის იმდენად შეეშინდა, რომ ჭარბი წონა მის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა, რომ წონაში 100კგ-ით დაიკლო. შემდგომ კი აღიარა, რომ წონაში დაკლებამ გააუბედურა.**

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ჭარბწონიანი იყო, გრეიმ გარშემო შემოიკრიბა მსგავსი პრობლემის მქონე ქალები და კლუბი Curves-ი ჩამოაყალიბა. მალე კლუბი ჭარბწონიან ქალთა უფლებების დამცავ ორგანიზაციად იქცა. ისინი ებრძოდნენ ჭარბწონიანი ქალების დისკრიმინაციას. კლუბმა ფულადი მოგებაც მოიტანა.

შედო არასდროს კომპლექსდებოდა თავისი წონით. მისი თქმით, 160 კგ-იანი ქალის გულის მოგებას უამრავი მამაკაცი ცდილობდა. წონის დაკლების აუცილებლობაში შედო ექიმმა დაარწმუნა. ოპერაციისა და დიეტის შემდეგ 1 წლის განმავლობაში მან 106 კგ-ით დაიკლო და საკმაოდ მოხდენილი გახდა.

ახლა მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ შადო ბედნიერი აღარაა. მან მიზანი დაკარგა. მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი ფიგურა აქვს, მამაკაცები სულ უფრო იშვიათად აქცევენ ყურადღებას. სწრაფი გახდომის გამო, შადო მისსავე შექმნილ კლუბში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს.

მისი თქმით, გულის სიღრმეში ის ყოველთვის 160კგ-იან ლამაზმანად დარჩება და გააგრძელებს ბრძოლას ჭარბწონიანი ქალების უფლებების დასაცავად.

# ცეცხლზე მოსიარულენი

**როგორც ჩანს, ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ვერ გაბედავს ნაკვერჩხალზე ან გავარვარებულ ქვებზე ფეხშიშველა გავლას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ხალხი, რომელიც ამას აკეთებს, ამ დროს იმყოფება რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ჯერჯერობით აუხსნელი რჩება, თუ როგორ ახერხებენ ისინი ასეთი გასეირნების შემდეგ უვნებლად დარჩენას.**







ჯორჯ სენდვიტის წიგნში „სასწაულებზე მონადირენი“ დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ დადიოდნენ ნაკვერჩხალზე ფიჯიზე მცხოვრები ინდოელები. ერთხელ ასეთი ამაღელვებელი სანახაობის შემდეგ ის დაბრუნდა სასტუმროში ბანკის მოსამსახურესთან ერთად, რომელზეც ნანახმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან აღიარა, რომ ცეცხლი ნამდვილი იყო, რადგანაც მის მიერ იქ ჩაგდებული ქაღალდი წამსვე დაიწვა. ბანკის მოსამსახურემ განაცხადა, რომ ნაკვერჩხალზე სიარული აუცილებლად უნდა აკრძალულიყო, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა თანამედროვე მეცნიერებას. სენდვიტმა შენიშნა, რომ იმათგან, ვინც ნაკვერჩხალზე დადიოდა, შეიძლებოდა რაიმე სასარგებლოს სწავლა. ამან მოსამსახურის დაუფარავი აღშფოთება გამოიწვია.

ლონდონის უნივერსიტეტის ინიციატივით, 1935 წლის სექტემბერში ქ. კარშალტონში მოეწყო ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტი ნაკვერჩხალზე მოსიარულის. ჰარი პრაისონს, წიგნის „ფიზიკურ კვლევათა 50 წელიწადი“ ავტორს, მიაჩნდა, რომ ამ ფოკუსის საიდუმლო მდგომარეობდა გავარვარებული ხის დაბალ სითბოგამტარიანობაში და მოსიარულის ფეხის გულების ნაკვერჩხალთან კონტაქტის მცირე ხანგრძლივობაში. ექსპერიმენტში მონაწილეობდა ახალგაზრდა მაჰმადიანი ინდოელი კუდა ბაქსი. მან ოთხჯერ გაიარა ექვსი მეტრის სიგანის ნაკვერჩხლიან ორმოზე და არავითარი დამწვრობა არ მიუღია.

ექსპერტებმა ამ ექსპერიმენტის გარშემო ერთმანეთის გამომრიცხავი აზრები გამოთქვეს. ერთმა მეცნიერმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ამ ფოკუსის გამეორება ყველას შეეძლო, რადგანაც ორმოში ტემპერატურა ჩაის ტემპერატურას არ აღემატებოდა (სინამდვილეში იქ ტემპერატურა 400 გრადუსზე მეტი იყო). როდესაც მას სთხოვეს, თვითონ გაევლო ფეხშიშველს იმ ნაკვერჩხალზე, მან ამას თავი აარიდა.

**ცნობილმა ფოლკლორისტმა ენდრიუ ლანგმა ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ნაკვერჩხალზე სიარულის ხელოვნება ცნობილია დედამიწის ყველა კონტინენტზე. მან შეაგროვა დიდი მასალა, რომელიც ადასტურებს მის გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ცეცხლზე სიარული ცნობილი იყო ჯერ კიდევ პლატონის, ვირგილიუსისა და სტრაბონის დროს. პროფესორი ელიადე მის წარმოშობას შამანობის ჩასახვის დროს უკავშირებს. თავის წიგნში „სამჭედლო და ტიგელი“ მან მოიყვანა ცეცხლზე სიარულის ხელოვნების ამსახველი ფართო მასალა, რომელსაც ფლობენ სხვადასხვა ხალხი, დაწყებული ნაკვერჩხალზე მოცეკვავე ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელებით და ინდოელებით დამთავრებული. მას იცნობენ ქრისტიანი ევროპელებიც.** ახლაც კი საბერძნეთში, სოფელ ლანდაგარის მცხოვრებნი წმიდა კონსტანტინესა და წმიდა ელენეს დღესასწაულზე გულზე მიდებული ამ წმინდანების ხატებით ცეკვავენ ხოლმე გაღვივებულ ნაკვერჩხლებზე.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცეცხლის მიმართ აღუქმელობას სრულიად განსხვავებული მეთოდებით აღწევენ. **ინდოელებისთვის რიტუალის მთავარ ელემენტს ტრანსის მდგომარეობა ან რელიგიური ექსტაზი წარმოადგენს, თუმცა კუდა ბაქსი და ბევრი სხვა ცეცხლის მიმართ უგრძნობლობის დემონსტრირებისას სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.** მიუხედავად ამისა, ზოგიერთისთვის საჭიროა საკმაოდ რთული მომზადება, რომელიც მოიცავს სიმღერას, ცეკვას, მარხვას და ა.შ. სხვებს კი ნაკვერჩხალზე სიარული შეუძლიათ ან სრულიად მოუმზადებლად, ან მარტივი სიმბოლური რიტუალის შემდეგ.

ყველაზე ძნელი და შთამბეჭდავია ცეცხლზე „გასეირნება“, რომელსაც პოლინეზიაში მისდევენ. იქ მოსიარულე დადის არა ფერფლზე ან ნაკვერჩხალზე, არამედ გავარვარებულ ქვებზე.

მეცნიერთა აზრით, ცეცხლზე სიარულის უნარის მხოლოდ სულიერი ან ფსიქოლოგიური მიზეზებით ახსნა შეუძლებელია და აქ საქმე გვაქვს ისეთ ფიზიკურ მოვლენასთან, რომელიც ჯერ კიდევ გაუგებარია და რომელმაც ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ახსნა.



## გაკრეჭა — ჩახუტების სანაცვლოდ

**აშშ-ის შტატ კონექტიკუტში, ჰარტფორდში მცხოვრები 82 წლის ენტონი ქიმერისი 25 წელია, უსახლკაროებს უსასყიდლოდ ემსახურება. მათგან ენტონი მხოლოდ ჩახუტებას ითხოვს.** 1988 წელს ენტონი სამსახურიდან დაითხოვეს. სილამაზის სალონის დატოვების შემდეგ, ის მხოლოდ ოჯახის წევრებს კრეჭდა, მაგრამ გადაწყვიტა, გაჭირვებულ და უსახლკარო ადამიანებს დახმარებოდა. ბოლო 25 წელია, ენტონი ჰარტფორდის პარკებში ზის და კლიენტებს ელის. მის გარშემო ყოველთვის უამრავი მათხოვარია. **„სამწუხაროდ, ადამიანებს შორის ურთიერთობა შეიცვალა. დღეს თუ კარგად არ გამოიყურები, სერიოზულად არავინ შემოგხედავს. მიხარია, თუ გაჭირვებული ადამიანის ცხოვრებას ვალამაზებ“,** — ამბობს ის.



## Facebook-ზე შეტყობინებები ფასიანი იქნება

**დიდ ბრიტანეთში სოციალურ ქსელ Facebook-ის მომხმარებლებისთვის ახალი ფუნქცია გაჩნდება. ახლა ისინი ფასიანი ოფციით — უცნობებისთვის წერილის გაგზავნის შესაძლებლობით ისარგებლებენ, რაც 71 პენი ეღირება.** „ფასიანი შეტყობინებების სისტემა სპამის აღმოსაფხვრელად შეიქმნა. მხედველობაში მივიღეთ ის ფაქტიც, რომ უცნობ ადამიანებთან საუბრის სურვილი გიჩნდებათ. ამჟამად დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში გადასახადის ოდენობას ვტესტავთ, რომ ოპტიმალური ფასი განვსაზღვროთ“, — ნათქვამია Facebook-ის განცხადებაში. ამასთან, დარჩება უფასო გზავნილის ფუნქციაც, რომლის შედეგად წერილი ადრესატს საქაღალდე „სხვაში“ მისდის. აღსანიშნავია, რომ მომსახურებისთვის გადახდას 18 წლამდე ადამიანები ვერ შეძლებენ.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სენსაციური აღმოჩენა ჩინეთში

**მეოცე საუკუნის ბოლოს ჩინეთში, გობის უდაბნოს ტერიტორიაზე გაკეთებულმა აღმოჩენამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაგნეს 4000 წლის წინანდელ მუმიებს, საოცარი ის იყო, რომ მუმიებს ჩრდილო-ევროპული გარეგნობა ჰქონდათ.**



ისტორია 1978 წელს დაიწყო. ჩინელმა არქეოლოგმა ვანგ ბინგუსმა დაიწყო უძველესი ადგილების გამოკვლევა. ის მოგზაურობდა პროვინციებში და ეკითხებოდა ადგილობრივებს, სადმე ძველ ჭურჭლის ნატეხებს ან სხვა არტიფაქტებს ხომ არ პოულობდნენ. ხინჯიანის პროვინციაში წააწყდა ხალხს, რომლებიც იქვე მდებარე ადგილისკენ მიუთითებდნენ. ამ ადგილს ადგილობრივები წითელ მდელოს ეძახდნენ. აქ მან პირველი მუმია აღმოაჩინა.

გათხრები გაგრძელდა და ნაპოვნი მუმიების რიცხვმაც იმატა. ისინი ემბრიონის პოზიციაში იყვნენ დაკრძალულები. სიმართლე რომ ითქვას, მათ ნამდვილ მუმიებს ვერ უწოდებდი, რადგან ბალზამირებულნი არ იყვნენ. ის მიწა, სადაც მუმიები აღმოაჩინეს, გამორჩეული იყო კლიმატით. უდაბნოს ტემპერატურამ და მარილიანმა ნიადაგმა მუმიები ისე შეინახა, რომ მათ მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნებოდათ. ტანსაცმელიც კი შენარჩუნებული იყო.

მუმიები ქალაქ ურუმქის მუზეუმში გადაიტანეს. იმ პერიოდისთვის აღმოჩენილი მუმიების რიცხვი 113 იყო. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგმა ვანგმა კიდევ სამი სასაფლაო აღმოაჩინა, უსახსრობის გამო მათი გათხრა არ მოხდა.

მუმიების სახეები შესანიშნავად იყო შენახული. მათ ჰქონდათ ქერა თმა, დიდი თვალები და ევროპული ცხვირი. მანამდე თვლიდნენ, რომ ჩინელები ყველასაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ და, რადგან ეს აღმოჩენა მათ წარმომავლობაში ეჭვს შეიტანდა, ცდილობდნენ, არ გამოექვეყნებინათ.

ეს ტომები იმ პერიოდისთვის საკმაოდ განვითარებულნი იყვნენ. ერთ-ერთ მუმიას ეტყობოდა ნაიარევი, რომელიც ცხენის ძუით იყო გაკერილი, რაც ოპერაციების გაკეთების ჩანასახოვანი მეთოდების არსებობაზე მიუთითებს.

პირველი ადამიანი დასავლეთიდან, ვისაც მუზეუმში მუმიების ნახვის უფლება მიეცა, დოქტორი ვიქტორ ამირი იყო, რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩინური ენის მიმართულებას კურირებდა. მან მხოლოდ თვალის შევლება მოახერხა ამ ექსპონატებზე, ვინაიდან ჩინეთის მთავრობა დასავლელებს მუმიების გამოკვლევის უფლებას არ აძლევდა.

საბოლოოდ მხოლოდ 1993 წელს მისცეს იტალიელ მეცნიერებებს მუმიების შესწავლის უფლება. მეცნიერებმა იმ დროისთვის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლეს ექსპონატები და დაადგინეს, რომ ამ მუმიების ასაკი 4000-2000 წლებს შორის მერყეობდა. ეს ადამიანები ბრინჯაოს ხანიდან იყვნენ, და ყველაზე მეტად სკანდინავიური ან გერმანული წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ისინი ადგილობრივ ხალხს კარგად შეეწყვნენ და მათი ტრადიციებიც აითვისეს. საოცარია ის ფაქტი, რომ 4000 წლის წინ ამ ტომმა ჩრდილო-დასავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე იმოგზაურა და თან თავისი ტრადიციები შეინარჩუნა.

ყველაზე საოცარი კი ის ფაქტია, რომ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ლაპარაკობს ენაზე, რომელსაც „ტორჩარიანი“ ჰქვია და ეს ენა ყველაზე ახლოს გერმანულ და კელტურ ენებთან დგას.







## იაპონელებმა მარგალიტის 222-მეტრიანი ყელსაბამი შექმნეს

**იაპონელებმა მარგალიტის მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 222-მეტრიანი ყელსაბამი შექმნეს. ის იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამოიფინა და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა.**

ყელსაბამი 20 კგ-ს იწონის და 18 000 მარგალიტისგანაა შექმნილი. მის შექმნაზე სამი თვე დაიხარჯა, ხოლო მარგალიტთა უმეტესობა ამ პროექტისთვის უფასოდ გაიღეს ადგილობრივმა მოსახლეობამ და ტურისტებმა.

მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა, ექსპოზიციის ორგანიზატორების განცხადებით, მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტის ყელსაბამი არ გაიყიდება.

წინა რეკორდი ასევე იაპონელ იუველირებს ეკუთვნით. დღემდე ყველაზე დიდი მარგალიტის ყელსაბამის სიგრძე 187 მეტრი იყო.

# ყველაზე ცნობილი ავღანელი ქალი

**შარბათ გულა** ყველაზე ცნობილი ავღანელი ქალია — ის მსოფლიომ პოპულარული ფოტოს წყალობით გაიცნო.

ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი და ჟურნალისტი სტივ მაქქარი ავღანეთში 1984 წელს იმყოფებოდა. ლტოლვილთა ბანაკში მისი ყურადღება მწვანეთვალება, ომში დაობლებულმა და შეშინებულმა გოგონამ მიიპყრო. გულა მაშინ 12 წლის იყო. **ფოტო გავლენიანი ჟურნალის National Geographic-ის გარეკანზე 1985 წელს დაიბეჭდა და მას შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს.** თუმცა ფოტოზე გამოსახულ გოგონას „ავღანელი გოგონას“ სახელით იცნობენ და საზოგადოების დიდმა ნაწილმა მისი სახელი და გვარი არ იცის.





სტივ მაქქარი მოგვიანებით იხსენებდა, რომ თავდაპირველად ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ფოტოსურათი ასეთ მნიშვნელობას შეიძენდა. სტივი ფიქრობდა, რომ გოგონას ფოტო ბანაკში გადაღებული სხვა ბავშვების ფოტოებისგან არაფრით განირჩეოდა. National Geographic-ის რედაქცია და ფოტოგრაფი 17 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა გოგონას ვინაობის დადგენას, თუმცა მოგვიანებით უკვე დაქალებული გულა გაიცნეს.

2002 წლის იანვარში National Geographic-ის გუნდმა ავღანეთში გულა მოძებნა. სტივმა 30 წლის შარბათ გულას იმავე სტილში გადაუღო ფოტო, როგორც 18 წლის წინ. **„მისი სახე შეცვლილი იყო, მაგრამ თვალები მაშინვე ვიცანი“,** — იხსენებს ფოტოგრაფი. შარბათ გულამ პირველად მაშინ ნახა თავისი ფოტო. ქალმა არ იცოდა, რომ მსოფლიო, უკვე დიდი ხანია, იცნობდა. მას ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ გადაუღეს ფოტო — 12 წლის და 30 წლის ასაკში.

შარბათი ახლა 41 წლისაა. მას 3 ქალიშვილი: რობინა, ზაჰიდა და ალია ჰყავს. მეოთხე ქალიშვილი ბავშვობაში გარდაეცვალა. შარბათი იმედოვნებს, რომ მისი გოგონები მაინც შეძლებენ სწავლა-განათლების მიღებას.



## წელს ცუკერბერგის ხელფასი 1 დოლარი იქნება

**Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა ერთი წლის განმავლობაში ხელფასსა და პრემიებზე უარი თქვა. ხელფასის ნაცვლად მარკი სიმბოლურ ერთ დოლარს მიიღებს.**

ეს აქცია ცუკერბერგს საშუალებას მისცემს, საკუთარ კომპანიაში სტაბილური ფინანსური მდგომარეობა შეინარჩუნოს, თუმცა, მისი მტკიცებით, ამის აუცილებლობა არ არსებობს:

**„ჩვენ დილით არ ვიღვიძებთ მთავარი მიზნით — ვიშოვოთ ფული“,** — განაცხადა მარკმა.

შემოსავლებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელს ყველაფერი რიგზე აქვს, ისევე, როგორც მის დირექტორს, რომელიც, მიუხედავად უხელფასო წლისა, მაინც ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად რჩება. აღსანიშნავია, რომ შარშან მარკ ცუკერბერგის ქონება 2 მილიარდი დოლარით გაიზარდა.

**მისი ამჟამინდელი ხელფასი, 2 მილიონი დოლარი, შემდეგნაირად გადანაწილდება: 1.2 მილიონი დოლარი კომპანიის ზედნადები ხარჯებისთვის დაიხარჯება, ხოლო 700 000 საშტატო ხელფასებზე გადანაწილდება.**

აღსანიშნავია, რომ კომპანიის სასარგებლოდ 1-დოლარიან ხელფასზე მარკ ცუკერბერგამდე სხვა მსხვილი კომპანიების მმართველებიც მუშაობდნენ. მათ შორის არიან Apple-ს დამაარსებელი სტივ ჯობსი და Google-ის დამფუძნებლები ლარი პეიკი და სერგეი ბრინი.

# სირიას ცეცხლი უკიდია

## ცივი ურთიერთობის ზაფხული ჩრდილოეთ ირლანდიაში

**გაეროს ადამიანის უფლებათა სამმართველოს უმაღლესი კომისრის 13 ივნისს გამოქვეყნებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სირიის კონფლიქტში დაღუპულთა რიცხვი 93 ათასამდე გაიზარდა.**
**2012 წლის ივლისიდან ყოველთვიურად იღუპება 5 ათასი ადამიანი, მაშინ, როცა 2011 წლის ზაფხულში ეს მაჩვენებელი ყოველთვიურად ათასს არ აღემატებოდა.**
**დაღუპულთა 82,6 პროცენტი მამაკაცია.**

კონფლიქტი მწვავდება და სავსებით ბუნებრივად მსოფლიო თანამეგობრობის შეშფოთების საგანი ხდება.

სირია „დიდი რვიანის“ ჩრდილოეთ ირლანდიაში ახლახან გამართული სამიტის ყურადღების ცენტრში მოექცა: **კურორტ ენისკლინში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა** და მისი რუსი კოლეგა **ვლადიმირ პუტინი** გასულ ორშაბათს ერთმანეთს სწორედ სირიის გამო დაუპირისპირდნენ.

**კამათის შედეგი:** უმაღლეს დონეზე მკვეთრად განსხვავებული პოზიციების დაფიქსირება სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის თემაზე.

კონფლიქტი სრულმასშტაბიან ომად არის ტრანსფორმირებული და მილიტარიზაციის მზარდი ხარისხით ხასიათდება. ამ შეფასებას ორივე ლიდერი იზიარებს და მიიჩნევს, რომ სულ უფრო აუცილებელი ხდება მოლაპარაკების გზით სვლა კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამ გზაზე მნიშვნელოვანი იქნება სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც უახლოეს მომავალში ჟენევაში გაიმართება.

ჭირმა თავი არ დამალაო, მოგეხსენებათ, და დაპირისპირებამ — მითუმეტეს: რუსეთი მხარს უჭერს ბაშარ ასადს, მძიმე შეიარაღებას აწვდის რეჟიმს, ობამას ადმინისტრაციამ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს დაავალა, დაიწყოს ასადის ოპონენტების შეიარაღება.

განსხვავებული ინტერესების დაპირისპირების შედეგი ასეთი უნდა ყოფილიყო, ასეთადაც გაცხადდა.

**სირიის ინტერესები?**

**შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ სირიაში, ძალთა ნებისმიერი განაწილების შემთხვევაში, გარდამავალი პერიოდის დაწყებისთანავე ასადმა ხელისუფლება უნდა დათმოს. რუსეთი ამას არ ეთანხმება.**

კი და არა!

არის ამ ამპლიტუდაში სირიის ინტერესების ადგილი?

როგორც ჩანს, არა!

და ეს გამჟღავნდა მსოფლიოს ამ ორი ლიდერის პრესკონფერენციაზე, რომელზეც აშკარად ჩანდა, რომ **ობამასაც და პუტინსაც უჭირდათ, დაეცვათ დიპლომატიური ეტიკეტის ნორმები.**

მოახერხეს. მაგრამ ჟურნალისტებმა შენიშნეს, **პრესკონფერენციის მსვლელობის დროს ორივეს მზერა დაჟინებით იატაკისკენ იყო მიპყრობილი, ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ.**

**ობამამ თქვა:** „რაც შეეხება სირიის საკითხს, ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთისგან განსხვავდება. მიუხედავად ამისა, ერთობლივად დაინტერესებული ვართ, რათა ბოლო მოვუღოთ ძალადობას, რომელსაც იმ ქვეყანაში აქვს ადგილი. ასევე დაინტერესებული ვართ, რომ გავაუვნებელყოთ ქიმიური იარაღი, რომელიც შეიძლება იყოს სირიაში, რათა თავიდან ავიცილოთ მისი გამოყენება და გავრცელება“.

**პუტინმა განაცხადა: „ჩვენი პოზიციები, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ გვაერთიანებს მისწრაფება, აღვკვეთოთ ძალადობა, შევწყვიტოთ სირიაში**



**მსხვერპლთა რაოდენობის ზრდა“.**

ობამას თქმით, აშშ დამატებით გამოყოფს 300 მილიონ დოლარს სირიის ომში დაზარალებულთა ჰუმანიტარული დახმარებისთვის, რითაც ამ დახმარების საერთო მოცულობა 815 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა პუტინს მოუწოდეს, შეამციროს ასადის მხარდაჭერის ხარისხი. **საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა** გაამწვავა სიტუაცია, როცა განაცხადა, რომ „რვიანის“ ყველა ლიდერმა, მათ შორის, პუტინმაც, უნდა დაგმოს ასადის რეჟიმი ქიმიური იარაღის გამოყენების გამო.

**ქიმიურ იარაღზე საუბრისას ობამა აღნიშნავს, რომ ადამიანების მასობრივი მოსპობის ეს საშუალება „შეიძლება იყოს სირიაში“, ოლანდი რომის პაპზე უმეტეს კათოლიკობას იჩემებს და მოითხოვს, რომ ლიდერებმა, მათ შორის, პუტინმაც, დაგმონ ქიმიური იარაღის გამოყენება, რომელიც თითქოს გამოყენებული იყო.**

**ინგლისის პრემიერ-მინისტრმა კემერონმა** ჯენტლმენობა გამოიჩინა და სახელმწიფოთა ლიდერები თანაშემწეების გარეშე სადილზე მიიწვია, რათა შინაურულ ვითარებაში ერთგვარად შეერბილებინა პუტინსა და დანარჩენ ლიდერებს შორის კონფრონტაციის ატმოსფერო. სანაქებო სურვილია, მაგრამ რას უშველიდა დაძაბულობას, რომელიც სამიტამდე ჩამოყალიბდა?!

**გასულ კვირაში ობამამ არ დამალა, რომ აშშ შეიარაღებას მიაწვდის ამბოხებულებს. გასულ უქმე დღეებში პენტაგონის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, აშშ-ის მოკავშირე იორდანიაში განალაგონ F-16 ავიაგამანადგურებლები და რაკეტები „პეტრიოტი“.**

ვითარება დაამძიმა ამერიკის მხედართმთავრების განცხადებამ სირიის ტერიტორიის ნაწილზე, იორდანიის საზღვრის გასწვრივ ზონაში აკრძალონ ფრენები. მართალია, ობამამ დააზუსტა, რომ მის ადმინისტრაციას ჯერ არ გადაუწყვეტია ამ არასაფრენი ზონის დაწესება, მაგრამ ამას დიდად არ განუმუხტია დაძაბულობა.

რუსეთი ასეთი ზონის კატეგორიული წინააღმდეგია. **პუტინს შემოაქვს წინადადება რუსეთის სამხედროების გაგზავნის შესახებ სირიისა და ისრაელის საზღვარზე.** ასადი დასავლეთს აფრთხილებს, რომ დასავლეთის მიერ ამბოხებულთა შეიარაღებას ევროპისთვის ავბედითი შედეგი მოჰყვება. **„თუ ევროპელები მათ მიაწვდიან იარაღს, ევროპაში მივა ტერორი და ევროპა ამისთვის პასუხს აგებს“,** — განუცხადა მან გერმანულ გაზეთს Frankfurter Allgemeine Zeitunge. დააზუსტა, რომ ამ მუქარას მისი არმია კი არ განახორციელებს, არამედ რადიკალური ჯიჰადის ელემენტები, რომლებიც სირიაში ომის დამთავრების შემდეგ სამიზნედ ევროპას გაიხდიან. **პუტინი დასავლეთის ქვეყნებს აფრთხილებს, ევროპისკენ მიმართული ამბოხებულთა იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს იმ ისლამისტების ხელში, რომლებიც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობენ.**

**„ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ასადის საწინააღმდეგო ერთადერთი ალტერნატივა ტერორიზმი და ძალადობაა,** — თქვა კემერონმა, — **ჩვენ იმ სირიელთა მხარეს უნდა ვიყოთ, რომელთაც დემოკრატიული და მშვიდობიანი მომავალი სურთ თავიანთი ქვეყნისთვის, სადაც ადგილი არ ექნება იმ ადამიანს, რომელიც დღეს მათ წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებს“.**

გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა**, რომელიც ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე საუბრობდა, განაცხადა: **„ამ ინფორმაციას ჩვენ ძალიან სერიოზულად აღვიქვამთ. ვიმედოვნებ, რომ უშიშროების საბჭოს ამ ახალი ფაქტების მიმართ ერთიანი პოზიცია ექნება“.**

მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ **გერმანია არ გეგმავს ოპოზიციური ძალებისთვის იარაღის მიწოდებას (The Wall Street Gournal).**

### რუსეთის სამხრეთ საზღვარზე დათბა

**იმას, რაც ჩრდილოეთში ხდება, სარკისებრ აირეკლავს თურქეთ-დასავლეთის ბოლო დროს ჩამოყალიბებული ურთიერთობა.**

ანალიტიკოსების დაკვირვებით, სტამბოლში გამოხატული პროტესტები და თურქეთის ხელისუფლების მიერ დემონსტრანტთა წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები მოწმობს, რომ **პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ბოლო პერიოდის პოლიტიკური კურსი სულ უფრო სცილდება დასავლეთის ვექტორს.** ეს გადახრა, როგორც ცნობილია, დაიწყო მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა უარი თქვა ამ ევროგაერთიანებაში თურქეთის მიღებაზე.

ეს ერთი მხარეა.

**მეორე მხარე რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის აშკარა დათბობაა.** ამის საფუძველი კი, ვარაუდობენ ექსპერტები, რუსეთის მიერ გათვლილი პერსპექტივაა: თუ ბაშარ ასადს, ძველ პარტნიორს, ფეხი დაუცდება და პოლიტიკური ჰორიზონტიდან გაქრება, ახლო აღმოსავლეთში რუსეთს დასჭირდება ახალი პარტნიორი, ასეთად კი თურქეთი მოიაზრება.

**„თურქეთი სულ უფრო მკვეთრად ემიჯნება ნატოსა და ისრაელთან თავის პოლიტიკურ და სამხედრო სიახლოვეს.**

**თურქეთი და რუსეთი უკვე დომინირებს შავ ზღვაზე. ორივეს ძალუძს, დაუპირისპირდეს ირანსა და ჩინეთს ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ კასპიის ზღვის რაიონში. პუტინმა სულ ახლახან განაცხადა ხმელთაშუა ზღვაში ფლოტის შექმნის შესახებ, რუსეთმა და თურქეთმა ასევე ახლახან ერთობლივი სამხედრო სწავლება გამართეს ამ ზღვის აუზში“ (Huffington Post, აშშ).**

თანამშრომლობა რუსეთთან ურთიერთმომგებიანია და ერდოღანს უფლებას აძლევს, განაცხადოს, რომ **რეგიონში ძალთა ახალი ბალანსი ჩამოყალიბდა.**

რუსეთს კი მხარში ახალი და ძლიერი პარტნიორი ამოუდგება. **თურქეთი, როგორც ჩანს, რუსეთის ღირებულებებს ითავისებს და ითვალისწინებს.**

არც პუტინს, არც ერდოღანს არ გააჩნია აშკარა ალტერნატივები რეგიონში დიპლომატიური და სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად. მათ იმდენი რამ აღმოაჩნდათ საერთო, რომ, როგორც მიმომხილველები ამბობენ, **შეიძლება „სიყვარულით ქორწინების“ მოწმენი გავხდეთ, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ ეს სასიყვარულო კავშირი „ანგარებით ქორწინების“ საფუძველზე შედგეს.**

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**


**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100% შედეგებით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ლადო ქირიას ძმის

რეზო (გიგლა) ქირიას

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 20 და 21 ივნისს; გამოსვენება 22 ივნისს, 2 საათზე. მისამართი: თბილისი, ფოთის ქ. №14.


**მკურნალობა**

ძვლის პრობლემების ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტების, ართროზის, კოქსართროზის და ძვლის შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, ძვლის აქტიური კვება-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით საუკეთესო შედეგის მიღებით.

**ტელ. 218-46-09 (ოფისი);**
**555-62-09-01 ექიმი მეგი**

**ოპერაციული მკურნალობა გარანტიით**

ყველა ქირურგიულ დაავადებას ოპერაციული მკურნალობა არ სჭირდება, ხშირად ოპერაცია არა თუ სასარგებლო, საზიანოცაა. თუ გსურთ, დადებითი შედეგით დამთავრდეს მუცლის კედლის თიაქრის პლასტიკური ოპერაციები, სანაღვლე გზების, კუჭისა და ნაწლავთა პათოლოგიები, ქალისა და მამაკაცის სარძევე ჯირკვლების ოპერაციები, მიაკითხეთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ნავოლის ქობულიას ქირურგიულ კლინიკა „ბერმანში“, საექიმოს ქ. №3 (ისანი-სამგორის გამგეობის გვერდით).

**ტელ. 577-40-09-20; 214-23-49**



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009